სოციალისტურ პარტიაში „პოსტბურჟუაზიული" ეპოქა იწყება A2
არაჩვეულებრივი არ-გამოფენა A8
სპეცსამსახურები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 19 დეკემბერი, 2003 წელი. №327 (539) — ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ამერიკა და საქართველო ერთმანეთს „ახალ ენაზე„ ესაუბრებიან

გუშინ, თბილისის დროით 16.00 საათზე, თბილისსა და ვაშინგტონს შორის პირველი ვიდეოკონფერენცია გაიმართა. აშშ-ს მაღალჩინოსანთა დელეგაცია სახელმწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს დელეგაცია კი - თბილისში მდებარე ამერიკის საელჩოს შენობაში იმყოფებოდა.

A3

## ეკონომიკა

### ხელისუფლება არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას იწყებს

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება, საბიუჯეტო სიტუაციის გამოსწორების მიზნით, არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას იწყებს...

A4

## უცხოეთი

### მოსკოვში რასიზმი ძლიერდება

რუსეთის დიდ ქალაქებში სხვადასხვა ქუჩური დაჯგუფებები უცხო ქვეყნის მოქალაქეებს რომ არ სწყალობენ, სიახლეს აღარ წარმოადგენს. თავგადაპარსული რასისტების განსაკუთრებული რისხვა შავკანიანებს და კავკასიური წარმოშობის მოქალაქეებს ატყდებათ.

A5

## საზოგადოება

### შეშა და შუშა ზამთრის სკოლებისათვის

განათლების მეურნეობის სამსახური გვარწმუნებს, რომ ყველა სკოლა სხვადასხვა საშუალებით მაინც თბება, თუმცა ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ამ განცხადებას არ ეთანხმება.

A6

## სამართალი

### შესაძლოა, მერაბ ჟორდანიასთან სადავო თანხას მილიონები დაემატოს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ადვოკატისა და გულშემატკივრების მოლოდინი არ გამართლდა. მერაბ ჟორდანიას მიმართ სამართალდამცველმა ორგანოებმა და სასამართლო ხელისუფლებამ განსაკუთრებული პრინციპულობა გამოიჩინეს და იგი პატიმრობაში დატოვეს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 2 | |
| ქუთაისი | 7 | |
| ბათუმი | 8 | |
| სოხუმი | 4 | |
| ფოთი | 8 | |
| თელავი | 1 | |
| ზუგდიდი | 7 | |
| გორი | -1 | |
| ახმეტა | 1 | |
| ჭიათურა | 3 | |
| გაგრა | 2 | |
| სამტრედია | 7 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0900 |
| ევრო | 2.5952 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6895 |
| რუბლი | 0.0715 |

# ახალი ლიდერების ერთიანობა სტიმულს მისცემს ინვესტორებს

*გთავაზობთ ინტერვიუს საქართველო-ამერიკის ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტთან, ამერიკაში კავკასიისა და ცენტრალური აზიის ერთ-ერთ საუკეთესო ექსპერტთან ენდერს ვინბუშთან. მისი კომპანიის - "ბუზ ალენ ჰამილტონის" მთავარ კლიენტებს ამერიკის მთავრობა და ევრაზიით დაინტერესებული კერძო კომპანიები წარმოადგენენ.*

ეკა კვესიტაძე
*სტენფორდი*

**- ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველო უცხოური ინვესტიციებისათვის საკმაოდ არამიმზიდველი გახდა. ნოემბერში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, შეიძლება თუ არა ინვესტორები საქართველოთი უფრო მეტად დაინტერესდნენ?**

- უცხოური ინვესტიციებისათვის საქართველო არასოდეს ყოფილა აბსოლუტურად არამიმზიდველი ადგილი. კონკრეტული ადამიანები ინვესტირებას საქართველოში მაშინაც კი აგრძელებდნენ, როცა ითვლებოდა, რომ საინვესტიციო გარემო ქვეყანაში არახელსაყრელი იყო. ასე რომ, არ არის ისე, თითქოს სურათი შავ-თეთრი იყო და ახლა ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ეს, უბრალოდ, მიმდინარე პროცესია, როცა წარმატების მიღწევა ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული..

თუმცა, ხელისუფლების ცვლილებამ, რა თქმა უნდა, გააჩინა მეტი იმედი, რომ საინვესტიციო გარემო ბიზნესისათვის უფრო მიმზიდველი გახდება. ასე ვფიქრობ მეც და ის ადამიანებიც, რომელთაც ამ დღეებში ვესაუბრე. გაჩნდა მოლოდინი, რომ ახალი ლიდერები ძალიან სწრაფად გადადგამენ რადიკალურ ნაბიჯებს იმისათვის, რათა ქვეყანაში მეგობრული ბიზნესგარემო შექმნან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევროპის საბჭო კმაყოფილია არჩევნების მზადებით

ლელა მჭედლიძე

ევროპის საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი მათიას იორში, გუშინ, თავისი წინა ვიზიტის დროს ნათქვამს იხსენებდა: **"მაშინ ვთქვი, რომ საქართველო კიდევ ერთ გაყალბებულ არჩევნებს ვერ გადაიტანდა, ჩემი მაშინდელი დასკვნის სისწორე კი საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც დაადასტურა."** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ, სასტუმრო "მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე, მათიას იორში საქართველოს მოსახლეობას არჩევნებისადმი მაქსიმალური ინტერესის გამოვლენისა და წინასწარი რეგისტრაციის გავლისაკენ მოუწოდებდა. მან ზურაბ ჭიაბერაშვილს, ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაციის დაწყების გამო, "ვაჟკაცური გადაწყვეტილება" მოუწონა, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნა, რომ **"ცესკო-ს ახალი ხელმძღვანელის ეს ნაბიჯი, გარკვეულწილად, სარისკოა შემჭიდროებული ვადების გამო".** თუმცა, იორში ვარაუდობს, რომ თუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამ პროცედურის ბოლომდე ჩატარება არ მოხერხდა, სამაგიეროდ, საპარლამენტო არჩევნებისათვის ჩვენ უკვე ამომრჩეველთა სრულყოფილი სიები გვექნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილის თხოვნა და მუქარა

თამარ მჭედლიშვილი

*საპრეზიდენტო არჩევნებამდე 16 დღით ადრე ამომრჩევლებს წინასწარი რეგისტრაციის გავლის თხოვნით მიმართავს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი.*

### სააკაშვილის თხოვნა

**"ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის მექანიზმი ჩართულია. მე სასიცოცხლოდ ვარ დაინტერესებული, მოსახლეობამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეძლოს. თუ ყოველი მეორე ამომრჩეველი არ მივა უბნეზე წინასწარი რეგისტრაციის გასავლელად, არჩევნები ჩაიშლება და ამით საქართველოს მტრების ოცნება ასრულდება,"** – ამბობს მიხეილ სააკაშვილი და იქვე დასძენს, რომ იგი უკვე ესაუბრა

გაგრძელება A3 გვერდზე



*მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ინტერესების ხარჯზე კომპრომისს არავისთან აპირებს.*

# ეროვნული თანხმობის მიღწევის სურვილი უთანხმოებას იწვევს

*არ არის გამორიცხული, ეროვნული თანხმობის სახელმწიფო კომისიის მუშაობამ სხვადასხვა წრეებში სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა – სამეგრელოში სამოქალაქო ომის დროს მოკლული ჟურნალისტის დათო ბოლქვაძის ოჯახის წევრები კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამენ ლოთი ქობალიას შესაძლო გათავისუფლების გამო. როგორც ცნობილია, გამსახურდიას დროინდელი გვარდიის პოლკოვნიკის იმ ბრალდებებს შორის, რომლებისთვისაც უზენაესმა სასამართლომ თავის დროზე მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ერთ-ერთი სწორედ ბოლქვაძის მკვლელობა გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ იმ პირთა ვინაობას, ვისთან "შერიგებაც" თანხმობის კომისიის მთავარ ფუნქციად არის აღქმული, ბუნებრივია, მოკლული ჟურნალისტის ოჯახის წევრების პროტესტს კიდევ ბევრი ადამიანი შეუერთდება.*

სოფიკო ჩხაიძე

ეროვნული თანხმობის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ჯემალ გახოკიძემ გააკეთა. მისივე თქმით, კომისიას, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება ციხეში მყოფ და ტყეში გაჭრილ "ზვიადისტებთან" და მხედრიონელებთან შერიგება, სათავეში ჩაუდგება სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გურამ აბსანძე. გახოკიძის ცნობით, კომისიას, დაახლოებით, 10-დღიანი ვადა მიეცა სპეციალური პროგრამის წარსადგენად, რომლითაც უკვე გაირკვევა, რა კონკრეტულ წინადადებებს სთავაზობს ხელისუფლება შევარდნაძის მთავრობის მიერ რეპრესირებულ ან მასთან შეურიგებელ ადამიანებს. ცხადია, ამ პროგრამის ფარგლებში საუბარი იქნება გენერალური პროკურატურის მხრიდან იმ სისხლის სამართლის საქმეების გადახედვაზე, რომელთა ნაწილზეც სასამართლოს უკვე განაჩენი გამოტანილი აქვს, ნაწილი კი შეჩერებულია ფიგურანტების დაპატიმრების შეუძლებლობის გამო.

გაგრძელება A7 გვერდზე

# სანამ აქ ვარ, ბრძოლას ერთჯერადი ხასიათი არ ექნება

მაია ჭალაგანიძე

*გთავაზობთ ნაწყვეტს შიდა ქართლის ახლადდანიშნული გუბერნატორისა და მისი ასევე ახლადდანიშნული მოადგილის სატელეფონო საუბრიდან. რწმუნებულის მოადგილე ენერგეტიკის თემასთან დაკავშირებულ თათბირზე თბილისში იყო ჩამოსული. მობილურზე შეფის ტელეფონის ნომერი ვერ იცნო და კითხვაზე, ახალი რა ხდება? უპასუხა: ამ ჩემი უფროსის ვერაფერი გავიგე, დღე სამსახურში არ დადის, ღამე სამსახურში არ დადის, ხან კონტრაბანდას დასდევს, ხან - ნარკომანებს. რაც დამნიშნა, ვერც ერთხელ ვერ შევხვდი. თუ ასე გაგრძელდა, ვერ შევეგუები, უნდა ვთხოვო, ერთი-ორი სიტყვით მაინც ამიხსნას, რა უნდა გავაკეთო, როგორ უნდა ვიმუშაო... - ასე გაიგო ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი თანამშრომლის გულისტკივილი... მეორე დღეს კი აუხსნა, რომ მისგან თათბირებს და კომუნისტური ანგარიშების მოთხოვნას არავინ უნდა ელოდოს. მუშაობის შედეგებს კი ყველას მოსთხოვს. თუმცა, მთელი ინტერვიუ ასე სახალისოდ არ გამოიყურება. ახლა დავინახავთ, პრაქტიკულად რას გულისხმობდა ზოგადი თეორიული კლიშე - კორუმპირებული ხელისუფლება.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*ირაკლი ოქრუაშვილი "24 საათის" რედაქციაში.*

# ანდრეი რაპაპორტი საქართველოს მთავრობისგან გარანტიებს იღებს და გარანტიებს იძლევა...

თამარ ხორბალაძე

გუშინ თბილისს "რაო ეეს როსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავდროულად, "თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი რაპაპორტი სტუმრობდა.

ანდრეი რაპაპორტი საქართველოში ორი ძირითადი პრობლემის მოსაგვარებლად ჩამოვიდა: მოლაპარაკებების მიზანი კომპანიისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შენარჩუნება და ქვეყნის ენერგოსისტემაში წესრიგის დამყარება გახლდათ.

"24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ "თელასი" მოითხოვს მთავრობისგან, დამატებითი ღირებულების გადასახადით არა მთლიანად მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება, არამედ აბონენტებისგან ამოღებული თანხა დაიბეგროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, "თელასის" განცხადებით, ის კანონს დაემორჩილება, მაგრამ მიყენებული ზარალის გამო იძულებული გახდება, რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეზღუდოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "ევროპარლამენტი ქართველ ხალხს მომხდარ ცვლილებებს ულოცავს"

შოთა უტიაშვილი

მაშინ, როდესაც სტრასბურგში მყოფი ასლან აბაშიძე ევროპული სტრუქტურების ხელმძღვანელებს იმაში არწმუნებდა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და პრეზიდენტი ძალით დაამხეს, ევროპის პარლამენტმა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღო:

**"აღნიშნავს რა, რომ 2 ნოემბრის არჩევნები მასობრივი დარღვევებითა და ფართომასშტაბიანი გაყალბებით ჩატარდა, რასაც თან ახლდა ტექნიკური და ადმინისტრაციული პრობლემები, აღნიშნავს რა, რომ ქართველმა ხალხმა მოახერხა პრეზიდენტის შეცვლა მშვიდობიანი გზით, "ვარდების რევოლუციის" მეშვეობით, მიესალმება ქართველი ხალხის მიერ გამოვლენილ პოლიტიკურ სიმწიფეს, აღნიშნავს რა, რომ ქართველმა ხალხმა დაადასტურა თავისი მხარდაჭერა დემოკრატიული ცვლილებებისადმი და პროტესტი გამოუცხადა წინა მთავრობაში არსებულ კორუფციას, ნდობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობას, ევროპარლამენტი ულოცავს ქართველ ხალხს მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს, ულოცავს ახალ ხელისუფლებას და მოუწოდებს, ყველა პირობა შექმნას დემოკრატიისაკენ სრულად დასაბრუნებლად".**

გაგრძელება A5 გვერდზე



*ევროპარლამენტის სხდომაზე.*

# პუტინს ისევ სურს პრეზიდენტობა

რუსეთის დუმის არჩევნების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნები მომავალი წლის მარტშია დაგეგმილი. გამარჯვებულის ვინაობა კი უკვე დღესაა ცნობილი. პრეზიდენტობის სურვილი პუტინმა გუშინ, მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვაში დაადასტურა. ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობის შესახებ ოფიციალურად განაცხადებს.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტი არჩევნებში მონაწილეობას რომელიმე პარტიის სახელით არ გეგმავს. ამით პუტინი ტრადიციას არ ღალატობს: ოფიციალურად იგი არც დუმაში გამარჯვებული "ერთიანი რუსეთის" ლიდერი ყოფილა, თუმცა ეს გაერთიანება რომ მხოლოდ მის სახელს უკავშირდებოდა, არავისთვის საიდუმლო არ ყოფილა. "მე 2,5 მლნ ხელმოწერას შევაგროვებ," - ამბობს პუტინი, რომელსაც ასეთ წვრილმანებშიც კი მხოლოდ ხალხის რჩეულობა სურს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მერიდიანი
B1 ნომრის სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპეცსამსახურები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# იმერეთი რევოლუციის შემდეგ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც იმერეთს ახალი რწმუნებული ჰყავს. წინა გუბერნატორის მჭერმეტყველებას შეჩვეული იმერლები მუმლაძის ქუთაისში ყოფნას თითქმის ვერ ამჩნევენ, თუმცა მოსახლეობას არც შაშიაშვილის მიმართ აწუხებს განსაკუთრებული ნოსტალგია. მუმლაძე სამუშაო დღის გარკვეულ ნაწილს რაიონებში ატარებს, ქუთაისის პრობლემებზე კი დილა-საღამოს მუშაობს. ასეთი დღის წესრიგი მუმლაძემ საკუთარ თავს თვითონვე შეურჩია. **"შაშიაშვილი იყო და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, საქმეს ვითომ კი აკეთებდა პატარ-პატარას, მაგრამ ქუთაისს მაგის გაკეთებული არაფერი დატყობია. ახლა დათო მუმლაძეა და საერთოდ არ ვიცით, რას აკეთებს. ისე, კარგი ქნა, ძველი გამგებლები რომ გაუშვა. ახლა მთავარია, როგორს დანიშნავს, თუ ძველებისნაირი მყვლეფავები იქნებიან, მაგათი საქმეც წასულია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისელმა ვახტანგ მალანიამ.

პირველი და უმთავრესი, რაც დავით მუმლაძემ ქუთაისში ჩამოსვლისას განახორციელა, საკადრო ცვლილებები გახლდათ. მან იმერეთის რაიონების ყველა გამგებელი თანამდებობიდან დაითხოვა. ძველი გამგებლებიდან პროტესტის გამოხატვა მხოლოდ საჩხერისა და ზესტაფონის პირველმა პირებმა სცადეს, თუმცა - უშედეგოდ. ამ ეტაპზე გამგებლების ვაკანტური ადგილები უკვე დაკომპლექტებულია.

ბაღდათში ყოფილი გამგებელი მაჩიტიძე სულ ორი თვის დანიშნული იყო, როდესაც რევოლუციამ მოუწია. მის ნაცვლად, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ადგილობრივი პარტიული ლიდერი ნიკო ჟვანია დაინიშნა. იგი ბაღდათში საგადასახადოს უფროსად მუშაობდა და თითქმის ყველა წინამორბედ გამგებელთან დაპირისპირებული გახლდათ. აღნიშნული დაპირისპირების შედეგად შაშიაშვილი იძულებული გახდა, რომ ბაღდათის ერთ-ერთი გამგებელი გიორგი ამირანაშვილი ბაღდათიდან სამუშაოდ ქუთაისში გადაეყვანა. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ჟვანიამ მიზანს მიაღწია. თუმცა ბაღდათის ყოფილ გამგებლებთან მუდამ დაპირისპირებულ ნიკო ჟვანიას მუშაობა მეტი პასუხისმგებლობით მართებს. მუდამ ოპოზიციაში მყოფი ჟვანიას მოღვაწეობას მოსახლეობა განსაკუთრებით კრიტიკული თვალით შეაფასებს. იმერეთის სხვა რაიონების გამგებლები კი განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩეოდნენ.

მაგალითად ხონში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი სოსო ყურაშვილი დაინიშნა. იგი ერთ-ერთი სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეც გახლდათ. ტყიბულში კი ბიზნესმენი ემზარ გვეტაძე დაინიშნა. სამტრედიის ახალი გამგებელი "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ავთანდილ სტურუაა. მუმლაძე მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებს და აცხადებს, რომ ავთო სტურუა საკმაოდ ორგანიზებული ახალგაზრდა კაცია და საქმის კეთების დიდი სურვილი გააჩნიაო, **"რისი განხორციელების შანსს და შესაძლებლობას მას აუცილებლად მივცემთ,"**-აცხადებს მუმლაძე. რაც შეეხება ვანს, აქ გამგებლად სამთოინჟინერი თამაზ ახვლედიანი მოგვევლინა. წყალტუბოს პირველი პირი საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა თევზაძეა. თერჯოლაში კი გამგებლად პოლიციის გენერალი გოდერძი ხუჯაძე დაინიშნა. ჭიათურის გამგებელი, ყოფილი მთავარი არქიტექტორი, გვარად ჩიქვილაძეა. ჭიათურაში მას დადებითად ახასიათებენ. ხარაგაულის გამგებლად კი ტოგო ხიჯაკაძე დაინიშნა. მასზე დადებითი აზრი აღმოაჩნდა რაიონის როგორც ყოფილ, ასევე ამჟამინდელ დეპუტატს.

აღსანიშნავია, რომ ხიჯაკაძე არც ერთი პარტიის წევრი არ გახლავთ. ზესტაფონსა და საჩხერეში კი მხოლოს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელნი დაინიშნენ. ზესტაფონში აღნიშნულ მოვალეობას ყოფილი საგადასახადოს უფროსი თემურ ცერცვაძე ასრულებს. **"ცერვაძე არის ის გამონაკლისი, როდესაც საგადასახადო სამსახურში მუშაობას მისი რეპუტაცია არ გაუსვრია,"** - ასე ახასიათებს რწმუნებული ზესტაფონის ახალ ხელმძღვანელს. საჩხერეში კი პირველი პირის მოვალეობას, ყოფილი გამგებლის პირველი მოადგილე შეასრულებს.

ჯერჯერობით, ცვლილებები არ იგძნობა ქუთაისის მერიაში. მართალია, ქუთაისის მერმა, ნუგზარ ფალიანმა გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა მერიის მთელ შემადგენლობას მოსთხოვა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა და არც ვინმე გაუთავისუფლებია. პარალელურად, ქუთაისში ფალიანის საწინააღმდეგო განწყობილებებმაც იჩინა თავი. რამდენიმე დღის წინ "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ადგილობრივმა ორგანიზაციამ და მერიასთან არსებულმა ანტიკორუფციულმა საბჭომ ქუთაისის მერის გადადგომა მოითხოვეს. მიზეზი, წლების განმავლობაში შეუსრულებელი ბიუჯეტი და კორუმპირებული ჩინოვნიკების დაუსჯელობა გახლავთ.

**"არასამთავრობო ორგანიზაციათა აღნიშნულ მოთხოვნებზე ინფორმაცია გამაჩნია, მაგრამ ენერგეტიკის საკითხების გამო, თბილისში გახლდით და მოთხოვნებს კონკრეტულად ვერ გავეცანი. თუ ეს დარღვევები სახეზეა, ქუთაისის მერის მიმართ კატეგორიული ვიქნები,"** - განაცხადა მუმლაძემ.

მიუხედავად საკადრო საკითხების დარეგულირებისა, იმერეთში სოციალური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება. ადგილობრივი მოსახლეობის პირველი და ძირითადი პრობლემა უშუქობაა. რამდენიმე დღის წინ ავტოქარხნის დასახლების მკვიდრნი ადგილობრივ ენერგოკომპანია "ქელასში" შეიჭრნენ და მის ხელმძღვანელს თანამდებობის დატოვება კატეგორიულად მოსთხოვეს. ამ ეტაპზე ქუთაისს შუქი დღეში მხოლოდ 3-4 საათით მიეწოდება და ისიც ქაოტურად, ყოველგვარი გრაფიკის გარეშე. ქალაქში არსებობს უბნები, სადაც შუქი რამდენიმე დღის განმავლობაშიც არ უნახავთ. აღსანიშნავია, რომ "ქუთწყალკანალი" მთლიანად შუქზეა დამოკიდებული და უშუქობა ავტომატურად უწყლობასაც იწვევს. იმერლებს უდენობასა და უწყლობასთან ერთად, უფულობაც აწუხებთ. დღესდღეობით გაუცემელია საბიუჯეტო დაწესებულებების სამი თვის ხელფასი და ხუთი თვის პენსია.

მოსახლეობა ამ ეტაპზე რევოლუციის ხათრითა და იმედით ითმენს. დავით მუმლაძე კი ამ ეტაპზე იმედიან განცხადებებს აკეთებს, იგი პენსიონერებსა და საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლებს ახალ წლამდე ერთი თვის პენსიებისა და ხელფასების დარიგებას ჰპირდება.

# არასამთავრობოები რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობენ

ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან ერთად, კვლავ მოუგვარებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები – ბოლომდე არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონებს შორის, გაურკვეველია საბიუჯეტო ურთიერთობები, ასევე - ქონებრივი საკითხები. არადა, თვითმმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გარეშე, ნამდვილად შეუძლებელი გახდება ქვეყანაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის გატარება, რომლის აუცილებლობაზე, უკვე კარგა ხანია, არავინ დავობს.

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში", არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რამდენიმე კონკრეტული მოთხოვნა გაისმა. "საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირის", "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის", "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა" და "კავკასიური ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა, საკრებულოების წევრებთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლებას რამდენიმე ინიციატივით მიმართეს.

მათ შორისაა:

**თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობა, სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმება, სრულყოფილი მუნიციპალური თვითმმართველობის შემოღება და 2004 წლის პირველ ივნისამდე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების განსაზღვრა, რაიონების ლიკვიდაცია, რეგიონალიზმზე გადასვლა, ცენტრსა და რეგიონებს შორის ქონებრივი პრობლემების გადაჭრა და საბიუჯეტო უფლებამოსილებების გამიჯვნა, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის რეორგანიზაცია.**


ირაკლი ლობჟანიძის ფოტო

*არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას რამდენიმე აუცილებელი ინიციატივის განხორციელებას სთავაზობენ.*

გუშინდელი კონფერენციის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ ინიციატივებს საკანონმდებლო სახეს მისცემს.

გუშინვე კონფერენციის მონაწილეებმა ოფიციალური წერილით მიმართეს მოქმედ პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს, სადაც ამ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ასე ასაბუთებენ:

**"ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში დღემდე გრძელდება მართვის საბჭოური სტილი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის არ გადადგმულა არანაირი ნაბიჯი ქვეყანაში რეალური დეცენტრალიზაციისაკენ... ეს სიტუაცია ქვეყანაში შექმნილი უმწვავესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია."**

გუშინდელ კონფერენციას პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თითოეულმა მათგანმა თავის გამოსვლაში რეფორმირების აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა გუშინ კვლავ უპასუხოდ დარჩა კითხვა, თუ როდის დაიწყება ქვეყანაში ეს უმნიშვნელოვანესი რეფორმა.

*24 საათი*

# სოციალისტურ პარტიაში "პოსტბურჟუაზიული" ეპოქა იწყება

გიორგი ასანიშვილი

*სოციალისტური პარტია იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის აღმოჩნდა, რომლებიც "ვარდების რევოლუციამ" დააზარალა. მის ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს ტკბილი ოცნებები მაშინ დაენგრა, როდესაც უკვე სამთავრობო მუნდირს იზომავდა და ძალაუფლების ხელში ასაღებად ემზადებოდა. სოციალისტების წინამძღოლს საამისო ნებისყოფა არ აღმოაჩნდა, რომ სახელისუფლებო მწვერვალებისკენ მიმავალ გზას ხელახლა შედგომოდა. ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას რჩეულიშვილმა მშვიდი ცხოვრება ამჯობინა და პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ამ გადაწყვეტილებას უმალ მოჰყვა სათანადო ჯაჭვური რეაქცია: სოციალისტური ელიტის წარმომადგენლებმა პარტიულ იერარქიაში ერთი ნაბიჯით წინ წაიწიეს.*

სოციალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ვახტანგ რჩეულიშვილის პოსტს ირაკლი მინდელი ჩაიბარებს, რომელიც მანამდე პარტიის გენერალური მდივანი და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე იყო, თუმცა მინდელი, გარკვეული დროის განმავლობაში, პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი იქნება, სრულუფლებიან ლიდერად კი მას უმაღლეს პარტიულ ფორუმზე დაამტკიცებენ.


ირაკლი ლობჟანიძის ფოტო

*ისევ სოციალისტურად – ერთხმად.*

გენერალური მდივნის გამოთავისუფლებული თანამდებობა ზაქარია ქუცნაშვილს ერგო, რომელიც ამჟამად უკვე აღარ არსებული ფრაქცია "სოციალისტის" მდივანი იყო, სოციალისტური პარტიის საერთაშორისო მდივნად კი მთავარმა კომიტეტმა დიმიტრი ცქიტიშვილი დაამტკიცა. ბოლო ხანს იგი სახელმწიფო კანცელარიაში დსთ-სთან ურთიერთობების კომიტეტში საქმიანობდა.

საკადრო და ორგანიზაციული საკითხების გარდა, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი გუშინ სამომავლო გეგმებზეც მსჯელობდა. კერძოდ, მთავარმა კომიტეტმა განსაზღვრა პარტიის პოლიტიკა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და ჩამოაყალიბა საპარლამენტო მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

ვინაიდან მთავარი კომიტეტის სხდომა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დახურულ კარს მიღმა გაიმართა, მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება იმის თქმა, რომ სოციალისტები მათ რიგებში არ იქნებიან, ვინც ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ყოველ შემთხვევაში, სოციალისტური პარტია 4 იანვრის არჩევნებზე თავისი დამკვირვებლების მივლინებას აპირებს. გარდა ამისა, შეიქმნება ამ არჩევნების მონიტორინგის შტაბი, რომელსაც ზაქარია ქუცნაშვილი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება მოქმედ პარლამენტთან სოციალისტების დამოკიდებულებას, იგი კვლავ ბუნდოვანი რჩება. ამ საკითხში პარტიის ხელმძღვანელობის აზრი ორად არის გაყოფილი: ნაწილს მიაჩნია, რომ არსებული საკანონმდებლო ორგანო არალეგიტიმურია და, ამდენად, მასში საქმიანობა დაუშვებელია, სხვები კი მიიჩნევენ, რომ საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენება აუცილებელია. ასეთ ვითარებაში მთავარმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობამ მოქმედების გეგმა თავად განსაზღვროს.

ისე, სოციალისტური პარტია მაშინაც არ ყოფილა ქვეყნის პოლიტიკურ ავანგარდში, როდესაც მას ვახტანგ რჩეულიშვილი ხელმძღვანელობდა. წამყვან პოზიციებზე გასვლა სოციალისტებს ახლა მით უფრო გაუჭირდებათ, რადგანაც თავადაც აღიარებენ, რომ ფინანსური მხარე მათი "აქილევსის ქუსლია".

**"მე და ზაქარია ქუცნაშვილს დიდი სახსრები არა გვაქვს, რჩეულიშვილს კი ვერ მივაკითხავთ, პარტიისთვის ფული მოგვეციო,"** - უსახსრობას უჩივის ირაკლი მინდელი, თუმცა გამოთქვამს იმედს, რომ გამოჩნდება ხალხი, ვინც "სოციალისტების" საარსებოდ რაღაც სახსრებს მაინც გაიღებს.

ვიდრე პარტიის თავკაცი ვახტანგ რჩეულიშვილი იყო, ხალხში ხუმრობდნენ, თვითონ კაპიტალისტია, სოციალიზმი კი სხვებისთვის უნდაო. ახლა კი, როდესაც პარტია ამ "ბურჟუასგან" გათავისუფლდა, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის ჭეშმარიტ სახეს ღებულობს და "პროლეტარიატის თავშესაფარი" ხდება.

# გიორგი აბაშიძემ, გოგიტიძის გარდა, ბაკურიაც სცემა

ბათუმიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აჭარის ლიდერის ვაჟმა, ბათუმის მერმა გიორგი აბაშიძემ, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით რეგიონში შექმნილი ვითარების გამო, ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ გოგიტიძის გარდა, "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურიაც სცემა.

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყარო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას გიორგი აბაშიძისა და ჯემალ გოგიტიძის მიერ რესტორან "ედემში" ჩხუბის და სროლის შესახებ და აცხადებს, რომ დაპირისპირება არა "ედემში", არამედ ერთ-ერთ სახელმწიფო შენობაში მოხდა.

მისივე მტკიცებით, ქალაქის მერმა გიორგი აბაშიძემ, ჩხუბში გადაზრდილი კამათის შემდეგ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა 22-23 ნოემბრის მოვლენების შემდეგ ბათუმში მყოფ ცოტნე ბაკურიასაც, რომელიც უმცროს აბაშიძესა და გოგიტიძეს შორის პოლიტიკურ კამათში ჩაება და გოგიტიძეს დაუჭირა მხარი. მისივე თქმით, ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ, ბაკურია რამდენიმე დღის განმავლობაში სახლიდან გამოსული არავის უნახავს.

წყარომ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიორგი აბაშიძე ჯემალ გოგიტიძეს თბილისსა და ბათუმს შორის წარმოქმნილ უთანხმოებაში ადანაშაულებს. აბაშიძე-უმცროსის აზრით, სწორედ გოგიტიძის საქართველოს პარლამენტში საქმიანობამ გამოიწვია პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებმაც ასლან აბაშიძის ცენტრთან პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია.

დაზუსტებული ინფორმაციით, გიორგი აბაშიძე, როგორც ბათუმის მერი, შესანიშნავად გრძნობს მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას და ცდილობს, ჯემალ გოგიტიძისაგან დაიცვას ბათუმელების ის ნაწილი, რომელთა წინააღმდეგ აჭარის შს სამინისტრო აშკარა რეპრესიებს ატარებს. **ინტერ-პრესი**

# შაშიაშვილის "ექსკურსია" კახეთში

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

არჩევნებისთვის მზადება პრეზიდენტობის კანდიდატებმა კახეთშიც დაიწყეს. უკვე მეორე დღეა, რაც თემურ შაშიაშვილი ამ რეგიონს სტუმრობს. საარჩევნო კამპანია კი მან სიღნაღის რაიონიდან დაიწყო. შაშიაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრა სპონტანურ ხასიათს ატარებდა. იგი ხალხს თავშეყრის ადგილებზე ხვდებოდა და მათ პრობლემებს ასე ეცნობოდა.

**"მე არა ვარ "ბელადისტი" და ასეთი შეხვედრები უფრო საინტერესოა, ვიდრე დარბაზში, რადგან ძალა ხალხშია,"** - ასე განმარტა კახეთში თავისი ვოიაჟი შაშიაშვილმა, მაგრამ, როგორც მისი პრესმდივნის საუბრიდან შევიტყვეთ, პრეზიდენტობის კანდიდატი კახეთში ექსკურსიაზე უფრო იყო, ვიდრე საარჩევნო პროგრამის განსახორციელებლად. მან ამ ორი დღის განმავლობაში, ოჯახთან ერთად, რეგიონის ღირსშესანიშნაობები და კულტურული ძეგლები მოინახულა. ბოლოს კი მისი სტუმრობა თელავში ხმაურით დასრულდა. რაიონის აგრარული ბაზრის წინ მოსიარულე თემურ შაშიაშვილი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა. თელაველებმა შევარდნაძის გუნდრუკის მკმეველი, როგორც ჩანს, იცნეს და ძველ ხელისუფლებას სათქმელი კიდევ ერთხელ უთხრეს.



*იმერეთის ტელეგმირი თელავში.*

**"თქვენ იმ მთავრობის კაცი არა ხართ, ქვეყანა რომ დააქციეთ? გაგიჭირდათ და ახლა გაგახსენდათ ხალხი, ხომ? სად იყავით აქამდე?"** - ასეთი შეძახილებით აცილებდნენ თემურ შაშიაშვილს თელაველები. მიუხედავად აღელვებულ მოსახლეობასთან შეხვედრისა, იმერეთის ექსგუბერნატორმა ამომრჩევლამდე თავისი საარჩევნო პროგრამის გაცნობა მეტ-ნაკლებად მაინც მოახერხა. ის კახელებს უკანონოდ მიტაცებული მიწის მფლობელების გარკვევას დაჰპირდა, მეწარმეებს კი, 20 პროცენტიანი გადასახადების ნაცვლად, 12 პროცენტიანს სთავაზობს. გარდა ამისა, შაშიაშვილი თითქმის ყველა სფეროში რეფორმების გატარებასაც გეგმავს. **"მე არ მჭირდება გვერდში ისეთი ადამიანები მედგნენ, რომლებიც კერპებს და ბელადებს სცემენ პატივს. მე დღეს იმ ხალხს შევხვდი, ვინც ჩემთვის მართლაც დიდი ძალაა,"** - ეუბნებოდა მოსახლეობას შაშიაშვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი განმარტებები თელაველებს ნაკლებად აინტერესებდათ, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატებისგან ისინი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მოითხოვდნენ. ამისათვის თელაველი გლეხები მხარდაჭერას უფრო მიხეილ სააკაშვილს უცხადებენ. შაშიაშვილმა კი არც კახეთში დაინდო ახალი მთავრობა და მათი საწინააღმდეგო განცხადებებიც გააკეთა. ახლა რომ ამბობენ, მამალაძე კრიმინალიაო, რატომ ერთი წლის წინათ არ წაუყენეს ასეთი ბრალდება მას? უნდა გითხრათ, რომ მამალაძე, ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე ერთი წლის წინათ ზუსტად ერთი გუნდი იყო. აბა გაიხსენეთ, კვარციტში რომ ჩამოვიდა სააკაშვილი, როგორ აქო გუბერნატორი მამალაძეო? - კითხულობდა შაშიაშვილი, მაგრამ დარბაზში ვერანაირი რეაქცია ვერ გამოიწვია.

იმერეთის ექსგუბერნატორმა კახური ვოიაჟი ერეკლე II-ის მუზეუმის მონახულებითა და გურჯაანელ ამომრჩეველთან შეხვედრით დაასრულა. არჩევნებამდე იგი ხალხთან გასვლას, კახეთის მსგავსად, სხვა რეგიონებშიც გეგმავს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი მომდევნო კვირას, შესაძლოა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაემგზავროს და საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით, აჭარის საარჩევნო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს შეხვდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დამოუკიდებელი დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ის საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა განიხილოს, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებასა და ორპალატიანი პარლამენტის ფორმირებას ჩაუყრის საფუძველს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საბჭოს წარმომადგენელთა ინფორმაციას უახლოეს ხანებში მის მიერ საზღვარგარეთ შესაძლო გაქცევის თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" წევრი პეტრე ცისკარიშვილი "გაუგებრობად" აფასებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ არ მოაწერა ხელი მისი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის ბრძანებას. როგორც ცისკარიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ბურჯანაძეს უახლოეს მომავალში შეხვდება, რის შემდეგაც ეს პრობლემა გადაწყდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით აჭარის რეგიონთან წარმოქმნილი პრობლემა მოგვარდება და აცხადებს, რომ ამ საკითხში რუსეთი არ ჩაერევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გუშინ მიღებული დადგენილების შესაბამისად, 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე მისულ ამომრჩეველს ხმის მიცემა შეუძლია ნებისმიერი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, სადაც მისი საცხოვრებელი ადგილია დაფიქსირებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის სხვა სახელსა და გვარზე გამოწერილი დოკუმენტებით საქართველოში შემოსვლისა და გასვლის საშუალება მისცა. საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფარიძის განცხადებით, თანამდებობის პირები, ვინც ეს შეცდომა ჩაიდინეს, პასუხს აგებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1999 წლის მოწვევის პარლამენტის სხდომა, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება. კონსტიტუციის მიხედვით, დღევანდელი დღე ბოლო ვადაა, რომელიც პარლამენტს საშემოდგომო სესიის დასახურად ეძლევა. **ინტერ-პრესი**

## დავით კირვალიძემ შესაძლოა, სკამი დაკარგოს

უკვე რამდენიმე დღეა, კულუარებში პურის ფასის გაძვირების საშიშროებაზე ალაპარაკდნენ. გუშინ ამ ფაქტს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა და პირდაპირ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს **"ეს შეიძლება, საკმაოდ ძვირად დაუჯდეს".**

**"იმის მიუხედავად, რომ დათო კირვალიძე ჩემი მეგობარია, პირდაპირ ვაცხადებ: თუ პური გაძვირდება, იგი არა მხოლოდ თანამდებობას დატოვებს, არამედ პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას. კირვალიძე საკუთარი თავით აგებს პასუხს. ერთხელ შევარდნაძემ მას უკვე აპატია პურზე ფასის გაზრდა. ახლა ასე აღარ იქნება,"** – განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა.

გუშინ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებსაც დაემუქრა. მისი თქმით, ცარიელი ხაზინის შესავსებად ქურდებს "საფლავშიაც ჩაჰყვება".

**"სადაც არ უნდა იყვნენ ისინი – რუსეთსა თუ შვეიცარიაში, ამ ფულს უკან დავაბრუნებინებ და ამ ფულთან ერთად ჩამოვიყვან საქართველოში. ამიტომ ვურჩევ, დროზე მოვიდნენ გონს და დააბრუნონ ყველაფერი,"** – განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, აუცილებლად შემოწმდება ყველა მაღალჩინოსნის სავალუტო ანგარიში.

რაც შეეხება ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძეს არანაირი შევიწროება არ ემუქრება. თუმცა, იქვე დასძენს: ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი ლოიალობა მისი ოჯახის წევრებსაც შეეხებაო.

*24 საათი*

# ახალი ლიდერების ერთიანობა სტიმულს მისცემს ინვესტორებს

პირველი გვერდიდან

მომხდარი ცვლილებების შემდეგ ინვესტორები ფრთხილ ოპტიმიზმს იჩენენ, თუმცა ყველა არ არის დარწმუნებული იმაში, რომ გარემო უკეთესი გახდება.

ზოგიერთს მიაჩნია, საქართველოში ისევ გაგრძელდება ქაოსი და არასტაბილურობა. თუმცა, ინვესტორების უმრავლესობა უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ჩვენთვის, ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოსთვის, ეს ცვლილებები მართლაც ახალ შესაძლებლობებს ხსნის. როცა ახალი კომპანიები ჩვენთან მოვლენ და გვკითხავენ - არის თუ არა კარგი დრო იმისათვის, რომ საქართველოში ინვესტიცია ჩავდოთ? - ჩვენ ვეტყვით, რომ დიახ, ახლა ინვესტიციების გასაკეთებლად კარგი დროა. მაგრამ, არის თუ არა ეს ასე, ამის შესახებ რამდენიმე კვირაში უკეთ გვეცოდინება, როცა ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს დავინახავთ.

ნებისმიერი ცვლილება შესაძლებლობას აძლევს ახალ გუნდს, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც ძველმა ხელისუფლებამ ვერ ან არ შეძლო.

**- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში?**

- პირველ რიგში, ახალმა ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს ინვესტორები, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.

ახალმა ლიდერებმა - ნინო ბურჯანაძემ, მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ჟვანიამ უნდა დაარწმუნონ უცხოელი ბიზნესმენები, რომ ისინი, როგორც ერთიანი გუნდი იმუშავებენ, არ დაერევიან ერთმანეთს და რომ მათი პირადი ამბიციები არ გადასწონის ქვეყნის ინტერესებს, როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე.

ამ პროცესს ინვესტორები ძალიან ფრთხილად უყურებენ. თუ ახალი ლიდერები ერთიანობის შენარჩუნებას მოახერხებენ, მაშინ შეძლებენ, რომ მათი ნდობა შესამჩნევად გაზარდონ.

**- კონფერენცია, რომელიც ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭომ სტენფორდში გამართა, რიგით მეექვსეა. გამოიკვეთა თუ არა რაიმე ახალი ტენდენცია ამ შეხვედრაზე?**

- კონფერენციაზე სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა, მათ შორის, ისიც, თუ როგორი ცუდი იყო საინვესტიციო გარემო საქართველოში. თუმცა, ასეთ რადიკალურ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება. ჩვენი ინვესტორების უმრავლესობას, ბუნებრივია, ჰქონდა სირთულეები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ წარმატებული ბიზნესის აწყობა მაინც შეძლეს.

ისინი ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა, საქართველო არ არის საუკეთესო ადგილი ინვესტიციის განსახორციელებლად, მაგრამ არც ძალიან ცუდ გარემოს არ სთავაზობდა ბიზნესმენებს. მსოფლიოში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ინვესტიციის ჩადება გაცილებით უფრო სარისკოა, ვიდრე საქართველოში.



ენდერს ვინბუში

თუმცა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაჩნდა ოპტიმიზმი, რომ ამ დადებითი ტენდენციის ინდექსი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

**- რეალურად, რა ცვლილების მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის ხელისუფლებაში ახალი ლიდერების მოსვლას?**

- ეს, კიდევ ვიმეორებ, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოიქცევა ახალი ხელისუფლება. რამდენად სწორ ნაბიჯებს გადადგამენ ახალი ლიდერები და რამდენად მყარი იქნება მათი ერთიანობა. ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკშვილი სამი ძალიან ძლიერი ინდივიდუუმია. ეს ან დიდი წარმატების საწინდარი გახდება ან კიდევ დიდი კატასტროფის, თუ მათ ვერ შეძლეს პიროვნული ამბიციების დათმობა. ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ ჩვენი ინვესტორები მათ ძალიან ფრთხილად ადევნებენ თვალყურს.

**- მოახდენს თუ არა რაიმე გავლენას საქართველოში მიმდინარე პროცესები პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე, რომლებიც თანადათან უიმედოდ შორდებიან დემოკრატიული განვითარების გზას?**

- საქართველო ყოველთვის იყო კარგი მაგალითი პოსტსაბჭოთა სივრცეში. მე იმ ადამიანების რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ყოველთვის სჯეროდათ საქართველოსი და მიაჩნდათ, რომ ის სამაგალითო ქვეყანა იყო.

ამ ეტაპზე მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ მოახერხოს, რომ ქვეყანაში წესრიგი დაამყაროს. ახლა ძალიან კარგი დროა ამისათვის. ამერიკის ინტერესი, ვხედავთ, რომ საქართველოს მიმართ მზარდია, რაც ჩვენი საბჭოსთვის ძალიან სასიხარულო და სასიამოვნო ფაქტია.

რაც შეეხება ამ მოვლენის გავლენას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე, მე ახლო მომავალში ვერ ვხედავ იმის შანსს, რომ მსგავსი მოვლენები შეიძლება, მაგალითად, ცენტრალური აზიის ან საქართველოს მეზობელ ქვეყნებში განვითარდეს. ამის მიზეზი მარტივია - მათ, საქართველოსაგან განსხვავებით, არ ჰყავთ ძლიერი ახალგაზრდა თაობა. ახალი თაობა ყოველთვის იყო საქართველოს მთავარი მონაპოვარი და ამას ყველა კარგად აცნობიერებდა.

სხვათა შორის, ეს შევარდნაძის დიდი დამსახურებაცაა. მან ხელი შეუწყო პოლიტიკოსთა ამ ახალი თაობის გაზრდას. შევარდნაძეზე ბევრი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ის, ბევრი დამსახურების გამო, დიდ პატივისცემას იმსახურებს. შევარდნაძემ გააცნობიერა, რომ მისი წასვლის დრო დადგა და ღირსეულად წავიდა. და მე ვფიქრობ, რომ ამას ქართული საზოგადოება სათანადოდ დააფასებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის დარჩეს საქართველოში, გახდეს დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც პოლიტიკაში აღარ ჩაერევა, მაგრამ თავისი გამოცდილებით ახალ ლიდერებს დაეხმარება.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამერიკის ინტერესი საქართველოს მიმართ არსებითად გაიზარდა. დარჩება თუ არა აშშ აქტიურ მოთამაშედ კავკასიის რეგიონში?**

- ამერიკა მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება ევრაზიაში. ამ რეგიონში მას სხვადასხვაგვარი ინტერესი აქვს და, ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო აქტიური გახდება, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენს ინტერესში შედის, რომ საქართველო ძლიერი, დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფო იყოს. მე, როგორც სტრატეგი, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საქართველო ამ რეგიონის გასაღებია და მას, როგორც ძლიერ ქვეყანას, ძალიან დადებითი გავლენის მოხდენა შეეძლო რეგიონზე. ამიტომ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამერიკის ინტერესი საქართველოს მიმართ იზრდება და იმედი მაქვს, ეს ინტერესი მდგრადი და შეუქცევადი იქნება.

**- რაც შეეხება რუსეთს. როგორი იქნება პუტინის რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და რა ადგილს დაიკავებს საქართველო რუსეთ-ამერიკის მომავალ ურთიერთობებში?**

- ახლა რუსეთი საკმაოდ ცუდი პოზიციით გამოდის. მაგრამ ეს სიახალე არ არის. რუსეთი ყოველთვის ასე იქცეოდა.

რუსეთს მიაჩნია, რომ მან შეიძლება დაიბრუნოს გავლენა საქართველოზე, რადგან არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ამერიკა ამ ქვეყნით მუდმივად იქნება დაინტერესებული. ამიტომ, მე ვფიქრობ, თუ ამერიკის ხელისუფლება აუხსნის რუსეთს, რომ ის აპირებს საქართველოს მხარდაჭერას და თუ ეს მესიჯი მკაფიო იქნება, მაშინ რუსეთი იძულებული გახდება, უკან დაიხიოს.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველო თავის გეოგრაფიულ ადგილს ვერ შეიცვლის და ერთ მშვენიერ დღეს შვეიცარიის ადგილას არ აღმოჩნდება. ამიტომ, მან უნდა შეძლოს ასეთ გარემოცვაში ცხოვრება; უნდა შეეცადოს, რომ საერთო ინტერესი გამონახოს რუსეთთან, იგივე, ეკონომიკური თუ კულტურული თანამშრომლობის თვალსაზრისით. ეს კი, თავისთავად, იმპულსს მისცემს უკეთეს პოლიტიკურ ურთიერთობას. თუმცა ამას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დასჭირდება.

საქართველომ, გარდა ამისა, საპირწონე ძალა უნდა შექმნას რეგიონში და თავისი ურთიერთობები უნდა განავითაროს თურქეთთან. თურქეთი სტრატეგიული მნიშვნელობის მოკავშირე უნდა გახდეს საქართველოსთვის. ის ნატო-ს წევრი, ევროკავშირის პოტენციური წევრი და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორია. ამიტომ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ ქვეყანასთან რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ამ თვალსაზრისით, შევარდნაძემ დიდი საქმე გააკეთა და ამას ახალმა ლიდერებმაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. თურქეთსა და რუსეთს შორის ისტორიული დაძაბულობა არსებობს, საქართველო კი ამ ორ ქვეყანას შორის არის. ამიტომ ის, თუ რა მოხდება საქართველოში, დიდ გავლენას მოახდენს თურქეთის ხედვაზე მთლიანად კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ, სადაც მას დიდი ინტერესი აქვს.

## ამერიკა და საქართველო ერთმანეთს „ახალ ენაზე" ესაუბრებიან



საქართველო-ამერიკა – პირველი ვიდეოკონფერენცია.

*გუშინ, თბილისის დროით 16.00 საათზე, თბილისსა და ვაშინგტონს შორის პირველი ვიდეოკონფერენცია გაიმართა. აშშ-ს მაღალჩინოსანთა დელეგაცია სახელმწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს დელეგაცია კი - თბილისში მდებარე ამერიკის საელჩოს შენობაში იმყოფებოდა. ამერიკულ მხარეს 12 მაღალჩინოსანი, მათ შორის, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო წარმოადგენდა. საქართველოს დელეგაციაში ქვეყნის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იმყოფებოდნენ.*

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ენერგეტიკის სფერო, თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის არსებული პრობლემები - ძირითადად, ეს საკითხები განიხილებოდა ვიდეოკონფერენციაზე.

ვიდეოკონფერენციის დამთავრების შემდეგ საქართველოს დელეგაცია აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. განსაკუთრებული ემოციები ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გამოხატა. ეს სავსებით ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ამერიკამ საქართველოს ყველანაირი მოკლევადიანი და გრძელვადიანი დახმარება აღუთქვა. ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობის გასაგონად ტელევიზიით განაცხადა, რომ ამერიკული დახმარების წყალობით, ჩვენი მოსახლეობა საახალწლოდ ხელფასებს მიიღებს.

ვიდეოკონფერენცია კონფიდენციალური იყო. გუშინ საღამოსვე ამ მნიშვნელოვან ფაქტს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პრესმდივანმა გიორგი არველაძემ საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა. **"აშშ მხარს უჭერს საქართველოს ახალი ხელისუფლების ნაბიჯებს",** - განაცხადა მან. არველაძის თქმით, ამერიკა იზრუნებს იმაზე, რომ საქართველოში პურის ფასი არ გაიზარდოს. ამ მიზნით აშშ საქართველოს ხორბლის დამატებით მარაგს გამოუყოფს.

ვიდეოკონფერენციის დროს საუბარი შეეხო აჭარასა და ცენტრს შორის ურთიერთობების მოგვარებას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აჭარის მონაწილეობის აუცილებლობაზე, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას არველაძემ.

პრეზიდენტის პრეს-მდივნის ინფორმაციით, ამერიკის საელჩოში საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ლინ პასკოს შორის გამართულ ვიდეოკონფერენციაზე ამერიკული მხარე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობითაც დაინტერესდა. აშშ ოპტიმისტურად უყურებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის მომავალ კვირისთვის დაგეგმილ მოსკოვურ ვიზიტს, რომლის დროსაც ბურჯანაძე და რუსეთის პრეზიდენტი პუტინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაგროვილ მრავალ საჭირბოროტო საკითხს განიხილავენ.

*24 საათი*

## ევროპის საბჭო კმაყოფილია არჩევნების მზადებით



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მათიას იორში იწონებს ცესკო-ს თავმჯდომარის გამბედაობას.

პირველი გვერდიდან

სამი დღის განმავლობაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხუთკაციანმა დელეგაციამ ახალი ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელი მოინახულა. მათ გარდა, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები "ახალი მემარჯვენეებისა" და "აღორძინების" წარმომადგენლებს და პრეზიდენტობის კანდიდატს ქართლოს ღარიბაშვილს შეხვდნენ. შეხვედრების შემდეგ უცხოელ სტუმრებს, როგორც თავად ამბობენ, ჩვენს ხელისუფლებაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დარჩათ. ყველაზე დიდი ეფექტი კი, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ მოახდინა.

**"მინდა, ხელი ჩამოვართვა გიორგი ბარამიძეს. ასეთი მკაფიო განცხადება არც ერთი შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ არ გაკეთებულა,"** - განაცხადა იორშმა ბარამიძის "საზეიმო ფიცის" შემდეგ, რომელიც ასე ჟღერდა: **"ნებისმიერი პირი, რომელიც არჩევნების ნორმალურად ჩატარებას შეუშლის ხელს, დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით. ნებისმიერი პარტიის მხარდაჭერა, გაყალბების სახით, არ დარჩება დაუსჯელი როგორც შსს-ს, ისე სხვა უწყებების მხრიდან."** იგივე დაპირება იორშს და მის თანმხლებთ ახალი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელმა მისცა. იორშსაც უკვე სჯერა, **"რომ ეს არჩევნები შეიძლება სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ ახალი ხელმძღვანელობა მაინც არჩევნების სამართლიანად ჩატარებას ეცდება. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვისწავლოთ გაყალბებისა და ხარვეზების ერთმანეთისგან განსხვავება".**

ევროპის საბჭოს წარმომადგენელთა შემაჯამებელი პრესკონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თემა აჭარის ავტონომია იყო. იორში აჭარის ავტონომიის ლიდერის კეთილ ნებასა და პოლიტიკურ გამჭრიახობაზე ამყარებს იმედებს და მიიჩნევს, რომ აჭარის ლიდერი ავტონომიის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ წაართმევს. გარდა ამისა, ასლან აბაშიძის საპრეზიდენტო არჩევნებისაკენ გულის მოსაბრუნებლად საფუძველი ახლა სტრასბურგშიც მზადდება. მათიას იორშის ცნობით, სტრასბურგში ყოფნის დროს ყოველ მაღალჩინოსანთან, **"პირველ რიგში, გენერალურ მდივან ვალტერ შვიმერთან, საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე პიტერ შრიოდერთან შეხვედრის დროს, ასლან აბაშიძეს არჩევნებში აჭარის მონაწილეობის აუცილებლობაში არწმუნებდნენ. შესაბამისად, აჭარამ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს."**

ამ არჩევნებისათვის ევროპის საბჭო საქართველოში, სადამკვირვებლო მისიით, ყველაზე დიდ დელეგაციას გამოგზავნის. **"45 კაცი, თანაც ახალი წლის პერიოდში, ნამდვილად დიდი დელეგაციაა,"** - დააზუსტა გუშინ იორშმა. კიდევ ერთი სიახლე: ევროპის საბჭომ საქართველოსათვის მიცემული რეკომენდაციების გადახედვა გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩაივლის და ახალი ხელისუფლება საბოლოოდ დაკომპლექტდება, ევროპის საბჭო საქართველოს ხელისუფლებასთან ხელახლა შეათანხმებს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ მისცეს.

# მიხეილ სააკაშვილის თხოვნა და მუქარა

პირველი გვერდიდან

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყველა ის სირთულე, რომელიც ამომრჩეველს, შესაძლოა, ამ პერიოდში შეხვდეს, დაძლეულია.

პირველ რიგში, ეს საბჭოთა პასპორტების მქონე ამომრჩევლებს ეხება. საქმე ის არის, რომ უკვე პირველ იანვარს საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიან პასპორტებს მოქმედების ვადა გასდის. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ამის მიუხედავად, ყველა ამომრჩეველი, ვისაც ასეთი პასპორტი აქვს, მაინც შეძლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

ამას გარდა, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ის ამომრჩევლები, რომლებსაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობები დაკარგული აქვთ, არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში უფასოდ შეძლებენ ახლის აღებას.

ერთი სიტყვით, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი არ მალავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესი. მით უფრო, რომ თუკი ამომრჩეველთა დიდი ნაწილი რეგისტრაციას არ გაივლის, მაშინ არჩევნებს რეალურად დაემუქრება ჩაშლის საფრთხე, რაც ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს – ოთხ იანვარს, პრეზიდენტის არჩევასთან ერთად, ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციაც უნდა მოხდეს; თუკი კენჭისყრა ჩაიშლება, მაშინ ქვეყნის პოლიტიკური მომავალი უკვე საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი გახდება.

ასე რომ, მიხეილ სააკავშილი სრულიად გულწრფელია, როცა მოსახლეობას სამოქალაქო აქტივობისკენ მოუწოდებს.

### რეალური ვითარება და რეალური დამნაშავეები

რაც შეეხება ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესს. დღეს თითქმის ყველგანაა გახსნილი საარჩევნო უბნები (აჭარის გარდა).

უკანასკნელი მონაცემებით, წინასწარი რეგისტრაცია 110 490-მა ამომრჩეველმა გაიარა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ეს ის მონაცემებია, რომელიც 64 საარჩევნო ოლქიდან არის იქ შესული.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ რეგისტრაციის დაწყების პირველი დღეებისთვის ეს კარგი მაჩვენებელია, მით უფრო, რომ პირველი ორი დღის განმავლობაში ყველა საარჩევნო უბანი გახსნილი არ იყო.

იგი ყურადღებას დაუფინანსებლობაზე ამახვილებს და იმედს გამოთქვამს, რომ **"როცა საარჩევნო ადმინისტრაციების დაფინანსების საკითხი მოგვარდება, მუშაობის ხარისხი (შესაბამისად, ამომრჩეველთა რეგისტრაციის მაჩვენებელი) მოიმატებს, რადგან საუბნო კომისიებს მუშაობა გაყინულ ოთახებში უწევთ."**

მართალია, რეგისტრაციის ვადების გაგრძელება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ამომრჩეველთა პასიურობის შემთხვევაში, შეიძლება, ეს მაინც მოხდეს, რაც მთლიანად არევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო გარფიკს და კენჭისყრის პროცედურისთვის მზადება უფრო გაჭირდება.

ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, რა სიტუაციაა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და სად და რამდენი საარჩევნო უბანია გახსნილი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს, რომ ორი ნოემბრის არჩევნების შედეგების გაყალბებაში საკმაოდ სერიოზული წვლილი სწორედ ასეთ უბნებს მიუძღვოდათ, მაგრამ იგი კონკრეტულ დამნაშავეებს არ ასახელებს.

სამაგიეროდ, საკმაოდ კატეგორიულია მიხეილ სააკაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ საზღვარგარეთ გახსნილი საარჩევნო უბნების უმეტესობა დასახურია, რადგან იქ არჩევნები ყალბდებოდა. იგი მთავარ დამნაშავეებსაც ასახელებს. ესენი არიან საქართველოს ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე და ვაჟა ლორთქიფანიძე.

### აჭარა და სააკაშვილის მუქარა

ამასობაში, აჭარის ხელისუფლება რეგიონის ტერიტორიაზე კვლავ არ ხსნის საარჩევნო უბნებს. ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა მთლიანად დამოკიდებულია ასლან აბაშიძისა და მისი გარემოცვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. დრო კი გადის და ნამდვილად არსებობს იმის საფრთხე, რომ აჭარა, ასლან აბაშიძის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ქვეყნის კონსტიტუციურ ჩარჩოებს მიღმა აღმოჩნდეს, რასაც შეიძლება, საკმაოდ სერიოზული პრობლემები მოჰყვეს.

მიხეილ სააკაშვილი უკვე პირდაპირ ემუქრება ასლან აბაშიძეს.

**"მან არ უნდა დააყენოს თავი საკონსტიტუციო სივრცის გარეთ. მე ვაპირებ, ვიყო არა მხოლოდ კახელების, ქართლელების, მეგრელების და სხვების, არამედ აჭარლების პრეზიდენტიც. რეპერსიებს არ ვაპირებ, მაგრამ თუ ასლან აბაშიძე გაბედავს და თავს დააყენებს კონსტიტუციური სივრცის მაღლა, იგი ძალიან მკაცრად დაისჯება. არ ვაპირებ, ვინმეს შევარჩინო ის, რომ აჭარლებმა ვერ შეძლონ, აირჩიონ საკუთარი პრეზიდენტი... მე მზად ვარ პიროვნულ დათმობებზე, დიალოგზე თუნდაც საბიუჯეტო უფლებამოსილებების თაობაზე, მაგრამ დათმობა საქართველოს ხარჯზე არ უნდა მოხდეს... ასლან აბაშიძის შვილი - გიორგი აბაშიძე თბილისშია გაზრდილი... მას აქ ბევრი ახლობელი და მეგობარი ჰყავს და ესმის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს აჭარის ასეთ მოქმედებას. ახალგაზრდა თაობა, მათ შორის - "აღორძინების კავშირის" ახალგაზრდა წევრები უნდა მიხვდნენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ წასვლა ეს საკუთარი თავისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანაა!"** - ასეთი მკვეთრი და პირდაპირი იყო მიხეილ სააკაშვილი.

# რა არის საჭირო ქართული ბიზნესის განვითარებისთვის

*დასავლეთის ქვეყნები, რომელთა მაგალითიც ქართველ პოლიტიკოსებსა თუ ეკონომისტებს ხშირად მოჰყავთ, ეკონომიკურ წინსვლას კერძო სექტორის სიძლიერეზე დაყრდნობით აღწევენ. დიდი თუ მცირე კორპორაციები ქმნიან სამუშაო ადგილებს, აწარმოებენ პროდუქციას, ხელს უწყობენ ტექნიკურ პროგრესს, იღებენ მოგებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით, ქართული მენტალიტეტისთვის) მიღებულ შემოსავლებს საზოგადოებაში ანაწილებენ. ეს მათი საქმიანობის წარმატებისა და ქვეყნის განვითარების დაკანონებული ფორმულა გახლავთ, რომელსაც უკლებლივ ყველა იცავს. ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კორპორაციულ მართვას - სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კერძო სექტორის ეფექტური ფუნქციონირება და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარება, სიღარიბის დაძლევა თუ პოლიტიკური სტაბილურობა. საქართველოში ამ საქმიანობით საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) არის დაკავებული; კერძოდ, იგი საქართველოში მოქმედი ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ახორციელებს კორპორაციული მართვის დანერგვას.*

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველო კარგა ხანია, რაც გარდამავალი პერიოდების ხანაში ცხოვრობს. უკანასკნელ დროს განვითარებული მოვლენების ფონზე კიდევ ერთი გარდამავალი პერიოდი დადგა. რისი გაკეთებაა პირველხარისხოვანი? IFC-ში აცხადებენ, რომ ისეთი პატარა და გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, განუვითარებელი კაპიტალის ბაზრითა და კერძო სექტორით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საკითხების საკანონმდებლო გზით რეგულირებას და შესაბამისი სანქციების დაწესებას, ეფექტიანი აღმასრულებელი ორგანოების, სასამართლო სისტემის არსებობას. მეორე მხრივ, კანონმდებელი ვერ უზრუნველყოფს კერძო ბიზნესის წარმატებას. ამას აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირთა მხრიდან სათანადო ინიციატივა და ეფექტიანი მენეჯმენტი სჭირდება. ასე რომ, თავად კომპანიებმაც არანაკლები წვლილი უნდა შეიტანონ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში და გააცნობიერონ, რომ ეს მათი და მთელი საზოგადოებისათვის წარმატების მიღწევის და კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზაა.

რაც შეეხება კორპორაციული მართვის დანერგვის ეფექტს, მათივე განმარტებით, შედეგი იქნება კომპანიების მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, მოგების ზრდა, რაც, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, კაპიტალის გაიაფებასა და საწარმოებისათვის საჭირო სახსრების უფრო იოლად მოპოვებას გამოიწვევს. IFC-ში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ფინანსური რესურსების უქონლობაა. ინვესტორები უნდობლობით ეკიდებიან კაპიტალის დაბანდებას ქვეყანაში, სადაც აქციონერთა უფლებები სათანადოდ არა არის დაცული. ხოლო ინვესტორთა ნდობის მისაპოვებლად შესაბამისი კონკურენტუნარიანი იურიდიული მექანიზმების შექმნა და დამკვიდრებაა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 43 ქვეყანაში უკვე მოქმედებს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სააქციო საზოგადოების შიდა ნორმებს არეგულირებს. ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიასა და საფონდო ბირჟასთან ერთად, მსგავსი კოდექსის შექმნას გეგმავს, რაც, მათი აზრით, კანონში არსებულ ვაკუუმს შეავსებს.

# „ბი-პი" სერიოზულ დათმობებზე მიდის

გუშინ საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ოფისში გაფიცულებსა და კონტრაქტორებს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართა. შეხვედრას საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც მხარი გაფიცულების მოთხოვნებს დაუჭირეს. ამის შემდეგ პროფკავშირების, გაფიცულთა და ნავთობის კორპორაციის დელეგაცია სამშენებლო კონტრაქტორის კომპანია „სპი კაპაგ-პეტროფანის" ოფისში მივიდა და მათთან მოლაპარაკებები გამართა.

კონტრაქტორს გაფიცულთა 12 მოთხოვნა წარუდგინეს და თითქმის ყველა მოთხოვნაზე კონტრაქტორი კომპანია დათმობაზე წავიდა. მათ შორის, დათანხმდა ადგილებზე ქართული ადმინისტრაციის შეცვლაზეც. ორშაბათამდე უპასუხოდ მხოლოდ ერთი – ხელფასების 50 პროცენტით მომატების საკითხი დარჩა. კონტრაქტორმა განაცხადა, რომ ხელფასებს აუცილებლად გაზრდის, თუმცა, რა რაოდენობით, ამას ამ დღეებში გადაწყვეტს. პროფკავშირებში აცხადებენ, რომ მათი ხელშეწყობით მუშებმა შეძლეს მათი მოთხოვნების კანონიერ ჩარჩოებში მოქცევა და შედეგსაც მიაღწიეს.

მშენებლობაზე გაფიცული მუშახელი მარნეულის რაიონში სამუშაო ადგილებს გუშინ დაუბრუნდა. მშენებლობის პროცესი ჯერ კიდევ შეჩერებულია თეთრიწყაროს, რუსთავისა და გარდაბნის რაიონებში. BTCco-ში აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველოში მილსადენის მშენებლობის პროცესი არ შეფერხებულა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუშახელი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები 15 დეკემბერს გაიფიცნენ. მუშები აცხადებდნენ, რომ ბაქოსა და თურქეთში მუშახელის ანაზღაურება საათში 2 აშშ დოლარს შეადგენს, საქართველოში კი მსგავსი სამუშაოები 1 ლარი ღირს.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზე გუშინ ლონდონშიც მსჯელობდნენ

გუშინ მილსადენის კომპანიის (BTCco) დირექტორთა საბჭოს სხდომამ ის ფინანსური დოკუმენტაცია დაამტკიცა, რომელსაც პროექტის კრედიტორები 2004 წლის იანვარში მოაწერენ ხელს. გუშინდელ სხდომაზე ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობისა და პროექტის დაფინანსების საკითხებიც განიხილეს. დირექტორთა საბჭოს სხდომა ლონდონში 16-17 დეკემბერს გაიმართა.

კომპანიის ინვესტორთა ამგვარი შეხვედრები ყოველკვარტალურად იმართება. საქართველოში დირექტორთა საბჭოს სხდომა ორჯერ - შარშან ოქტომბერში და წელს ივლისში გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ პროექტის მიხედვით, აზერბაიჯანში მილსადენის მშენებლობა 2004 წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს, საქართველოში - 2004 წლის ოქტომბერში, ხოლო თურქეთში - 2004 წლის დეკემბერში. მილსადენი ექსპლუატაციაში 2005 წლის პირველ კვარტალში უნდა შევიდეს. მილსადენის კომპანიას 11 აქციონერი ჰყავს, მათ შორის - კომპანია "ბი-პი" (30,1 პროცენტი), "სოქარი" (25 პროცენტი), "უნოქალი" (8,90 პროცენტი), "სტატოილი" (8,71 პროცენტი), "ტპაო" (6,53 პროცენტი), "ენი" (5 პროცენტი), "ტოტალფინაელფი" (5 პროცენტი), "იტოჩუ" (3,40 პროცენტი), "ინპექსი" (2,50 პროცენტი), "კონოკოფილიპსი" (2,5 პროცენტი) და "ამერადა ჰესი" (2,36 პროცენტი).

# „თბილგაზი" ახალ რეგისტრაციას იწყებს

"თბილგაზის ძველი ხელმძღვანელობის მიერ აბონენტთა ხელოვნურად შემცირებული რაოდენობის დასაზუსტებლად "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტი" ბუნებრივი აირის მომხმარებელთა ახალ რეგისტრაციას იწყებს.

მომხმარებელთა ახალი რეგისტრაციის პროცესში 12 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან შემდგარი სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო ჩაებმება, რომელიც თბილისის საკრებულოსთან მოქმედებს. ამასთან, რეგისტრაციის დღეს სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოსთან თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ. მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და "თბილგაზის" წარმომადგენელთა მიერ მობილური ჯგუფების დაკომპლექტებას ითვალისწინებს. ჯგუფები 20 დეკემბრიდან ერთი თვის განმავლობაში, ინკასატორებთან ერთად, თბილისის უბნებში გამრიცხველიანებას გააკონტროლებენ, აღურიცხავ აბონენტთა სიას შეადგენენ, აირის მომხმარებელ საწარმოებს და თითოეულ ოჯახში გაზის გამათბობლების სიმძლავრეს აღრიცხავენ. "თბილგაზში" აღნიშნავენ, რომ ეს ღონისძიება გამჭვირვალეობისა და მოსახლეობაში კომპანიის მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით ხორციელდება. "თბილგაზის" ახალი მმართველები აპირებენ, ახალი რეგისტრაციის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ სამართალდამცველ ორგანოებს აცნობონ. **ინტერ-პრესი**

## მონიტორინგი

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | 17 [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1123.45 | 863.38 | 77% | 3.21 |
| [illegible] | 833.7 | 615.95 | 74% | 2.34 |
| [illegible] | 659.9 | 532.83 | 81% | 2.21 |
| [illegible] | 240.25 | 208.77 | 87% | 0.68 |
| [illegible] | 49.5 | 38.76 | 78% | 0.39 |
| [illegible] | 239.79 | 193.25 | 81% | 0.25 |

# ხელისუფლება არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას იწყებს

თამარ ხორბალაძე



საგადასახადო კომიტეტი ფინანსთა სამინისტროს ინიციატივაზე მსჯელობს.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება, საბიუჯეტო სიტუაციის გამოსწორების მიზნით, არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას იწყებს.

გუშინდელი ოპოზიცია, რომელიც აწ უკვე ძველი ხელისუფლებისგან ხელფასებისა და პენსიების საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას და სხვა სოციალური ხარჯების გაზრდას ითხოვდა, საკანონმდებლო ორგანოში შედის ცვლილებათა პაკეტით, რომლის შინაარსიც, შესაძლოა, დღევანდელი ოპოზიციის ხელში სერიოზულ არგუმენტებად იქცეს.

მიუხედავად ამისა, დროებითი ხელისუფლება, რომელსაც მემკვიდრეობით "გახვრეტილი" ბიუჯეტი, ხელფასებისა და პენსიების, მათთან ერთად კი - სხვა დაცული მუხლების დავალიანებები ერგო, პრიორიტეტად ამ დავალიანებების გასტუმრებას ასახელებს და, ამ მოტივით, მომავალ წელს დაგეგმილ ზოგიერთი კატეგორიის ხელფასებისა და პენსიების ზრდაზე უარს ამბობს:

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, უნდა გადავადდეს სამედიცინო ობიექტებისთვის 2004 წლის 1 იანვრიდან შემოღებული მოგების, ქონებისა და მიწის გადასახადებისაგან გათავისუფლება, მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაწესებული შეღავათების ამოქმედება, ასევე ყოველთვიური პენსიის დანიშნვა ომისა და სამხედრო ძალების იმ ვეტერანებისათვის, რომელთა სამსახურებრივი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდებოდა საბრძოლო მოქმედებებს ან რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დროს დაინვალიდდნენ.

გადავადებას ექვემდებარება, აგრეთვე, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკებისთვის ნამსახურების მიხედვით დანამატების გაცემა და მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, რომელიც ხელფასების გაზრდას ითვალისწინებს.

არჩევანი გაკეთებულია - არჩევნების მოახლოების მიუხედავად, დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება ბიუჯეტის რეალობაზე მორგებას ითხოვს.

ამისათვის, ზემოთ მოხსენიებული ცვლილებების გარდა, გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის (ე.წ. ერთპროცენტიანი) გადასახადის მოქმედების ვადის გაგრძელება 2004 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ამ პერიოდისთვის საერთოდ უნდა გაუქმებულიყო.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს შეღავათების გაუქმებას საქართველოში იმპორტირებულ მინერალურ სასუქებზე, ალაოზე (ლუდის ნედლეული) და ზოგიერთ სხვა პროდუქციაზე.

აღნიშნული და სხვა შეღავათები მომავალი წლის ბიუჯეტისთვის ითხოვს 50-60 მილიონამდე დამატებით ხარჯს, რისი რესურსიც ამ ეტაპზე ქვეყანას არ აქვს - ასეთია ფინანსთა სამინიტროს არგუმენტები. ამ არგუმენტებს ამყარებს ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის გარღვევის მაჩვენებელი 300 მილიონს აღწევს და საქართველოს მასშტაბით ექვსი თვის პენსიაა დაურიგებელი, აღარაფერს ვამბობთ საბიუჯეტო ხელფასებზე და სხვა ხარჯებზე.

ამ ცვლილებების გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში ასევე მოამზადა იმპორტირებული ხორბლის 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლების, რკინიგზისთვის და ელექტროენერგიისთვის ძველი შეღავათიანი რეჟიმების გაგრძელების შესახებ კანონპროექტები. ამ ცვლილებების ერთ-ერთი მიზანი ელექტროენერგიის ტარიფისა და პურის ფასის ზრდის თავიდან აცილებაა.

ამ უკანასკნელი ცვლილებებისგან განსხვავებით, თავდაპირველად მოხსენიებულებს საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული წინააღმდეგობა რომ შეხვდება, ეს გუშინ გამართულ საგადასახადო საკითხთა კომიტეტის სხდომაზეც გამოჩნდა, სადაც მათ წინააღმდეგ იმავე აწ უკვე სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლებმაც გაილაშქრეს.

თუმცა სავარაუდოა, რომ შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, პარალამენტი ამ ცვლილებებს მაინც დაამტკიცებს.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გაკეთდა ხმამაღალი განცხადებებიც, ზოგადად, ქვეყანაში შექმნილ ფინანსურ სიტუაციასთან დაკავშირებით - საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის, დავით სალარიძის განცხადებით, კატასტროფული ვითარება, რომელიც წელს ნავთობის ბიზნესში შეიქმნა, დღემდე არასოდეს ყოფილა - **"ნავთობბიზნესიდან, 300 მლნ. ლარის ნაცვლად, მხოლოდ 100 მლნ-ია აკრეფილი".** სალარიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფისგან იმის დადგენას მოითხოვს, ვის ჯიბეში წავიდა 200 მლნ. ლარი.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯამბულ ბაკურაძე მოუწოდებს ფინანსთა ახალ მინისტრს, **"საგანგებო და სასწრაფო ყურადღება მიაქციოს საგადასახადო და საბაჟო სფეროებს".**

**"მეწარმეები უნდა გრძნობდნენ ახალი ხელისუფლების ახალ მითითებებს, თუმცა მათთვის არავის მიუთითებია, ფული ქრთამის სახით კი არა, ბიუჯეტში გადაიხადონ,"** - აღნიშნა მან.

ბაკურაძე ქრთამის ამღებთა გამოვლენას და დასჯას მოითხოვს. რაც შეეხება მეწარმეებს, იგი მათ არ ადანაშაულებს, ვინაიდან მიიჩნევს, **რომ "მეწარმეებს აიძულებენ, ქრთამი გადაიხადონ".**

# ანდრეი რაპაპორტი საქართველოს მთავრობისგან გარანტიებს იღებს და გარანტიებს იძლევა...

პირველი გვერდიდან

შეღავათიანი რეჟიმი ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისთვის 2003 წლის ოქტომბერში გაუქმდა, თუმცა მოგვიანებით გამოვიდა პრეზიდენტის სპეციალური განკარგულება, რომლის საფუძველზე შეღავათიანი რეჟიმი 1 იანვრამდე გაგრძელდა.

გუშინ ანდრეი რაპაპორტმა ამ საკითხზე დროებითი ხელისუფლებისგან დადებითი პასუხი მიიღო.

სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა დაადასტურა, რომ **"ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისთვის აღდგენილი იქნება შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი. საგადასახადო კოდექსში შესატანი აღნიშნული ცვლილებების პროექტი უკვე მომზადებულია, იგი შესულია პარლამენტში და უახლოეს ხანებში კენჭისყრაზეც დადგება".**

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ზამთრის პერიოდში საქართველოს მთავრობა სხვა გადაწყვეტილებებს ვერც მიიღებდა, ხოლო როდემდე გაგრძელდება ეს საგადასახადო შეღავათი, ფინანსთა მინისტრი არ აკონკრეტებს.

აქვე ცნობილი ხდება, რომ გუშინ ანდრეი რაპაპორტთან საუბარი "თელასის" მიმართ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანებებსაც შეეხო. ნოღაიდელის განცხადებით, იგი მზად არის, რომ ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო ბიუჯეტმა დაფარონ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური და ეს თანხები განსაზღვრული იქნება 2004 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას.

რაც შეეხება წესრიგის დამყარებას ენერგოსისტემაში - ეს საკითხი ეხება დავას "საქართველოს ენერგოსისტემასა" და „თელასს" შორის. როგორც ცნობილია, „თელასი" სახელმწიფო ენერგოსისტემას ადანაშაულებს, თითქოს ეს უკანასკნელი მას საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიას არ აწვდის. „თელასის" განცხადებით, მას ეს ელექტროენერგია კანონით ეკუთვნის, ვინაიდან იგი ელექტროენერგიის უმეტეს ნაწილს თავად ყიდულობს, ხოლო რასაც ადგილობრივი გენერაციის საშუალებებიდან იღებს, მის საფასურს 100 პროცენტით იხდის.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ გუშინ თბილისს ელექტროენერგია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიეწოდებოდა. „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ვალერი ფანცულაიას განცხადებით, კომპანია სახელმწიფო ელექტროსისტემისაგან 450 მგვტ ელექტროენერგიას იღებს, რაც დედაქალაქის ყველა უბნის ელექტრომომარაგებისთვის საკმარისია.

**"აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა სახელმწიფო ელექტროსისტემიდან საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიის მოწოდება, რასაც სახელმწიფო ელექტროსისტემა რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ ახერხებდა",** - განაცხადა ვალერი ფანცულაიამ.

თავად ანდრეი რაპაპორტის თქმით კი, ეს პრობლემა "თელასის" მიერ შექმნილი არ იყო. **„ჩვენს ელექტროენერგიას ის სუბიექტები იღებდნენ, რომლებსაც ჩვენთან ელექტროენერგიის მიღებაზე ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვთ",** — განაცხადა მან.

ანდრეი რაპაპორტის ვიზიტი საქართველოს ხელისუფლებასა და რუსულ მხარეებს შორის მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა.

მემორანდუმის მიხედვით, "თელასი" იღებს ვალდებულებას, რომ თბილისს ელექტროენერგიას შეუფერხებლად მიაწვდის. თავის მხრივ, ქართული მხარე მას დღგ-ს შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას ჰპირდება.

ხელმოწერის შემდეგ ანდრეი რაპაპორტმა განაცხადა, რომ რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის მხრიდან პრობლემები არ შეიქმნება. საქართველო რუსეთიდან იმდენ ელექტროენერგიას მიიღებს, რამდენიც საჭირო იქნება. იგი მზადაა, დენის მოწოდებაზე ხელშეკრულება საქართველოს გაერთიანებულ და სხვა სადისტრიბუციო კომპანიებთან გააფორმოს.

# ევროს კურსის ზრდა ძველ კონტინენტზე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს

ადამ მჭედლიძე

ევროპის ერთიანი ვალუტა კვლავაც განაგრძობს აღმასვლას. ევრომ ახლახან ახალი რეკორდი დაამყარა და 1,2423 დოლარს გაუტოლდა. ცხადია, ერთი შეხედვით, ეს დადებით მოვლენად აღიქმება ძველი კონტინენტის ეკონომიკისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, სპეციალისტთა უმრავლესობა შიშობს, რომ ევროს ამგვარი გამყარება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ევროპულ საქონელს მსოფლიო ბაზარზე. ერთიანი ვალუტის გამყარებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ევრობანკის ახალი პრეზიდენტი ჟანკლოდ ტრიშეც არ უყურებს მაინცდამაინც კარგი თვალით ერთიანი ვალუტის კურსის აწევას.

"უოლ სტრიტ ჯორნალისათვის" მიცემულ ინტერვიუში ტრიშეს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია ევროს ახლანდელი კურსის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ **"ევროპაცა და აშშ-ც მყარი და სტაბილური ვალუტის კურსს მისდევენ."**

ცხადია, ეს გამონათქვამი შეიძლება გარკვეულ ეჭვქვეშ დავაყენოთ, რადგან სპეციალისტთა უმრავლესობისათვის აშკარაა, რომ ვაშინგტონი დიდად არ ზრუნავს დოლარის სიმყარეზე და მიესალმება კიდეც ევროს მიმართ "ამერიკული მწვანეს" ასეთ დაცემას, რადგან ამის ხარჯზე აშშ-დან ექსპორტი იზრდება და, შესაბამისად, ქვეყნის უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტიც დაბლა იწევს.

ტრიშეს ზოგიერთი სხვა გამონათქვამიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ევრობანკი კმაყოფილია ევროს კურსის 1999 წლის მაჩვენებლების ფარგლებში დაბრუნებით, მაგრამ ამავე დროს ტრიშეს არანაირად არ მიუნიშნებია, რომ იგი ევროს კურსის შემდგომ ზრდას მიესალმება. როგორც ჩანს, ფრანგ ბანკირს კარგად ესმის, რომ ევროს კურსის სტაბილიზაციის გეგმა, რომელზეც ამდენს ზრუნავდა მისი წინამორბედი ვიმ დაუზენბერგი, "გადაჭარბებით შესრულდა" და ახლა ევრობანკმა უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ევროს სიმყარით ხელი არ შეუშალოს ძველი კონტინენტის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. აღსანიშნავია, რომ ევროს კურსის გამყარების გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვა რამდენიმე ევროპულმა კომპანიამ ("ფოლკსვაგენმა," "ნოკიამ"). აეროკოსმოსურმა გიგანტმა "იეიდიესმა" კი განაცხადა, რომ თუკი ევრო დოლართან მიმართებაში 1,3-იან ზღვარს გადააბიჯებს, მაშინ კომპანიას თანამშრომელთა დიდი ნაწილის დათხოვნა მოუწევს.

სწორედ ამაზე გააკეთა განცხადება რომანო პროდიმაც. მართალია, ფორმალურად ამ უკანასკნელს ევროპის ეკონომიკაში ჩარევის უფლებამოსილება არ გააჩნია, მაგრამ მისი სიტყვა, ცხადია, ბევრს ნიშნავს. პროდიმ პირდაპირ განაცხადა, რომ ევროს შემდგომი აწევა აუცილებლად გამოიწვევს პრობლემებს და იქვე აღნიშნა, რომ ევრობანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის (რომელიც ახლა 2 პროცენტს შეადგენს) შემცირება ევროპის ეკონომიკას საჭირო სტიმულს მისცემს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, წესით და რიგით, ევროს ზრდა უნდა შეჩერდეს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ძალიანაც აძლევს ხელს აშშ-ს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" დედაქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე თანამედროვე ტიპის, საერთაშორისო საბანკო სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა. გუშინ გამართულ, ცენტრის პრეზენტაციაზე "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განაცხადა, რომ კიდევ ერთი ახალი სერვის-ცენტრის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მხრივ. კერძოდ, ბანკის კლიენტებს საშუალება ეძლევათ, ჩაატარონ ნებისმიერი საბანკო ოპერაცია და მიიღონ ნებისმიერი საბანკო პროდუქტი. "გქბ"-ს ახალი სერვის-ცენტრი როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს მოემსახურება და კლიენტურას ყველა სახის საბანკო პროდუქტს შესთავაზებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ისაკაძე ამერიკის სავაჭრო პალატამ სპეციალური ჯილდოთი დააჯილდოვა, უცხოელ ინვესტორთა ინტერესების დაცვისა და დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

სავაჭრო პალატაში განაცხადეს, რომ გიორგი ისაკაძე მათი მუდმივი პარტნიორი იყო უცხოური ინვესტიციების განვითარებისა და დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც ამერიკის სავაჭრო პალატის ყოველთვიური გამოცემა "amcham news" იუწყება, საქართველოს მთავრობამ უცხოური ინვესტიციების დაცვის საკითხს კვლავ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი კმაყოფილია იმით, რომ პრეზიდენტის ახალი რწმუნებული იმერეთში მას ე.წ. სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებაში ხელს არ შეუშლის. სორნტონის თქმით, ყოფილი რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის დროს იგი ვერ ახერხებდა გრაფიკის დაცვას, რადგან შაშიაშვილი თვითნებურად იჭრებოდა ქვესადგურებში და ანათებდა რეგიონს, ახალი რწმუნებული კი მას ცალკეული ქალაქებისა და რაიონების გრაფიკით ელექტრომომარაგებაში არ ეწინააღმდეგება. დევიდ სორნტონი გუშინ ქუთაისში იმყოფებოდა და პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს იმერეთის მხარეში დავით მუმლაძეს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე გუშინ სავაჭროდ წარდგენილი 11 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ ოთხის აქციები გაიყიდა. საქართველოს საფონდო ბირჟაზე განაცხადეს, რომ ორი გარიგებით გაიყიდა "ბახტრიონის", "ცირკის," "ლინოსა" და "ტრანსმშენის" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ - 5007 ცალი, ღირებულებამ კი 2181,10 ლარი შეადგინა. გუშინ საფონდო ბირჟაზე რიგით 97-ე ვაჭრობა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქვეყნის საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის მოცულობამ 30 974 ათასი ლარით მოიმატა, სისტემის წმინდა საშინაო აქტივების მოცულობა კი 212 566 ათასი ლარით გაიზარდა. 2003 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მთავრობის წმინდა დავალიანება 71 485 ათასი ლარით გაიზარდა, 199 758 ათასი ლარით მოიმატა დანარჩენი ეკონომიკის დავალიანებამ. ამავე პერიოდში ფართო ფულის მოცულობა 269 856 ათასი ლარით გაიზარდა, უცხოური ანაზრების გარეშე კი ფართო ფულმა 95 703 ათასი ლარით მოიმატა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გალი.** "ენგურჰესის" წყალსაცავის ჰიდრორესურსის გამოყენების გეგმა-გრაფიკის შესათანხმებლად, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი დღეს გალის რაიონს ეწვევა. შეხვედრა ორი დღის წინ უნდა გამართულიყო, თუმცა მინისტრის აფხაზ კოლეგებთან სტუმრობა გაურკვეველი მიზეზებით გადაიდო.

ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ იგი აფხაზური ენერგოკომპანია "ჩერნომორენერგოს" დირექტორს სერგეი ბალაფშს და გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რუსლან ქიშმარიას შეხვდება. მან იმედი გამოთქვა, რომ დღევანდელი შეხვედრა კონსტრუქციული იქნება და ქართული მხარე შეძლებს აფხაზების დარწმუნებას იმაში, რომ ჰესის წყალსაცავში არსებული მარაგის შენარჩუნება ამჟამად აუცილებელია.

ექსპერტთა შეფასებით, "ენგურჰესის" წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსი შესაძლოა, 10 იანვარს ამოიწუროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მისი თანამემამულეების "თელასში" მუშაობით კმაყოფილია. გუშინ მან რუსული კომპანია "РАО ЕЭС"-ის მფლობელობაში არსებული მე-9 ენერგობლოკი მოინახულა.

ამჟამად მე-9 ენერგობლოკი 210 მეგავატი სიმძლავრის დატვირთვით მუშაობს, თუმცა როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა განაცხადა, "თელასის" მიერ ნაყიდი ელექტროენერგია ხშირად თბილისამდე ვერ აღწევს, რაც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ მომხმარებლებში ელექტროენერგიის არასწორ განაწილებას უკავშირდება. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში დღეს ორ ტელეკომპანიას შორის საეთერო ტელემაუწყებლობის ლიცენზიის მიღებაზე კონკურსი გაიმართება. მარეგულირებელ კომისიაში განაცხადეს, რომ კონკურსი გამოცხადებულია მეცხრე სამაუწყებლო ზონაზე, რომელიც ფოთის, სენაკის, მარტვილის, აბაშისა და ხობის რაიონებს მოიცავს. მასში ტელეკომპანია "იბერია" და ადგილობრივი კომპანია შპს "ფაზისი" მონაწილეობენ. ლიცენზიის საწყისი ფასი 30 807ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

# პუტინს ისევ სურს პრეზიდენტობა

პირველი გვერდიდან

პუტინის სამსაათიანი ინტერვიუ რუსეთის მოსახლეობასთან მეტად საინტერესო აღმოჩნდა. პუტინი კონსტიტუციაში ცვლილებებზე, დუმის არჩევნების შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ სპექტრზე, ეკონომიკურ განვითარებასა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებზე საუბრობდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების თემა დუმის არჩევნების შემდეგ გახდა აქტუალური. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დუმის ახლანდელი შემადგენლობა პუტინს საშუალებას აძლევს, შეცვალოს კონსტიტუცია და პრეზიდენტის პოსტზე მესამედ არჩევა შესაძლებელი გახადოს. პუტინი კი ამბობს, რომ ნებისმიერ საკონსტიტუციო ცვლილებას უარყოფითად აფასებს. “მოდით, 2004 წლამდე დავიცადოთ და მხოლოდ ამის მერე დავიწყოთ საუბარი 2008 წლის არჩევნებზე,” - არ ჩქარობს პრეზიდენტი.

პუტინი აშკარად კმაყოფილია დუმის არჩევნებით და სულაც არ მიიჩნევს ამას დემოკრატიის დასამარებად. მართალია, მას გული შესტკივა, რომ ლიბერალები პარლამენტს მიღმა დარჩნენ, მაგრამ ამაში თავად ამ პარტიების მიერ დაშვებულ ტაქტიკურ შეცდომებს ადანაშაულებს, რაშიც, რთულია, მას არ დაეთანხმო. სამაგიეროდ, პუტინი იმედოვნებს, რომ პარლამენტის ახალი შემადგენლობა რუსეთში ძლიერი მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული ძალების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მომავალ მემარჯვენეებად პრეზიდენტს “ერთიანი რუსეთი” ესახება, ხოლო მემარცხენე-ცენტრისტებს, ალბათ, როგოზინისა და ზიუგანოვის გაერთიანებებში ხედავს. პუტინმა ისიც თქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტის ნებისმიერი იდეა უაზრობაა.

პრეზიდენტი არ ემხრობა ნაციონალურ-შოვინისტური იდეების მომრავლებას რუსეთში და ლოზუნგს - “რუსეთი რუსებისათვის” პროვოკაციას უწოდებს. ამ ლოზუნგების ავტორების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, - მიიჩნევს პუტინი. იგი არ ემხრობა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გამწვავებასაც. “თქვენ გინდათ, რომ მეზობლებს სამარადჟამოდ გადავეკიდოთ?” – ასეთი იყო პუტინის პასუხი კითხვაზე, შეიერთებს თუ არა რუსეთი საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს. მოსკოვი თავის თავზე აიღებდა ამ რეგიონების უსაფრთხოების გარანტიებს, ოღონდ, თუ ისინი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას შეძლებენ, - ასკვნის პუტინი.

ინტერვიუ თითქმის სამი საათი გაგრძელდა და სხვადასხვა თემებს, მათ შორის - დუმის არჩევნების დღეს, 7 დეკემბერს გაჩენილი, პუტინის ძაღლის ლეკვების მდგომარეობას შეეხო. უნდა ითქვას, რომ ეს ინტერვიუ ტრადიციულია და უკვე მესამე წელია, რაც იმართება. წლევანდელი ინტერვიუს განსაკუთრებული ხასიათი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბრწყინვალედ დადგმული წინასაარჩევნო შოუ იყო.



პრეზიდენტის წლევანდელი ინტერვიუ ბრწყინვალედ დადგმული წინასაარჩევნო შოუ იყო.

# მოსკოვში რასიზმი ძლიერდება

*რუსეთის დიდ ქალაქებში სხვადასხვა ქუჩური დაჯგუფებები უცხო ქვეყნის მოქალაქეებს რომ არ სწყალობენ, სიახლეს აღარ წარმოადგენს. თავგადაპარსული რასისტების განსაკუთრებული რისხვა შავკანიანებს და კავკასიური წარმოშობის მოქალაქეებს ატყდებათ. გაჩნდა საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ რამდენიმე კვირის წინ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში გაჩენილი ხანძარი სწორედ ამ რასისტების ნახელავია. ამ პრობლემაზე საკმაოდ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემა “ინთერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნმა”, რომელსაც “24 საათი” უცვლელი სახით გთავაზობთ.*

კონსტანტინ ოლივერა მოსკოვურ დილას იატაკიდან ასი აზიდვით იწყებს: ის დღის ყველაზე სახიფათო მომენტისათვის ემზადება – ქიმიის გაკვეთილზე დასასწრებად ქალაქის მეორე ბოლოში მეტროთი უნდა გაემგზავროს.

23 წლის ოლივერა კამერუნელი სტუდენტია. როგორც სხვა აფრიკელი სტუდენტები რუსეთში, ისიც ამბობს, რომ როდესაც საერთო საცხოვრებელს ტოვებს, რასისტებისგან ყოველ წუთს საფრთხეს გრძნობს. ხუთი წელია, რაც ის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში სწავლობს, სადაც სტუდენტების მესამედი განვითარებადი ქვეყნებიდან არიან. ამ ხნის მანძილზე მას ბევრჯერ მიაყენეს შეურაცხყოფა, ბევრჯერ სცემეს და რამდენჯერმე ესროლეს კიდეც.

**“ჩხუბისთვის მუდამ მზად უნდა იყო - მეტროში, ქუჩაში, ყველგან. ამიტომ მჭირდება ყოველ დილით ასჯერ აზიდვა,”** - ამბობს ის.

უცხოელებზე - აზიელებზე, არაბებზე, განსაკუთრებით, შავკანიანებზე - რასისტების თავდასხმა დიდი ხნის პრობლემაა. მათ მსხვერპლს არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ დიპლომატები და ის საზღვაო ქვეითებიც წარმოადგენენ, რომლებიც აშშ-ს საელჩოს იცავენ. შარშან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 37 აფრიკული ქვეყნის ელჩებმა თხოვნით მიმართეს. ისინი თავიანთი მოქალაქეების დაცვას ითხოვდნენ.

უფლებადამცველ ჯგუფებს გააჩნიათ დოკუმენტირებული ინფორმაცია რასისტული გამოხდომების შესახებ, რაც არცთუ იშვიათად მილიციის მხარდაჭერით ხდება. სამი კვირის წინ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მომხდარმა ხანძარმა, რამაც 42 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უცხოელი სტუდენტების შიში გააძლიერა. რამდენიმე ჩინელმა სტუდენტმა სწავლა შეწყვიტა კიდეც და სამშობლოში დაბრუნდა.

**“თუკი ამგვარი რამ კიდევ განმეორდება, ჩვენ ყველანი წავალთ. ერთადერთი, რასაც ვნატრობ, არის ის, რომ მალე დავასრულო სწავლა და რუსეთიდან სამუდამოდ წავიდე,”** - აცხადებს 23 წლის გაბონელი სტუდენტი.

თუმცა, ხანძარს ოფიციალურად უბედური შემთხვევის კვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ სტუდენტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ვიღაცამ სპეციალურად წაუკიდა შენობას ცეცხლი. მათი თქმით, უნივერსიტეტში რამდენიმე კვირის განმავლობაში მოდის გაფრთხილება აფეთქების შესახებ, რის შემდეგაც სტუდენტები ხან დღისით და ხანაც გვიან ღამით ყინვაში გარეთ გადიან. ვინც ხანძარს გადაურჩა, აცხადებს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის რეაქციამ კიდევ უფრო გაუძლიერა იმის შეგრძნება, რომ ისინი მოძულებულნი არიან. **“მათ დასვენების დღეც კი არ მოგვცეს. შენობაში იმყოფებოდნენ სტუდენტები, რომლებიც ამსხვრევდნენ ფანჯრების მინებს და შველას ითხოვდნენ. ხანძარი დილის 4-5 საათზე გაჩნდა, ხოლო ცხრა საათზე სტუდენტები მეცადინეობაზე წავიდნენ. ამან მე ძალიან გამაკვირვა. უკაცრავად, თუ არ ვარ მართალი, მაგრამ ვფიქრობ, ისინი ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ დაღუპულები უცხოელები იყვნენ,”** - ამბობს სიდნი ოკრანი, 23 წლის სტუდენტი ლიბერიიდან, რომელიც ხანძარს ვიდეოკამერით იღებდა.

ოკრანის მიერ აღწერილი დამოკიდებულება, დიდი ხანია, რუსული სულის სიღრმეში დევს, მაგრამ ბოლო დროს ეს გრძნობა ძლიერდება, - აცხადებს ალექსანდრ ბროდი, მოსკოვის უფლებათადამცველი საზოგადოებრივი ბიუროს დირექტორი, რომელიც რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემებს იკვლევს.

სკინჰედების (თავგადაპარსულები) დაჯგუფებები სულ უფრო და უფრო იზრდება და ისინი უდიდეს დახმარებას და მხარდაჭერას ღებულობენ ნაციონალისტური პარტიებიდან და გამოცემებიდან.

**“მთელი ეს ნაცისტური იდეოლოგია ყველა არარუსის მიმართ სიძულვილს აღვივებს. ბევრი სკინჰედებს ბანდიტებად და ხულიგნებად კი არ მიიჩნევს, არამედ რუს პატრიოტებად, რომლებიც სუფთა საზოგადოებისათვის იბრძვიან,”** - აცხადებს ბროდი.

ამ ზაფხულს ეს თავის თავზე გამოსცადა 19 წლის მალაიზიელმა, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა გოგონამ, რომელიც რესტორან “მაკდონალდსში” სცემეს.

**“მათი დევიზია: რუსეთი რუსებისათვის. ისინი თან მცემდნენ და თან იცინოდნენ. მათ იმიტომ მცემეს, რომ თავზე ჩადრი მქონდა მოხვეული. მათ ეს არ მოეწონათ,”** - ჰყვება გოგონა, რომელმაც ვინაობის დასახელებაზე უარი თქვა.

კონსტანტინ ოლივერა ამბობს, რომ თავდასხმა შეიძლება ნებისმიერ დროს და ადგილას მოხდეს, მაგრამ არსებობს განსაკუთრებული ადგილებიც, **“მაგალითად, მეტროს მწვანე ხაზი. თუ თქვენ სიკვდილი გსურთ, ამ ხაზით დილის 6 საათზე იმგზავრეთ,”** - ამბობს ის.

ბევრი სტუდენტი დარწმუნებულია, რომ ეროვნული დღესასწაულების და სპორტული ღონისძიებების დროს, როდესაც ქუჩები მთვრალებით არის სავსე, უმჯობესია, საერთოდ არ გახვიდე გარეთ.

ოკრანი ლტოლვილია. მან ომში ჩაფლული ლიბერია 13 წლის წინ დატოვა და განაში თავშესაფარი მიიღო. მან სტიპენდიაც მოიგო და მოსკოვში სასწავლებლად ჩავიდა, სადაც ახალი საფრთხე დაემუქრა.

**“მე თავს უსაფრთხოდ მხოლოდ ჩემს ოთახში ვგრძნობ, ისიც მხოლოდ 60 პროცენტით,”** - აცხადებს ის. სხვა ღარიბი სტუდენტებისგან განსხვავებით, მას შეუძლია საზაფხულო არდადეგები მოიწყოს და ლტოლვილთა ბანაკში თავისი ცოლი და შვილებიც მოინახულოს. **“როდესაც მე განაში ვბრუნდები, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ციხიდან გამათავისუფლეს. როდესაც თვითმფრინავში ვჯდები, ძალიან ბედნიერი ვარ. იქ არ მიწევს იმაზე ფიქრი, თუ ვინ შეიძლება ცემით დამემუქროს,”** - ამბობს ოკრანი.


თავგადაპარსული რასისტები პროპაგანდას უსმენენ.

## მოკლედ

# ირანი 100 მილიარდ დოლარს ითხოვს

ერაყის მმართველი საბჭოს ლიდერმა აბდელ აზიზ ალ-ჰაკიმმა განაცხადა, რომ ირანმა კომპენსაცია უნდა მიიღოს იმ ომისათვის, რომელიც სადამ ჰუსეინმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ 1980 წელს გააჩაღა. მან აღნიშნა, რომ გაერო-მ აღიარა ირანის უფლება კომპენსაციაზე, თუმცა, ჯერჯერობით, არ არის დადგენილი, უნდა აანაზღაუროს თუ არა ერაყმა ეს ზარალი.

ირანის ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ რვაწლიანი ომის გამო, მათმა ქვეყანამ ასი მილიარდი ამერიკული დოლარის კომპენსაცია უნდა მიიღოს. **“გაერო-ს წესების თანახმად, ირანი რეპარაციას იმსახურებს. ქვეყნის ინტერესები დაცული უნდა იყოს. ამ თანხის ჩვენ მიერ გადახდის საკითხი ჯერ არ განხილულა,”** - ამბობს ჰაკიმი. დამკვირვებელთა თქმით, ჰაკიმის განცხადება ხელს შეუწყობს ერაყსა და ირანს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, სადამ ჰუსეინის დაპატიმრების შემდეგ. ანალიტიკოსების აზრით, ერაყის მომავალი ხელისუფლება, სადაც უმრავლესობა შიიტებს ექნებათ, ირანთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე აიღებს კურსს. ირანთან ომის დროს, რასაც მილიონამდე ირანელის სიცოცხლე შეეწირა, ერაყმა ქიმიური იარაღიც გამოიყენა.

## ორი სიტყვით

**შვედეთი.** საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელობა, როგორც ჩანს, გახსნილია. პოლიციის მიერ ადრე დაკავებული 25 წლის მიხაილო მიხაილოვიჩის დნმ ემთხვევა მკვლელობის დროს გამოყენებულ დანაზე აღმოჩენილ დნმ-ს. ამით გამოძიებას ჭეშმარიტი დამნაშავის ვინაობაში უკვე ეჭვი აღარ ეპარება. სასამართლო პროცესი შეიძლება უკვე იანვარში დაიწყოს. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს მეგობარ პოლიტიკოსადაც მიიჩნეოდა, 10 სექტემბერს სტოკჰოლმის უნივერმაღში მოკლეს. მიხაილოვიჩი ბრალდებას უარყოფს.

■ ■ ■

**გერმანია.** ეგონ კრენცი, გდრ-ის უკანასკნელი მთავრობისა და პარტიის ლიდერი გუშინ დროზე ადრე გაათავისუფლეს ციხიდან. ასეთი გადაწყვეტილება ბერლინის სასამართლო პალატამ კრენცის ადვოკატის შუამდგომლობის შემდეგ მიიღო. კრენცი, ერიხ ჰონეკერის შემდეგ, 1989 წლის ოქტომბერ-დეკემბერში იყო გდრ-ის პარტიისა და მთავრობის ლიდერი. 1997 წელს იგი გფრ-სთან საზღვრის დარღვევის დროს მომხდარ ოთხ სხვადასხვა მკვლელობასთან კავშირის ბრალდებით გაასამართლეს და ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გდრ-ის ყოფილი ლიდერი ციხეში 1999 წლიდან იჯდა.

# "ევროპარლამენტი ქართველ ხალხს მომხდარ ცვლილებებს ულოცავს"

პირველი გვერდიდან

ამგვარი მხარდაჭერა საქართველოსადმი ჯერ არათუ ევროპარლამენტის, მსოფლიოს არც ერთ საკანონმდებლო ორგანოს არ გამოუხატავს. დემოკრატიულ რევოლუციებს ევროპა გულგრილად ვერ უყურებს, მით უმეტეს, რომ საქართველოში მოვლენების ასეთ განვითარებას დასავლეთი ნამდვილად არ მოელოდა.

რეზოლუცია, რომლიდანაც მოყვანილია ხსენებული ფრაგმენტი, ევროპარლამენტმა გუშინ, 61 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო.

მხარდაჭერის გამოხატვის გარდა, რეზოლუცია კონკრეტულ რეკომენდაციებსაც შეიცავს.

ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო წინადადებას აძლევს გაერო-სა და ეუთო-ს, განაახლოს მცდელობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ევროპარლამენტი არაორაზროვნად მოითხოვს რუსეთისაგან, თავი შეიკავოს საქართველოში დესტრუქციული მოქმედებებისაგან და გაიყვანოს სამხედრო ბაზები:

ევროპარლამენტი **"მოუწოდებს ევროპის საბჭოსა და ევროპის კომისიას, სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო პროცესი ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებში მუდმივი განხილვის საგნად აქციოს, რათა შეიქმნას პირობები არსებული ჩიხიდან გამოსასვლელად, გმობს საქართველოს სამი სეპარატისტულად განწყობილი ლიდერის მიერ მოსკოვში გამართულ შეხვედრას, და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, კონსტრუქციული როლი შეასრულოს თბილისში დაძაბულობის შენელებაში.**

**ევროპარლამენტი სინანულს გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის მიერ აჭარასთან სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან და აფხაზეთისა და აჭარის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალქეობის დაჩქარებულ მინიჭებასთან დაკავშირებით."**

ევროპარლამენტი **"მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან, შეასრულოს 1999 წლის სტამბოლის სამიტზე აღებული ვალდებულება და დაუყოვნებლივ გაიყვანოს სამხედრო ბაზები საქართველოდან."**

ევროპარლამენტი არა მხოლოდ რუსეთს სთხოვს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას, თავადაც გამოთქვამს მზადყოფნას, საქართველოს დახმარება აღმოუჩინოს:

**"საქართველოში ეკონომიკური კოლაფსის ფონზე, ევროპარლამენტი გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას ქართველი ხალხის კეთილდღეობასთან დაკავშირებით და სთხოვს ევროკომისიას, დაუყოვნებლივ მოამზადოს წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დახმარება აღმოვუჩინოთ ქართველ ხალხს გათბობაში, ელექტროენერგიით მომარაგებაში, საკვებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფაში."**

პარლამენტი მოითხოვს, რომ ცალკე ფინანსური დახმარება გამოიყოს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, თავისუფალი მედიისა და არასამთავრობო სექტორის დასახმარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტი ამ რეზოლუციით საქართველოსადმი კეთილგანწყობასა და მხარდაჭერის სურვილს გამოხატავს, დეპუტატთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს საკმარისი არ არის და რევოლუციის შემდეგ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ ეტაპზე უნდა ავიდეს.

პარლამენტის წევრმა ოლივიე დიუპუამ ევროპულ საბჭოს (ევროკავშირის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების საბჭო) პირდაპირ მოსთხოვა, დაიწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის განხილვა.

**"ბატონო მინისტრო, რატომ გგონიათ, რომ 35 წევრისაგან შემდგარი ევროკავშირი პრინციპულად განსხვავებული იქნება 32 ქვეყნის კავშირისაგან? საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და მას ისეთივე უფლება აქვს, გახდეს ევროკავშირის წევრი, როგორც ბალკანეთის ქვეყნებს. არ მესმის, რატომ ცდილობთ გვერდი აუაროთ კითხვას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით?"** – მიმართა მან პარლამენტის სხდომაზე მყოფ ევროპული საბჭოს წარმომადგენელს, იტალიის საგარეო საქმეთა მოადგილეს, რობერტო ანტონიონის.

**"მე არ ვცდილობ, გვერდი ავუარო კითხვას,** – უპასუხა ანტონიონიმ, – **უბრალოდ, ძნელია პასუხი გასცე ქვეყანას, რომელსაც არ მოუთხოვია ევროკავშირში გაწევრიანება და არც ის უთქვამს, რომ მომავალში აპირებს მოთხოვნას. ყოველ შემთხვევაში, სანამ საქართველოზე სერიოზულად ვიფიქრებთ, საჭიროა, რომ ამ ქვეყანაში შესაფერისი ვითარება შეიქმნას. იმისათვის, რომ გაწევრიანებაზე ვიფიქროთ, თუნდაც შორეული მომავლისათვის, საჭიროა პროგრესის მიღწევა.**

**გულახდილად რომ გითხრათ, საბჭოს არასოდეს უფიქრია იმაზე, რომ აპრიორი მოეხაზა ევროკავშირის საზღვრები. ასე რომ, ამ ქვეყნის გაწევრიანება შეიძლება სწორედ ჩვენს შორის დებატებმა განსაზღვროს."**

# ბუნდესვერი რეფორმებისათვის ემზადება

გერმანიის მთავრობა სამხედრო ხარჯების მასშტაბურ შემცირებას აპირებს. გაზეთ “დი ველტის” ცნობით, 2005-2015 წლებში ამ გზით, დაახლოებით, 30 მლრდ ევრო უნდა დაიზოგოს. გაზეთის ცნობით, თავდაცვის სამინისტროში გერმანიის უმაღლესი სამხედრო პირის, გენერალური ინსპექტორის, ვოლფგანგ შნაიდერჰანის ხელმძღვანელობით მუშაობს კომისია, რომელმაც ყოვლისმომცველი სტრუქტურული რეფორმების კონცეფცია უნდა წარმოადგინოს. კონცეფციის მთავარი მიზანი სამხედრო ხარჯების შემცირებაა. რეფორმა განსაკუთრებით სახმელეთო ძალებს შეეხება, თუმცა საზღვაო ძალებსაც მოუწევს წყალქვეშა ნავებსა და ფრეგატებზე უარის თქმა. საქმე ისაა, რომ რეფორმების შემდეგ ბუნდესვერს სრულიად ახალი სტრუქტურა ექნება. წარსულს უნდა ჩაბარდეს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს შორის არსებული ტრადიციული დაყოფა და უპირატესობა შერეულ მობილურ ჯგუფებს უნდა მიეცეს. მომავალი ბუნდესვერის ბირთვი სწრაფი რეაგირების 35-ათასიანი ძალები იქნება, რომელთა საშუალებითაც გერმანიას ნატო-სა და ევროკავშირში აღებული ვალდებულებების შესრულება გაუადვილდება. ამ ძალებით ბუნდესვერი შეძლებს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაუმკლავდეს ორგანიზებულ სამხედრო წინააღმდეგობას. ბუნდესვერის მეორე ნაწილი იქნება ე.წ. “სტაბილიზაციის ძალები”, რომელთა მთავარი დანიშნულება მცირე და საშუალო ინტენსივობის კონფლიქტების მოწესრიგება იქნება. ამ ძალების რიცხვი, საშუალოდ, 70 ათასი იქნება, ბუნდესვერში იარსებებს მესამე სახის ძალაც - ე.წ “მხარდაჭერის ძალები” 145 ათასი საერთო რაოდენობით. მათი დანიშნულება აქტიურად მებრძოლი ნაწილების მხარდაჭერა, მატერიალური და სამედიცინო ზურგის უზრუნველყოფა, ლოგისტიკა და ბუნდესვერის საშინაო ფუნქციების, ანუ კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა იქნება. სწორედ ამ, მესამე სახეობაში შენარჩუნებული იქნება ცხრათვიანი საყოველთაო სამხედრო სამსახური. გერმანიაში წვევამდელის ინსტიტუტის შენარჩუნებას არმიასა და საზოგადოებას შორის მჭიდრო კავშირების აუცილებლობით ხსნიან. რეფორმების კონცეფცია ჯერ შემუშავებული არ არის და მასში მრავალი სამხედრო პირი და ექსპერტი მონაწილეობს.



მომავალი ბუნდესვერის ბირთვი სწრაფი რეაგირების 35-ათასიანი ძალები იქნება.

# შეშა და შუშა ზამთრის სკოლებისათვის

*ქალაქის მერიამ თბილისის სკოლების საწვავით მომარაგება შეპირებულზე ბევრად გვიან დაიწყო. ნოემბრის ბოლო რიცხვებისთვის ყველა სკოლა დამთბარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ნოემბერში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და უფულობის გამო, მერიის განათლების მეურნეობის სამსახურმა დიზელის საწვავი ორი კვირის წინათ შეიტანა, ნავთით მომარაგება კი გუშინწინ დაიწყო. მთავარ პრობლემად შეშის შემოტანა რჩება. განათლების მეურნეობის სამსახური გვარწმუნებს, რომ ყველა სკოლა სხვადასხვა საშუალებით მაინც თბება, თუმცა ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ამ განცხადებას არ ეთანხმება.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის ბიუჯეტიდან შესაბამისი საწვავით 417 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება მარაგდება (187 სკოლა, 204 საბავშვო ბაღი და დანარჩენი მიუსაფარ ბავშვთა სახლები). აქედან 152 შენობა ინდივიდუალური საქვაბით თბება, დანარჩენი – ელექტროენერგიით, შეშითა და ნავთით. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა წელს 1500 ტონა დიზელის საწვავი, 100 ტონა ნახშირი, 300 ტონა ნავთი, შეშა და შუშა უნდა შემოიტანონ. ამისთვის, მთლიანად, 2 მლნ. ლარია საჭირო. **"წელს იანვრამდე ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი უნდა გადმოირიცხოს, მაგრამ, ალბათ, 100 ათას ლარზე მეტს არ მოგვცემენ,"** – აცხადებს განათლების მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩიაშვილი. აღნიშნულ სამსახურს მერიიდან ჯერ ერთი თეთრიც არ მიუღია; თანხა როდის გადაირიცხება, არავინ იცის. როგორც ქოჩიაშვილი აცხადებს, ამის მიუხედავად, სკოლების საწვავით მომარაგება არ ფერხდება.

**"ყოველ წელს ასეა - ტენდერში მონაწილე კომპანიებს წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ფულს ნელ-ნელა, დაგვიანებით გადავუხდით. რაც მთავარია, ჯერჯერობით არც ერთი კომპანია არ მოგვიტყუებია და ვალს დაგვიანებით, მაგრამ სრულად ვუნაზღაურებთ,"** – ამბობს ქოჩიაშვილი. უფულობის გამო, წელს პრობლემები მაინც შეიქმნა. საწვავის შემომტანი ფირმა "მობილი" არეულობამ შეაშინა, - რა ვიცით რა მოხდება, ეგებ ფული საერთოდ არ მოგვცენო, - იფიქრეს და ნოემბერში საწვავის ნისიად შემოტანაზე უარი თქვეს. გასულ თვეში, მიმდინარე მოვლენების ჩაწყნარების შემდეგ ფირმამ სკოლების დიზელის საწვავითა და ნავთით მომარაგება დაიწყო. რაც შეეხება შეშას, როგორც განათლების მეურნეობის სამსახური ამბობს, მისი ნისიად შემოტანა მაინც არ ხერხდება. **"თუმცა, სკოლებში, რომლებსაც შეშის ღუმელებით ათბობენ, ნავთი შეგვაქვს. ასე თუ ისე, ყველა სკოლა რაღაცით თბება,"** – აცხადებს ქოჩიაშვილი.

იმ სკოლებს, სადაც გათბობის ინდივიდუალური საქვაბეა, პრობლემა, მართლაც, არ ექმნებათ. **"მერიამ დიზელის საწვავის გარკვეული მარაგი 10 დღის წინათ მოგვაწოდა, დანარჩენის შემოტანასაც შეგვპირდნენ,"** – გვითხრეს 119-ე სკოლაში. უკმაყოფილებას იმ სკოლის ხელმძღვანელები გამოთქვამენ, სადაც შეშის ღუმლებით თბებიან. **"გასულ წელს გათბობის პრობლემა არ გვქონია - მერიამ 2 ტონა დიზელის საწვავი, შეშა, ნავთი და ფანჯრებისთვის 25 კვადრატული მეტრი შუშა მოგვაწოდა, მაგრამ წელს არც შეშა შემოუტანია და არც ნავთი. 2 დღის წინათ განათლების სამეურნეო სამსახურს განვუცხადე, რომ, თუკი საწვავს დროზე არ მოგვაწვდიან, სასწავლო პროცესს შევწყვეტთ,"** – აცხადებს 135-ე სკოლის დირექტორი მანანა გიორგაძე.

# საერთაშორისო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ცნობა ტოქსიკურ დაავადებათა შესახებ

მერი კახიანი
*ვენიდან*

**„საკვები პროდუტებისგან გამოწვეული ტოქსიკური დაავადებების შემთხვევები, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვლინდება. ბოტულიზმის ბევრი ფაქტი დაფიქსირდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ბოტულიზმის გამომწვევი უპირველესი მიზეზია სახლში დამზადებული ბოსტნეულის კონსერვები. ამ ქვეყნებში შინაურ პირობებში კონსერვების დამზადება ფართოდ არის გავრცელებული, რაც, ძირითადად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და ქარხნული წესით დამზადებული კონესრვების ნაკლებობით აიხსნება,"** - აღნიშნულია საერთაშორისო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ ამ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციაში.

მართალია, ევროპაში სალმონელოზის გამოვლენის რიცხვმა იკლო, მაგრამ, საერთო ჯამში, ამ დაავადების შემთხვევათა 75 პროცენტი სწორედ საკვები პროდუქტებისგანაა განპირობებული, კერძოდ - არასაკმარისად მოხარშული კვერცხისა და კვერცხის შემცვლელი პროდუქტებისაგან. ძირითადად, საუბარია ნაყინსა და მაიონეზზე. ამასთან, მნიშვნელოვნად მოიმატა კუჭ-ნაწლავის დაავადებებმა, რის უმთავრეს მიზეზადაც ხორცეული, წყალი და აუდუღარი რძე სახელდება.

**„ძალზედ მნიშვნელოვანია კონტროლი - საკვები პროდუქტებისგან გამოწვეული სარისკო შემთხვევების მინიმუმამდე დასაყვანად მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებები რომ მივიღოთ,"** - განაცხადა საერთაშორისო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა მარკ დანცონმა.

საერთაშორისო ჯანმრთელობის ორგანიზაცია დახმარებას უწევს ქვეყნებს, რათა ჯანმრთელობის სისტემაში ეფექტური ღონისძიებები გატარდეს საკვები პროდუქტებით გამოწვეული ტოქსიკური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

*ზღვარზე*

# ყოველი სამი უმუშევრიდან ერთი დიპლომიანია

ნაწილი მეორე

სოფიკო ოხანაშვილი

*მიმდინარე ეტაპზე შესაბამის უწყებებს ჯერ არ დუმტკიცებიათ იმ პროფესიათა და სპეციალობათა ახალი ნუსხა, რომლებიც დადასტურებულია სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით; არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ახალი საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები. ამ მიზეზების გამო, განათლების სფეროში ფინანსური ნორმატივების შემუშავება და დამტკიცება არ ხერხდება, რაც უმაღლესი განათლების სისტემაში აკრედიტაციის პროცესის განხორცილებას აფერხებს. თანხები ნაწილდება ყველანაირი მიზნობრიობის გარეშე; ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა დაფინანსების პროგრამული მექანიზმის შემუშავება. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო დაკვეთის მოცულობის განსაზღვრისას შესაბამისი უწყებები "იძულებულები" არიან, ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები გაითვალისწინონ.*

ჩამოთვლილი პრობლემები კი ხელს უშლის, ზოგადად, განათლების სისტემაში განსახორციელებელ რეფორმას, შესაბამისად - სახელმწიფოს როლის განსაზღვრასაც. არსებული დოკუმენტაცია და ექსპერტული შეფასებები გულისხმობს სახელმწიფო დაკვეთის არსებული მექანიზმის გაუქმებას და მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლას. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაკვეთის შესრულებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ აკრედიტირებული და, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაღალპროფესიონალი კადრების მომზადებით გამორჩეული უმაღლესი სასწავლებლები.

ცალსახაა, რომ სახელმწიფო სათანადოდ ვერ განსაზღვრავს სახელმწიფო დაკვეთას პროფესიების, სპეციალობების და, განსაკუთრებით, სასწავლებლების განაწილების მიხედვით, ამიტომაც აუცილებელია დაკვეთის სტრუქტურაში ძალიან სერიოზული ცვლილებების გატარება. საეჭვო აღარაა, რომ სახელმწიფო დაკვეთის მოქმედი სტრუქტურა დრომოჭმული და მოძველებულია; საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატურ გეგმაშიც გარკვევით წერია, რომ **"დაკვეთის არსებულმა ფორმამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რადგან დაკარგა შინაარსობრივი დატვირთვა - სახელმწიფოს მიერ, საბიუჯეტო დაფინანსებით, განსაზღვრული ხარისხისა და ოდენობის სპეციალისტების მომზადების შეკვეთა პრიორიტეტულ დარგებში. ამ ეტაპზე სახელმწიფომ უნდა გამონახოს უმაღლეს სკოლასთან ურთიერთობის ახალი ფორმები, სახელმწიფო დაკვეთა კი რეალური გახდეს"**. ასეთი შეფასება, თავისთავად, ცხადყოფს, რომ სახელმწიფო დაკვეთა არაეფექტურია. **"რაც შეეხება იმას, საჭიროა თუ არა დაკვეთის სისტემა, მე გეტყვით, რომ არ არის საჭირო. შესაძლოა, უმაღლესმა სასწავლებლებმა თვითონ განსაზღვრონ, რამდენი კადრის მომზადება შეუძლიათ",** - ჩვენთან საუბარში განაცხადა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა ლასურაშვილმა.



გაურკვეველი მომავლის გზაზე.

ზაზა ფაჯავაშვილის ფოტო

ეკონომიკის სამინისტროსგან განსხვავებული პოზიცია აქვს შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. ამ უწყების შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების საკითხთა და შრომითი რესურსების სამმართველოს უფროსის ციური ანთაძის განმარტებით, სახელმწიფო დაკვეთის მოქმედი სტრუქტურა მოძველებულია და, არც ისაა სადავო, რომ ქვეყანას ამდენი უმაღლესდამთავრებული არ სჭირდება. ლასურაშვილისგან განსხვავებით, ციური ანთაძე აცხადებს, რომ განვითარების ამ ეტაპზე სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი გამართლებულია, რადგან პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები გარკვეულ მხარდაჭერას საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან. ანთაძის თქმით, ეკონომიკური დანიშნულების გარდა, სახელმწიფო დაკვეთას აქვს დიდი სოციალური მნიშვნელობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ სასწავლებლებისათვის გამოყოფილი თანხებით სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ არსებობას, პედაგოგებისათვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და ხელფასს. **"შეიძლება, ეს სახელმწიფო დაკვეთის მეორეხარისხოვანი და გვერდითი დანიშნულებაა, მაგრამ არცთუ ნაკლებ მნიშვნელოვანია განვითარების ამ ეტაპზე",** - აცხადებს ციური ანთაძე.

საქართველოს პარლამენტმა 2001 წელს მიიღო დადგენილება უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსების პრინციპების დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მომავალში სახელმწიფო დაკვეთა სპეციალური მიზნობრივი პროგრამის სახით უნდა ჩამოყალიბდეს. სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სტუდენტების მიღების უფლება კი მხოლოდ იმ უმაღლეს სასწავლებლებს ექნებათ, რომლებიც აკრედიტაციას მიიღებენ.

უკვე დიდი ხანია, განათლების სისტემის სრულყოფის მიზნით, სახელმწიფო სერიოზულ გეგმებს სახავს. სტატისტიკური მონაცემებიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფო დაკვეთის მოცულობა წლიდან წლამდე, უმნიშვნელოდ, მაგრამ – მაინც, მცირდება. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეს მცდელობები, ძირითადად, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. რეალური შედეგი ამ ნაბიჯებს არ მოჰყოლია. ამის მიზეზად ყველა უწყების წარმომადგენელი ერთხმად ასახელებს ქვეყანაში არსებულ გარდამავალ პერიოდსა და სუბიექტურ ფაქტორებს და მიაჩნიათ, რომ ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო რადიკალურ ნაბიჯებს ვერ გადადგამს; შედეგად კი, მათივე პროგნოზით, შეიძლება მივიღოთ 14-ლარიანი პენსიისათვის განწირული პროფესორ-მასწავლებლები, დახურული კათედრები და უამრავი ქუჩაში დარჩენილი სტუდენტი.

უდავოა, რომ სახელმწიფო დაკვეთა საბჭოთა კავშირის სისტემის ერთგვარი გადმონაშთია და სახელმწიფო ძველი ინერციით მოქმედებს - მისაღები კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა საბჭოთა ტრადიციებისა და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ხდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ სახელმწიფო დაკვეთების მოცულობა კვლავ საკმაოდ დიდია, თუმცა ყველა აღიარებს, რომ ასეთი მოცულობის კონტინგენტი სახელმწიფოს ნამდვილად არ სჭირდება. საბჭოთა, უკიდურესად ცენტრალიზებული და გეგმური ეკონომიკის შესაბამისი უმაღლესი განათლების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციები სერიოზულად აფერხებს ამ სისტემის გარდაქმნასა და განვითარებას. არადა, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის გარეშე, შეუძლებელი იქნება თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური კადრების მომზადება. რეფორმა კი რადიკალურ ნაბიჯებს მოითხოვს. ჯერჯერობით სახელმწიფო, ცალკეული ჯგუფების "ადამიანური" ინტერესების გათვალისწინებით, ერთ ადგილს ტკეპნის, რითაც, რამდენიმე ადამიანს კი არა, მთელ თაობას ცუდ სამსახურს უწევს.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

ორი სიტყვით

**თბილისი.** თევზითა და თევზპროდუქტებით კვებითი ინტოქსიკაციის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ სპეციალური ბრძანებულება გამოსცა. ბრძანებულების საფუძველზე, სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს პროდუქციის ვარგისიანობაზე მკაცრი კონტროლის დამყარება დაევალა - კერძოდ, თევზსაჭერ და თევზის გადამამუშავებელ გემებზე, ასევე, თევზის გადასამუშავებელ საწარმოებსა და საბითუმო ბაზრებში მუდმივი კონტროლის განხორციელება. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩამოსხმული სასმელი წყლის ხარისხიანობის ამაღლებისა და შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების დაცვის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სპეციალური ბრძანებულება გამოსცა. იმ პირებს, რომლებიც წყლის ჩამოსხმის ტექნოლოგიურ სქემას შეიმუშავებენ, ასევე - ჩამოსხმას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას ითავებენ, ევალებათ წყლის ხარისხის ლაბორატიული კონტროლი, ასევე - სანიტარული წესებისა და განსაზღვრული ნორმების მკაცრი დაცვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საახალწლოდ, დედაქალაქის მოსახლეობის წყლით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით, 22 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით, "თბილწყალკანალი" საგანგებო რეჟიმში იმუშავებს. დიდი დავალიანების მიუხედავად, საახალწლოდ თბილისელები წყალს შეუზღუდავად მიიღებენ, "წყალკანალის" ოპერატიული მუშა ჯგუფი კი ნებისმიერი წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად იმუშავებს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ რაიონში მცხოვრებ დევნილ ბავშვებს საახალწლოდ საჩუქრები მოუმზადა. რუსთაველის გამზირზე (ზემელზე) მდებარე მაღაზია "გარდეროზის" მფლობელებმა კი სურვილი გამოთქვეს, საახლწლოდ ამ რაიონში მცხოვრები დევნილი ბავშვები დაასაჩუქრონ. ამ წინადადების მიღების შემდეგ გამგეობამ შეარჩია უკიდურესად გაჭირვებული 50 ბავშვი, რომლებსაც გუშინ საჩუქრად ტანსაცმელი გადასცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები გაფიცვას, ჯერჯერობით, არ წყვეტენ. ისინი მუშაობას მხოლოდ მათი მოთხოვნების შესრულების შემდეგ განაახლებენ. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების განცხადებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მუშები თავიანთ მოთხოვნებს ერთიანი პაკეტის სახით ჩამოაყალიბებენ და კონტრაქტორ კომპანია „პეტროფაგს" ორ დღეში წარუდგენენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** რუის-ურბნისის ეპარქიაში გუშინ კიდევ ერთი ტაძარი გაიხსნა. ძამის ხეობაში 10 ოქტომბერს დაწყებული ძამის ტაძრის მშენებლობა გუშინ საღამოს დასრულდა, დღეს კი რუის-ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა იობმა საბა განწმენდილის სახელობის ახლად აშენებულ ტაძარში პირველი წირვა-ლოცვა აღავლინა. რუის-ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსი ძამის ხეობაში კიდევ რამდენიმე ტაძრის მშენებლობას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

# „ეარ ბიპი ჯორჯიას" საახალწლო საჩუქარი

თამარ დვალი

*აეროპორტის 50-ე საუწყებო ბაღი 1988 წელს აშენდა. სახსრების უქონლობის გამო, მას სარემონტო სამუშაოები ბოლო წლების განმავლობაში აღარ ჩატარებია. ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ბაღს დახმარება შპს "ეარ ბიპი ჯორჯია"- მ გაუწია. უკვე ოთხი წელია, რაც ეს ფირმა აღნიშნულ ბაღს პატრონობს. რამდენიმე დღის წინათ მან ბაღის ბინადრებს დიდი საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები გადასცა.*

**"ჩვენი საწარმო - "ეარ ბიპი ჯორჯია" 1998 წელს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები არიან ცნობილი საერთაშორისო ნავთობის კომპანია Bp (მისი განშტოება საავიაციო დარგში air Bp-ის კომპანია) და ადგილობრივი საწარმო შპს "ავიასაწვავი". საწარმოს ძირითადი დანიშნულებაა თბილისის აეროპორტში საავიაციო საწვავით საჰაერო ხომალდების გამართვა. დაარსების დღიდან ჩვენი ფირმა ცდილობს, დახმარება გაუწიოს აეროპორტის დასახლებაში მდებარე 50-ე საუწყებო ბაღს. გავარემონტეთ რამდენიმე ოთახი; შევუძინეთ სასწავლო ინვენტარი. ამჟამად მიმდინარეობს სახურავის შეკეთება, რაც რამდენიმე დღეში დასრულდება. ჩვენი დიდი სურვილია, უფრო მეტადაც დავეხმაროთ მათ, მაგრამ, საქართველოში დღეისათვის არსებული საერთო ბიზნეს-გარემოდან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ სათანადო დახმარების გაწევას. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში მიმდინარე ცვლილებები დაეხმარება უცხოელ ინვესტორებს, მათ შორის - ჩვენს საწარმოსაც, საქველმოქმედო ღონისძიებები უფრო დიდი მასშტაბით რომ განვახორციელოთ,"** – განგვიცხადა შპს "ეარ ბიპი ჯორჯია"-ს გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ბატონისაშვილმა. მან ისიც გვითხრა, რომ მათი საწარმო მომავალი წლიდან სხვა პროექტების განხორციელებასაც აპირებს, თუმცა ამჯერად დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.





მშვენიერი საახალწლო საჩუქარი "ეარ ბიპი ჯორჯიასგან"

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აეროპორტის 50-ე საუწყებო ბაღში 110 ბავშვი სწავლობს. როგორც ბაღის გამგემ ნინო ყარაულაშვილმა განმარტა, შპს "ეარ ბიპი ჯორჯია"- ს გამოჩენამდე ბავშვებს სველ ოთახებში უწევდათ ყოფნა: **"ბაღის სახურავი მთლიანად შესაკეთებელი იყო. ბავშვების ოთახში წყალი ჩამოდიოდა და, ამის გამო, საშინლად ციოდა. უკვე ოთხი წელია, ბატონი ზურაბი დახმარებას გვიწევს და დღეისათვის ბაღში საუკეთესო პირობები გვაქვს. აქამდე მშობლებს მოჰქონდათ საახალწლო ნაძვის ხე. ბოლო ოთხი ახალი წელია, ისევ კომპანიის დახმარებით, გრანდიოზული ნაძვის ხის ქვეშ ვმართავთ ზეიმს, წელს კი დიდებული სათამაშოებიც გვაჩუქეს."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონში შემზარავი მკვლელობა მოხდა. მანველ სოლომინიანმა ყოფილი მეუღლე - 27 წლის ინა ბალიევა განსაკუთრებული სისასტიკით, ოჯახის წევრთა თვალწინ მოკლა.

როგორც ისანი-სამგორის რაიონის პროკურორი ვაჟა აბაკელია აცხადებს, პირველადი მონაცემებით, მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. სოლომინიანი ბინაში ძალის გამოყენებით შეიჭრა და ყოფილ მეუღლეს დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი სოლომონიანი მიმალულია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით.

ეს ბოლო ორი დღის განმავლობაში ისანი-სამგორის რაიონში მომხდარი უკვე მეორე მკვლელობაა. 16 დეკემბერს ვლადიმერ კიკნაძემ ურთიერთშელაპარაკებისას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ძმებ ჩარქსელიანებს, რომელთაგან ერთი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელმა სამართალდამცველებმა გუშინ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, 20 წლის ვახტანგ ხატისკაცი დააკავეს.

"კანონიერი ქურდი" პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დროს აიყვანა.

ხატისკაცი ქუთაისის შს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. მას სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლით გაასამართლებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობის წინ, გუშინ, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი ყაყაჩოს თესლი საჯაროდ გაანადგურეს. 80 შეკვრას, სულ 40 კგ. ნივთიერებას, ცეცხლი ქუთაისის პოლიციის უფროსმა თემურ ნოზაძემ წაუკიდა.

როგორც ნოზაძე აცხადებს, აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება სამართალდამცველებმა ბოლო 2 დღის მანძილზე სხვადასხვა პირებისგან ამოიღეს, რომლებიც ამჟამად წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან.

ქუთაისის პოლიციაში აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მითითების საფუძველზე ნარკოტიკების მომხმარებელთა და გამასაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა გამკაცრებულ რეჟიმში გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ყალბი პასპორტის გამოყენებისთვის მესაზღვრეებმა თბილისის აეროპორტში მოქალაქე ტარიელ კობერიძე დააკავეს.

როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსი შალვა ლონდარიძე აცხადებს, ტარიელ კობერიძე "თბილისი-ვენას" რეისზე გიორგი კანდელაკის სახელზე გაცემული ყალბი პასპორტით აპირებდა გამგზავრებას.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხუთი ადამიანი გარდაიცვალა და სამი მძიმედ დაშავდა ხუთშაბათს, გამთენიისას, თბილისი-მცხეთის ცენტრალურ მაგისტრალზე, ნატახტარის საგუშაგოსთან მომხდარი ავტოავარიის შედეგად.

როგორც საგზაო პოლიციაში აცხადებენ, სამტრედიიდან ლილოს ბაზრობაზე მიმავალი მიკროავტობუსი იკარუსს დაეჯახა, რის შედეგადაც 5 მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცავთა წინასწარი ვერსიით, ავარიის მიზეზი მიკროავტობუსის ტექნიკური გაუმართაობა და გადატვირთვა იყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16 დეკემბრის ღამეს, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ 24 წლის კოტე და 25 წლის ტარიელ ჩარქსელიანების განზრახ მკვლელობის გამო პროკურატურამ ბრალდება 24 წლის ვლადიმერ კიკნაძეს უკვე წაუყენა.

ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის ვაჟა აბაკელიას თქმით, ამ დანაშაულისათვის კანონი უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კიკნაძე პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მისთვის პატიმრობის შეფარდების საკითხს სასამართლო დღეს განიხილავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა თბილისის მე-5 საპყრობილიდან წლეულს, 31 მაისს გაქცეული 46 წლის გივი მღებრიშვილი ამავე რაიონში დააკავეს. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მღებრიშვილი ერთ-ერთია იმ 15 პატიმარს შორის, რომლებმაც ციხიდან გაქცევა მთავარი დამცავი კედლის განგრევით მოახერხეს. მღებრიშვილი ყაჩაღობის ბრალდებით იყო მოთავსებული ციხეში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში №95 სამარშრუტო ტაქსის მძღოლზე - ზურაბ ნაცვლიშვილზე ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციელებმა 22 წლის ნუკრი ტუღუში დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, საფანტის ტიპის პისტოლეტით შეიარაღებული ტუღუში რუსთაველის გამზირზე, 16 დეკემბრის ღამით, თავს დაესხა ნაცვლიშვილს და მოკვლის მუქარით 60 ლარი გასტაცა. ტუღუში წარსულში ნასამართლევია. მის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

# საგზაო პოლიციაში რეფორმები დაიწყო

თამარ კაციტაძე

შინაგან საქმეთა მონისტრის ახალმა მოადგილემ პეტრე ცისკარიშვილმა ერთდღიანი ადაპტაციის შემდეგ თავისი პოლიციური მოვალეობის შესრულება საგზაო პოლიციის

მთავარი სამმართველოს მონახულებით დაიწყო.

სამმართველოში მისულ შს მონისტრის მოადგილეს, რომელსაც პარლამენტარის უფლება- მოსილება ჯერაც არ შეწყვეტია და რომლის ახალ თანამდებობაზე დანიშვნისთვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ხელი ჯერაც არ მოუწერია, საგზაო პოლიციელების ფართო აუდიტორიისა და მასმედიის წინაშე ცხრადღიანი მუშაობის შესახებ პატაკი ჩააბარა საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალმა უფროსმა შალვა ოგბაიძემ. სხვათა შორის, თბილისის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება არც მთავარ საგზაო პოლიციელს აქვს შეწყვეტილი. ყოფილი პარლამენტარი და ყოფილი საკრებულოს წევრი გუშინდელ შეხვედრაზე საკუთარ ორმაგ სტატუსზე ხუმრობდნენ და საგზაო პოლიციის სამომავლო რეფორმასა და გეგმებზე საუბრობდნენ.

**"მე ჯადოსნური კვერთხი არ მაქვს, რომ ერთი დაკვრით საგზაო პოლიციაში არსებული უამრავი პრობლემა გამოვასწორო, თუმცა ცხრადღიანი მუშაობის შემდეგ გარკვეული შედეგები უკვე გვაქვს. ამაზე მეტყველებს ჩვენს სატელეფონო "ცხელ ხაზზე" შემოსული ზარები. საზოგადოებამ უკვე ირწმუნა, რომ საგზაო პოლიციის რეფორმა დაიწყო და ამ მხრივ კმაყოფილებას გამოთქვამს",** - აღნიშნა გუშინდელ შეხვედრაზე შალვა ოგბაიძემ.

საგზაო პოლიციის ახალი შეფის მიერ საკუთარ უწყებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები კი ასეთია.

**"პირველ რიგში, საგზაო პოლიციელთა დამოკიდებულება შეიცვალა, აიკრძალა უმიზეზოდ მძღოლების გაჩერება და ქრთამის გამორთმევა. პარალელურად გაიზარდა გამოწერილი საჯარიმო ოქმების რაოდენობა. ამ გზით გაიზრდება სამმართველოს სპეცსახსრები, საიდანაც პოლიციელებს პრემიები უნდა დაურიგდეთ. ამუშავდა რამდენიმე შუქნიშანი",** - ეს იმ ჩამონათვალთა მცირე ნაწილია, რისი გაკეთებაც საგზაო პოლიციის ახალმა უფროსმა რამდენიმე დღეში მოასწრო. თუმცა,



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*"პროფესიონალ პოლიციელებს ჯანსაღი კონკურენციის პრინციპით შევარჩევთ".*

მისივე თქმით, გასაკეთებელი უფრო მეტია, რაც მთავარია, აღნიშნულ სისტემაში ჩასატარებელია რეფორმა.

**"რეფორმასთან დაკავშირებით მინისტრს უკვე წარვუდგინეთ სისტემის მართვის, პრემირების და წახალისების გეგმა. საგზაო პოლიციელებს მიეცათ მითითება, გააჩერონ ტრანზიტული ნომრებით მოძრავი მანქანები. მოგეხსენებათ, ასეთი ნომრებით, ძირითადად, თანამდებობის პირები დადიან. ის პოლიციელები, რომლებიც საგზაო წესების დარღვევისთვის თანამდებობის პირებს დააკავებენ, პრემიებით წახალისდებიან. დროა, გზებზე დამკვიდრდეს პრინციპი - კანონის წინაშე ყველა თანაბარია",** - ამბობს ოგბაიძე.

შალვა ოგბაიძე ავტომრბოლელის გამოცდილებასაც არ ივიწყებს და სურს, რეფორმა საგაზაო პოლიციელების პროფესიონალიზმის დონის ამაღლებასაც შეეხოს. **"იმისათვის, რომ საგაზაო პოლიციელები დამნაშავეს გაედევნონ, ისინი პროფესიონალი ავტომრბოლელები უნდა იყვნენ, ამისათვის კი სპეციალური სკოლის შექმნაა საჭირო, რაშიც დახმარებას უცხოელები გაგვიწევენ",** - განაცხადა საგზაო პოლიციის უფროსმა.

საგზაო პოლიციის ახალი უფროსის უმთავრესი მიზანია, სისტემაში აღმოფხვრას კორუფცია. ამისათვის იგი აპირებს სამმართველოს პირველ სართულს დარაბები მოხსნას. მისი თქმით, სწორედ იქ ტრიალებს შავი და თეთრი ფული, რომელიც სამმართველოს ხაზინაში არ შედის. ამასთან, ოგბაიძე გეგმავს, მოშალოს წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მეთოდები, რომელიც დღეს კორუფციის წყაროდ არის ქცეული. მაგალითად, აღდგეს მანქანების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაფორმება, სადაზღვევო პოლისის გაცემა შეეძლოს ნებისმიერ სადაზღვევო კონპანიას, შემცირდეს ტექდათვალიერების გადასახადი, გაიაფდეს მანქანის გადაფორმება და ა.შ.

**"ყველა საგზაო პოლიციელს ავუკრძალეთ ქრთამის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თანამდებობებს დატოვებენ. სამაგიეროდ, პოლიციელებმა ხმა ამოიღეს და გვთხოვეს, ჩავუსხათ ბენზინი და მივცეთ ხელფასი, რომელიც აგვისტოს შემდეგ არ მიუღიათ. ამიტომ გთხოვთ, დაგვეხმაროთ და სახელფასო თანხები გამოგვიყოთ, რათა საახალწლოდ ყველა პოლიციელს შეეძლოს სახლში პროდუქტის მიტანა",** – სთხოვა სტუმრად მიწვეულ მინისტრის მოადგილეს საგზაო პოლიციის უფროსმა.

შეძლებს თუ არა მინისტრის ახალი მოადგილე საახალწლოდ პოლიციელებისთვის რამდენიმე თვის ხელფასის მიცემას, ამაზე პასუხის გაცემა თავად პეტრე ცისკარიშვილსაც გაუჭირდა. სამაგიეროდ, მას უკვე გააჩნია საგზაო პოლიციის რეფორმის გეგმა, რაზეც გუშინ ხმამაღლა ისაუბრა.

**"დღევანდელი საგზაო პოლიცია კომუნისტიური გადმონაშთია. დღეს მოქმედ ხელისუფლებას და მომავალსაც, რომელსაც ამ არჩევნებზე ავირჩევთ, აქვს დიდი სურვილი, რომ საქართველოს ჰყავდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგზაო პოლიცია. საგზაო პოლიცია უნდა გადაკეთდეს საპატრულო-საგუშაგო სამსახურად, რომელიც მხოლოდ საგზაო დარღვევების გამოვლენით კი არ იქნება დაკავებული, არამედ შეძლებს ქუჩაში არსებული დანაშაულებების გამოვლენას, ანუ გულგრილად არ შეხედავს მოჩხუბარ ხალხს და ავარიის ადგილს მხოლოდ ცარცით არ შემოხაზავს. ამ ყველაფერს კი პროფესიონალი პოლიციელები გააკეთებენ, რომლებსაც ჯანსაღი კონკურენციის პრინციპით შევარჩევთ. ამ გზით მოხდება პოლიციის გაბერილი კადრების შემცირება და მათ ხარჯზე ხელფასების გაზრდა",** - საგზაო პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით ასეთი გეგმები აქვს შს მინისტრის ახალ მოადგილეს. ვნახოთ, რეალურად როგორ განახორციელებენ. "ახალი პოლიციელები" პირველ შედეგებს ექვსი თვის შემდეგ გვპირდებიან.

# ნარკომანი პოლიციელების გამოვლენა გრძელდება

შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით, პოლიციის ყველა უფროსს თავისსავე უწყებაში თავად უნდა გამოევლინა ნარკომანი თანამშრომელები და ისინი პოლიციის რიგებიდან დეთხოვა. ამისათვის ხელმძღვანელ პოლიციელებს ერთკვირიანი ვადა ჰქონდათ მიცემული. გუშინ ეს ვადა ამოიწურა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესაბამისმა სამსახურმა ნარკომანიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა განაახლა და ახალი შედეგებიც მიიღო.

გუშინ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე (წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე) დააკავეს ოზურგეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი კახაბერ კუტუბიძე და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი შოთა სალუქვაძე. ორივე პოლიციელს თანამდებობა გუშინვე დაატოვებინეს.

**"სამწუხაროდ, პიროვნებები, რომლებიც თავად უნდა ებრძოდნენ ნარკომანიას და ნარკობიზნესს, ხშირად თვითონ არიან მისი მომხმარებლები. ამ კუთხით კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას და ყველას საკადრის პასუხს მოვთხოვთ",** - განაცხადა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ.

ნარკომანი ხელმძღვანელი პოლიციელების გამოვლენის გამო ოზურგეთის პოლიციის უფროსმა შოთა მჟავანაძემ გადადგომის შესახებ პატაკი დაწერა. "მომხდარის გამო მორალური უფლება არ მაქვს თანამდებობაზე დავრჩე," - წერს განცხადებაში პოლიციის უფროსი.

**"მჟავანაძის პატაკი მინისტრმა ამ დღეებში უნდა განიხილოს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მისი ადმინისტრაციული წესით გათავისუფლების საკითხი დადგეს. ამის მიზეზი კი ის ერთკვირიანი ვადის ამოწურვაა, როცა მას თავად უნდა გამოევლინა ნარკომანი თანამშრომელი",** - გვითხრა ჯინჯოლავამ.

*24 საათი*

# ბერეზოვსკის თბილისში სტუმრობას ორი თანამდებობა უკვე შეეწირა

ბორის ბერეზოვსკის გასაიდუმლოებულ ვიზიტს საქართველოში საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურის ხელმძრვანელის, მაიორ იარაკლი პაპავასა და თბილისის აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტის უფროსის ხვიჩა დვალიშვილის სამსახურებრივი თანამდებობები შეეწირა. ორივე ოფიცერს ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის მიერ საზღვრის უკანონო გადმოლახვაში მონაწილეობა ედება ბრალად. მათ საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს.

შეგახსენებთ, რუსეთის გენერლური პროკურატურის მიერ ძებნილი რუსი ბიზნესმენის საქართველოში რამდენიმე საათიანი გასაიდუმლოებული სტუმრობის გახმაურების შემდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოს ვიზიტის გარემოებების შესწავლა დაევალა. **"თანამდებობის პირები, ვინც ეს შეცდომა ჩაიდინეს, პასუხს აგებენ",** - აცხადებენ უშიშროების საბჭოში.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, საქართველოს საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა თედო ჯაფარიძემ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიზიტისას რუსულ მხარეს ნოტა გადასცა, რომლის მოკლე შინაარსიც ასეთი გახლავთ: **"ბორის ბერეზოვსკისთან დაკავშირებულ სიტუაციაში ქართულმა მხარემ შეცდომა დაუშვა".** ერთი სიტყვით, თბილისი აღიარებს, რომ ქართულმა მხარემ შეცდომა დაუშვა, როცა რუსეთის მიერ ძებნილ ბერეზოვსკის პლატონ ელენინის სახელსა და გვარზე შედგენილი დოკუმენტებით საქართველოში შემოსვლისა და გასვლის უფლება მისცა.

**"საქმე აღძრულია საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგი თანამშრომლების მიმართ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მუხლით, რაც ჯარიმიდან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ბერეზოვსკის ჩამოსვლა და წასვლა მოხდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე და გამოძიებით აუცილებლად დადგინდება - იყო თუ არა მისი ვიზიტი ვინმესთან წინასწარ შეთანხმებული. ცხადია, წინასწარი გარანტიების გარეშე ასეთი პიროვნება შეუფერხებლად ჩამოსვლას და წასვლას ვერ შეძლებდა",** - აცხადებს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე.

*24 საათი*

# ეროვნული თანხმობის მიღწევის სურვილი უთანხმოებას იწვევს

პირველი გვერდიდან

თუ მეხსიერებას დავძაბავთ, ადვილად გავიხსენებთ, რომ ედუარდ შევარდნაძის მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევას მსგავსი აქცია უკვე მოჰყვა, თუმცა მაშინ, პატიმრობაში მყოფ ყოფილ მებრძოლთა და ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიმართ გულმოწყალების გამოჩენით, რამდენიმე ცნობილი პატიმრის გათავისუფლებას საქართველოს სხვადასხვა ციხეებში დიდხნიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ომგამოვლილი რიგითი პატიმრები თავიანთი უფლებების დაცვას ითხოვდნენ. დღეს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა გამოსწორებულია. აქციებმა შედეგი გამოიღო და ამჟამად ყოფილ მეომართაგან და ეგრეთ წოდებულ ზვიადისტთაგან ციხეებში მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვინც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ძირითადად, მკვლელობისთვისაა გასამართლებული.

უმეტეს შემთხვევაში დაუკონკრეტებელი ბრალდებით, მაგრამ არაერთ მკვლელობაში მონაწილეობას აბრალებენ სამეგრელოს ტყეებში გაჭრილ ზვიად გამსახურდიას მომხრეებსაც, რომელთა უმეტესობა აკაკი ელიავასა და გოჩა ესებუას დაჯგუფებებთან ასოცირდება.

სრულიად ბუნებრივია, რომ მოკლულთა ჭირისუფლები ამ ადამიანების "შემორიგებას" ეროვნული თანხმობის მიღწევის მცდელობად ძნელად აღიქვამენ, ისევე, როგორც ის აფხაზეთიდან დევნილები, რომლებისთვისაც ზამთრის ყინვაში სვანეთის ბილიკების გადმოლახვისას გადატანილი მთელი საშინელება უშუალოდ ლოთი ქობალიასა და მისი ჯარების მიერ სამეგრელოს გზების ჩაკეტვას უკავშირდება.

ჯერჯერობით, მათგან მხოლოდ



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*მოკლული ჟურნალისტის და ქობალიას შესაძლო გათავისუფლებას აპროტესტებს.*

დათო ბოლქვაძის ოჯახის წევრებმა მიმართეს საჯაროდ საზოგადოებას.

გუშინ ჟურნალისტთა სახლში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე დათო ბოლქვაძის დამ, სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის თანამშრომელმა თამარ ბოლქვაძემ განაცხადა, მისი ძმა უშუალოდ ლოთი ქობალიას ბრძანებით დახვრიტეს.

თამარ ბოლქვაძე ლოთი ქობალიას "მკვლელს" უწოდებს და მის პატიმრობაში დატოვებას მოითხოვს.

**"ის არის მკვლელი და პასუხი უნდა აგოს უდანაშაულო ხალხის განადგურებაზე. საზოგადოებამ მისი გათავისუფლება არ უნდა დაუშვას, ხოლო თუ ახალი ხელისუფლება მკვლელს შეიწყალებს, ამით თავად ჩაიდენს დიდ უკანონობას",** - აღნიშნა ბოლქვაძემ.

უახლოეს დღეებში საზოგადოება შეიტყობს, როგორ მიუდგება ხელისუფლება გურამ აბსანძის მიერ წარდგენილ პროგრამას და რა მოჰყვება ეროვნული თანხმობის აღდგენის სურვილით წამოწყებულ შერიგების პროცესს.

ამ წამოწყებას საფუძვლად, ცხადია, ჰუმანურობასთან ერთად, სამართლიანობის აღდგენის სურვილიც უდევს. მოსაზრება, რომლის თანახმადაც, შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელი სამართალდაცვითი და სასამართლო სისტემა ზვიად გამსახურდიას მომხრეებისა და მხედრიონელების მიმართ მიკერძოებას იჩენდა, ცხადია, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს; თუმცა ისიც ფაქტია, რომ იმავე სამართალდამცველებს და სასამართლოს "ზვიადისტ-მხედრიონელობის" მსგავსი პოლიტიკური თიკუნის არმქონე ათასობით ადამიანის ბედი აქვს გადაწყვეტილი. შესაბამისად, რადგანაც ჰუმანურობა და სამართალი აპოლიტიკური ცნებებია, ახალი ხელისუფლება მათი საქმეებითაც უნდა დაინტერესდეს და მათაც მისცეს სამართლის პოვნის შანსი. ეს კი, ალბათ, იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ხელისუფლება თანხმობის კომისიას მუშაობაში ხელს შეუწყობს და ამნისტიის გამოცემაზეც იფიქრებს – ეს პრაქტიკა, ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში (მით უმეტეს, იმის მსგავს პირობებში, როგორც ეს საქართველოში მოხდა) ძველი მმართველობის შეცდომების გამოსწორების მთელ მსოფლიოში აპრობირებული გზაა.

# კონფლიქტის ზონაში კოორდინირებული მუშაობა იგეგმება

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება უკიდურესად მძიმეა - ასეთი დასკვნა გაკეთეს მხარეებმა გუშინ გამართული ჭუბურხინჯის ტრადიციული შეხვედრის დასრულებისას.

გუშინდელი ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა კვლავ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული კრიმინოგენული ვითარება და ბოლო დღეებში მომხდარი ყაჩაღობა-მკვლელობების ფაქტები იყო. აფხაზურმა მხარემ რამდენიმე დღის წინ ჭუბურხინჯისა და ოტობაიას საზღვარზე მომხდარ მკვლელობასა და გალის რაიონის სოფელ ღუმურისში განხორციელებულ თავდასხმაში ქართველები დაადანაშაულა. შეგახსენებთ, დაუდგენელმა პირებმა გალის რაიონის სოფლების - ჭუბურხინჯისა და ოტობაიას საზღვარზე ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანას. მანქანაში მყოფი ოჩამჩირეს რაიონის სოფელ მერკულას მკვიდრი აფხაზი ჭუბურხინჯში მანდარინის შესაძენად იყო ჩასული და თან რამდენიმე ათეული ათასი დოლარი ჰქონდა. თავდამსხმელებმა ფული გაიტაცეს, მანქანის პატრონი კი ადგილზე დაცხრილეს. იმავე დღეს, გალის რაიონის სოფელ ღუმურისში, თავდამსხმელებმა ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანას, რომელშიც ასევე აფხაზი ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქეები ისხდნენ. თავდამსხმელებმა აფხაზი ეროვნების ჯინჯოლია მოკლეს, ხოლო გოგოხია მძევლად აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მძევლის სანაცვლოდ გამტაცებლები 5000 დოლარს ითხოვენ.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რუსლან ქიშმარიას მტკიცებით, ორივე თავდასხმაში ქართველები მონაწილობდნენ. **"ამის თქმის საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ თავდამსხმელები ზუგდიდის რაიონის მიმართულებით გაუჩინარდნენ და ენგურს გაღმა ტერიტორიას შეაფარეს თავი",** - აცხადებს რუსლან ქიშმარია.

ქართული მხარის წარმომადგენელები არ გამორიცხავენ, რომ ჭუბურხინჯსა და ღუმურისში მომხდარი ფაქტები, შესაძლოა, მიზანმიმართული პროვოკაცია იყოს იმ გეგმის ჩასაშლელად, რომელიც გასულ კვირას ჭუბურხინჯში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ წარმოადგინა და რომელიც ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების კოორდინირებულ მოქმედებას ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ქართული მხარის განმარტებით, ორივე შემთხვევა, რომელშიც აფხაზები ქართველებს ადანაშაულებენ, აფხაზ კრიმინალებს შორის მორიგი გარჩევა იყო.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ მოითხოვა აგვისტოში გატაცებული ქართველების - ლეფსაიასა და ხარძიანის გათავისუფლება, თუმცა უკვე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის.

**"გალის რაიონში არაერთხელ დაფიქსირებულა ქართველი და აფხაზი კრიმინალების ერთობლივი მოქმედების ფაქტები. კრიმინალთა ერთობლივი მოქმედება კოორდინირებული მუშაობით უნდა აღვკვეთოთ. დღევანდელ შეხვედრაზე მე წამოვაყენე წინადადება, რომ კონფლიქტის ზონის რაიონების პოლიციის უფროსები, პროკურორები, გამომძიებლები, თვეში ერთხელ მაინც ერთად შევიკრიბოთ და ერთობლივად ვიმოქმედოთ. ამ იდეას აფხაზური მხარეც დაეთანხმა. გადაწყდა, რომ გალის, ტყვარჩელის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონის სამართალდამცველები პერიოდულად სპეციალურ შეხვედრებს მოვაწყობთ კოორდინირებული მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. დარწმუნებული ვარ, კოორდინირებული მუშაობა კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლაში შედეგებს მოგვიტანს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილემ მებრძოლი ჭკადუამ.

*24 საათი*

# შესაძლოა, მერაბ ჟორდანიასთან სადავო თანხას მილიონები დაემატოს

*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ადვოკატისა და გულშემატკივრების მოლოდინი არ გამართლდა. მერაბ ჟორდანიას მიმართ სამართალდამცველმა ორგანოებმა და სასამართლო ხელისუფლებამ განსაკუთრებული პრინციპულობა გამოიჩინეს და იგი პატიმრობაში დატოვეს.*

სოფიკო ჩხაიძე

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარის ვერდიქტით უკმაყოფილო ჟორდანიას ადვოკატის მოთხოვნის არდაკმაყოფილების შესახებ, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ძალაში დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. მერაბ ჟორდანიას, სულ ცოტა, სამი თვე მე-5 იზოლატორის საკანში ყოფნა მოუწევს. ამასობაში კი, შესაძლოა, გაირკვეს იმ 4 მილიონი დოლარის წარმომავლობა, რომელსაც ქართველმა სამართალადამცველებმა შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში მიაკვლიეს.

როგორც ცნობილია, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ ერთდღიანი განხილვა უძღოდა, რომლის მსვლელობისასაც რაიონული სასამართლოს მიერ გირაოს სახით მოთხოვნილი სადავო თანხის ერთი მესამედი – 240 ათასი ლარი, 400 ათასამდე გაიზარდა. უფრო სწორად კი, ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილის თქმით, 400 ათასი ლარის გადახდა პროკურატურამ გირაოს სახით კი არა, ბიუჯეტის სასარგებლოდ მოითხოვა. **"მადა აღეძრათ",** - ამბობს ამის შესახებ როსტიაშვილი.

მერაბ ჟორდანიას მხარემ, რომელმაც თავის დროზე 240 ათასის გადახდაზეც უარი თქვა და თანხის შემცირება მოითხოვა (თუმცა, შემდეგ, როგორც ითქვა, საჭირო ფული მისმა გულშემატკივრებმა შეაგროვეს), 400 ათასის გადახდაზე, მით უმეტეს, ბიუჯეტის სასარგებლოდ, უარი განაცხადა. ამ წინადადების სანაცვლოდ, ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა იმის გარანტიად, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სასამართლოს არ დაემალება, სასამართლოს 61 ათას ლარის - ბიუჯეტში შეტანა, ხოლო 186 ათას ლარის გირაოს სახით გადახდა შესთავაზა. ამჯერად სასამართლომ არ მიიღო ეს შეთავაზება და მერაბ ჟორდანია, რომელსაც 750 ათასამდე ლარის გადასახადის დაფარვისთვის ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 160-მუხლით აქვს წაყენებული, სულ ცოტა, სამი თვით ციხეში ყოფნისთვის გაიმეტა.

ჟორდანიას გულშემატკივრები სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ზეწოლის შედეგად გამოტანილად მიიჩნევენ და ხელს უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრისკენ - გია ბარამიძისკენ იშვერენ. მეტიც, ისინი აპირებენ საპროტესტო აქციების მოწყობას ჟორდანიას პატიმრობიდან გათავისუფლებისა და ბარამიძის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით.

რაც შეეხება საოლქო სასამართლოში გახმაურებულ, თითქოს და ჟორდანიას საქმეში აღმოჩენილ ახალ გარემოებებს, ანუ შვეიცარიის ბანკში მიკვლეულ 4 მილიონ დოლარს, როგორც ირკვევა, ამ თანხის არსებობა სიახლე სულაც არ გახლავთ.

**"ჩვენ ჩვეულებრივ მივმართავთ ხოლმე უცხოელ პარტნიორებს შეკითხვით, ირიცხება თუ არა სხვადასხვა ანგარიშებზე მნიშვნელოვანი თანხები,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი განუგრავამ, - **ამ ოთხი მილიონის შესახებ ინფორმაცია ორი თვის წინ მივიღეთ. ჯერჯერობით, მისი წარმომავლობა მთელი სიზუსტით დადგენილი არ არის. შესაძლოა, ამ თანხის გამო, მერაბ ჟორდანიას გარდა, სხვებსაც მოუწიოთ პასუხისგება. ამას გამოძიება დაადგენს, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. შესაბამისად, სასამართლო სამთვიანი პატიმრობის შეფარდებისას ამ თანხის არსებობას ვერ გაითვალისწინებდა. ჟორდანიას წინასწარი პატიმრობა იმ 741 ათასის გამო შეეფარდა, რომლის გადაუხდელობაც სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზით არის დადასტურებული. გადაიხადოს ეს თანხა ბიუჯეტში და ყველა კმაყოფილი დარჩება";** ანუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სამთვიანი პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, თუ იგი ბიუჯეტისადმი დავალიანების გადახდას უზრუნველყოფს და, რა თქმა უნდა, შვეიცარიის ბანკში მიგნებულ 4 მილიონ დოლართან დანაშაულებრივი კავშირი არ დაუმტკიცდება.

# არაჩვეულებრივი არ-გამოფენა

ქეთი შუბითიძე

**"მთელ ქართველ ერთან ერთად, უდიდეს სიამაყეს განვიცდი, რადგან დღეს საშუალება გვაქვს, ამერიკელ ხალხს ვუჩვენოთ საქართველოს კულტურა და ისტორიის საგანძური. ვიცი, ძნელია ამერიკელი ხალხის გაკვირვება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როდესაც ამერიკელები ჩვენი ერის დიდებულ და უძველეს ტრადიციებს გაეცნობიან, ისინი მართლაც სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დარჩებიან."**

**ედუარდ შევარდნაძე**

*(1999 წ. ნატო-ს სამიტი. ვაშინგტონი.)*

საქართველომ მართლაც მოახერხა "ძნელად გასაკვირვებელი" ამერიკელების გაოცება, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთობ უსიამოვნო სიურპრიზით. 1999 წელს, საქართველოს ეროვნული საგანძურის ამერიკაში გამოფენის გახსნამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს მხარემ ყველა ოფიციალური შეთანხმებისა და მორალური ვალდებულების დარღვევით, უარი განაცხადა აშშ-ში ექსპონატების გაგზავნაზე და "გაურკვეველი ვადით გადადო" გამოფენა.

"ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენა" სამ ამერიკულ მუზეუმს უნდა სწვეოდა: ვალტერის ხელოვნების მუზეუმს ბალტიმორში, შემდეგ მინგეის საერთაშორისო მუზეუმს სან დიეგოში და ბოლოს, საქართველოში დაბრუნებამდე, ხელოვნების მუზეუმს ჰიუსტონში.

გამოფენის იდეას 1996 წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი. 1996 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერა აშშ-ში საქართველოს საგანძურის გამოფენის შესახებ საინიციატივო წერილს. წერილს ხელს აწერენ საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე და, ამერიკის მხრიდან, საერთაშორისო ხელოვნებისა და განათლების (მაშინ გამოფენათა) ფონდის პრეზიდენტი გრეგორი გუროვი. ამ საინიციატივო წერილში საუბარია, აგრეთვე, აშშ-ში გამოფენის პარალელურად, ამერიკელი ხალხისათვის საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით, სხვადასხვა კულტურული და სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის შესახებ.

1998 წლის 20 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა N82 დეკრეტი - *"1998-1999 წლებში აშშ-ში ქართული ეროვნული გამოფენისა და სამეცნიერო-კულტურული ღონისძიებების მოწყობის შესახებ"*. ამ დეკრეტით, გამოფენის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის მიზნით, პრეზიდენტმა შექმნა გამოფენის საორგანიზაციო კომისია და აღმასრულებელი კომიტეტი.

როგორც ვხედავთ, დაცული იყო ყველა ფორმალობა, თუმცა, გამოფენის საორგანიზაციო კომისიის წევრობით დაინტერესებულ პირებს არც არაფორმალური გზები გამოუტოვებიათ. გრეგორი გუროვის თქმით, ფონდში მუდმივად ისმოდა სატელეფონო ზარები საქართველოდან. რეკავდნენ თხოვნით, რომ ფონდს გარკვეული "მნიშვნელოვანი" პირებისათვის რეკომენდაცია გაეწია საქართველოს პრეზიდენტთან კომისიის სიაში ჩასასმელად. ამ სატელეფონო თხოვნებში მოიხსენიებოდნენ როინ მეტრეველის, თამაზ გამყრელიძის, ალბერტ თავხელიძის სახელები. სამწუხაროდ, მოგვიანებით, გამოფენის ბედის გადამწყვეტ მომენტში, ეს "მნიშვნელოვანი" პირები საერთოდ გაუჩინარდნენ.

ასე იყო თუ ისე, N82 საპრეზიდენტო დეკრეტს თან დაერთო პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომისიის სია, შემდეგი შემადგენლობით:

ვალერი ასათიანი - მაშინდელი კულტურის მინისტრი, ზაზა ალექსიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, ჯემალ აჯიაშვილი - მწერალი, პარლამენტის წევრი; ალბერტ თავხელიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მალხაზ კაკაბაძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ნოდარ ლომოური - ხელოვნების მუზეუმის დირექტორი; როინ მეტრეველი - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ნუგზარ ფოფხაძე - ედუარდ შევარდნაძის ფონდის დემოკრატიისა და აღორძინების თავმჯდომარე; ირაკლი ყიფშიძე - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილე; ზაზა შენგელია - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; ლევან ჭილაშვილი - სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი; თამაზ ჭილაძე - ჟურნალ "მნათობის" რედაქტორი; თემურ ხუროძე - სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი; თედო ჯაფარიძე - საქართველოს ელჩი აშშ-ში. ამ კომისიის და აღმასრულებელი კომიტეტის წევრობა არა მარტო საპატიო, არამედ სახარბიელოც აღმოჩნდა ზოგიერთი წევრისათვის, მაგალითად, თემურ ხუროძისა და ზაზა შენგელიასათვის, რომლებმაც გამოფენის მოსამზადებელ პერიოდში, ამერიკული ფონდის ხარჯით, აშშ-ში იმოგზაურეს, თუმცა გამოფენას არ უერთგულეს და მხარი არ დაუჭირეს გადამწყვეტ მომენტში.

1998 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოფენის ორგანიზებისათვის შემდეგი ოფიციალური ნაბიჯი გადადგა და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას *"საქართველოს ეროვნული გამოფენის ორგანიზების შესახებ."* საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საპრეზიდენტო კომისიის თავმჯდომარემ, კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა; ხოლო ამერიკის მხრიდან - საერთაშორისო ხელოვნებისა და განათლების ფონდის პრეზიდენტმა გრეგორი გუროვმა. ამ ხელშეკრულების თანახმად, ამერიკულმა მხარემ მთლიანად იკისრა ფინანსური პასუხისმგებლობა გამოფენის ორგანიზებაზე. ამერიკული ფონდი მთლიანად იღებდა გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოების, საგამოფენო ექსპონატების ტრანსპორტირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ქართული მხარის წარმომადგენელთა აშშ-ში მოგზაურობის, ექსპონატების ტრანსპორტირებისა და შემდგომი შენახვისათვის საჭირო სტენდების დამზადების, ქართულ ხელნაწერთა რესტავრაციის და გამოფენის კატალოგის მომზადებისა და დაბეჭდვის ხარჯებს. გამოფენიდან მიღებულ შემოსავალს კი თანაბრად გაიყოფდნენ ქართული და ამერიკული მხარეები (მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ხელოვნების და განათლების ფონდი დაფარავდა გაწეულ ხარჯებს). უფრო მეტიც, ამერიკული ფონდი თავისი წილი შემოსავლის ნახევარს ისევ და ისევ საქართველოს მოახმარდა და ქართველ მკვლევარებსა თუ ხელოვნების მოღვაწეებს საშუალება ექნებოდათ, მომავალში ამ ფულით აშშ-ში განეხორციელებინათ კვლევები, მოეწყოთ კულტურული ღონისძიებები, გამოფენები და ა.შ. ამრიგად, გამოფენის შემოსავლის 75 პროცენტს საქართველო მიიღებდა. ფინანსური სარგებლის გარდა, საქართველოს გამოფენის ჩატარების შემდეგ დარჩებოდა 10 რესტავრირებული უნიკალური ხელნაწერი, რომლებსაც ბალტიმორში, ვალტერის მუზეუმში, მსოფლიოში საუკეთესო სარესტავრაციო ლაბორატორიაში ამერიკული ფონდის ხარჯებით აღადგენდა მსოფლიოში ხელნაწერთა საუკეთესო რესტავრატორად აღიარებული აბიგალ კუანდტი. ეს ხელნაწერები მაშინაც და დღესაც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და განადგურების პირასაა. ქართველი მეცნიერები ამ ხელნაწერებს ვერც კი ხსნიან, რადგან, სათანადო რესტავრირების გარეშე, მოოქროვილ ფურცლებზე მელნით შესრულებული წარწერები ჩამოიშლება და სრულიად განადგურდება. საქართველოში კი, სამწუხაროდ, მათი აღდგენის არც მატერიალური, არც ტექნიკური და არც ადამიანური რესურსები არ არსებობს. გრეგორი გუროვმა გაიხსენა, როგორი აღტაცებული დარჩა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ზაზა ალექსიძე ბალტიმორში, ვალტერის მუზეუმში ხსენებული რესტავრატორის მიერ აღდგენილი მსგავსი ხელნაწერებით და მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიით.

გამოფენიდან საქართველოს შესაძლო სარგებელზე საუბრისას, ძნელია, არ ახსენო გაზრდილი პოპულარობა და აღიარება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ამ გამოფენის შედეგად მიიღებდა.

165 საგამოფენო ექსპონატისაგან შემდგარი გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოები ძალზე რთული და შრომატევადი იყო. ყოველი ექსპონატი სათითაოდ აღიწერა, გაიზომა, ფოტოგრაფიულად დაფიქსირდა, ყოველი ექსპონატისათვის დამზადდა სპეციალური სტენდები, რომლებიც არა მხოლოდ მათ უსაფრთხო ტრანსპორტირებას, არამედ მომავალში ოპტიმალურ პირობებში (ტემპერატურა და ტენიანობა) შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. მომზადდა მასალები კატალოგისათვის. ამერიკულმა ფონდმა ქართველ მეცნიერებსა და ხელოვნებათმცოდნეებს ჰონორარები გადაუხადა სტატიებისათვის, რომლებიც კატალოგისთვის დაიწერა. ბალტიმორში, ვალტერის მუზეუმში, რომელიც პირველი უმასპინძლებდა ქართულ გამოფენას, მოეწყო საგამოფენო დარბაზები. შვიდი ქართული მუზეუმის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები აქტიურად და დიდი მონდომებით მუშაობდნენ ამერიკელ პარტნიორებთან ერთად იმისათვის, რომ გამოფენა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.



*შარაძე აქ ბევრს ყვიროდა, ამერიკაში კი გუროვს ელაქუცებოდა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ახლოვდებოდა გამოფენის დაგეგმილი გახსნა, როდესაც 1999 წლის 24 აპრილს ვაშინგტონში, ნატო-ს სამიტზე მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა საზეიმოდ გამოაცხადა გამოფენის შესახებ და აშშ-ს პრეზიდენტი ოქტომბერში ბალტიმორში გამოფენის საზეიმო გახსნაზე საპატიო სტუმრად მიიწვია.

საქართველოს პრეზიდენტის ეს განცხადება გამოფენის ისტორიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. როგორც აღვნიშნე, მას წინ უძღოდა ქართული და ამერიკული მხარის გულმოდგინე მზადება და დიდი მოლოდინი, მაგრამ ამავე განცხადებას მოჰყვა ძლიერი აგრესია, ბრმა უარყოფა და იმედგაცრუება. ედუარდ შევარდნაძის მიერ ვაშინგტონში გაკეთებულ განცხადებას საქართველოს პარლამენტში მრისხანებით და შიშით შეხვდნენ. გურამ შარაძემ საქართველოს პრეზიდენტი ქართული საგანძურის ამერიკაში გაყიდვის განზრახვაში დაადანაშაულა. თუმცა, ჯერ კიდევ ვაშინგტონში მყოფმა შევარდნაძემ ამერიკული მხარე დაამშვიდა, გამოფენა მაინც შედგება, სანერვიულო არაფერიაო.

მომდევნო თვეს სპეციალურად ექსპონატებისათვის დამზადებული სტენდებით (ყუთებით) დატვირთული გრეგორი გუროვი და ბალტიმორის ვალტერის მუზეუმის დირექტორი, ბიზანტოლოგი გარი ვიკანი თბილისში ჩამოვიდნენ. გამოფენამდე ცოტა დრო რჩებოდა და საჭირო იყო სარესტავრაციო ხელნაწერების ბალტიმორში დროულად წაღება, რათა გახსნისათვის მათი აღდგენა მოესწროთ. ამ დროისათვის გამოფენის მოწინააღმდეგეები, გურამ შარაძის თაოსნობით, ქართული მუზეუმების წინ საპროტესტო აქციებსა და მიტინგებს აწყობდნენ. საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგეებს შეუერთდა ზოგიერთი იმ პირთაგანიც, მაგალითად ლეილა ხუსკივაძე, რომლებმაც გამოფენის კატალოგისათვის სტატიები დაწერეს და შესაბამისი ჰონორარებიც მშვიდად აიღეს.

მოწინააღმდეგეების ნაწილს საქართველოს საგანძურის უსაფრთხოება ადარდებდა, თუმცა მათ ალბათ არ იცოდნენ, რომ ხელშეკრულების თანახმად, ამერიკული მხარე მთლიანად კისრულობდა მატერიალურ პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის დაზიანებაზე და, ამდენად, მათსავე ინტერესებში იყო გამოფენის ექსპონატთა უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა. მაგრამ გამოფენის მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტს არა უსაფრთხოება, არამედ ქართული ხელოვნების და ქრისტიანული კულტურის ნიმუშების მიერ "სიწმინდის დაკარგვა" წარმოადგენდა. შიშობდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისთანავე, ეს ნიმუშები დაკარგავდნენ თავიანთ სიწმინდეს. ქართული საგანძურის "სიწმინდის დასაცავად" ზოგიერთმა სტუდენტმა შიმშილობაც კი გამოაცხადა. ამგვარი საპროტესტო აქციების ფონზე, გრეგორი გუროვსა და გარი ვიკანს ხელნაწერთა აშშ-ში წაღების უფლება არ მისცეს. აქამდე გამოფენის იდეით აღფრთოვანებული და "მნიშვნელოვანი" ადამიანები უცებ სადღაც გაქრნენ. გამოფენის საორგანიზაციო კომისიაში დიდი დოზებით წარმოდგენილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურებმა - როინ მეტრეველმა და თემურ ხუროძემ განაცხადეს, რომ სტუდენტების სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ. მეტიც, მათ გრეგორ გუროვს სტუდენტებთან შეხვედრისა და დალაპარაკების უფლებაც არ მისცეს. გამოფენას მხარს უჭერდნენ მუზეუმების დირექტორები, რომლებსაც გუროვი გმირებს უწოდებს, საქართველოში ესოდენ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში თავიანთი მუზეუმებისადმი უდიდესი ზრუნვისა და ერთგულებისათვის. მუზეუმების დირექტორებისა და თანამშრომლების გარდა, გამოფენას მხარს უჭერდა საქართველოს ელჩი აშშ-ში თედო ჯაფარიძე, კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორი მაკა დვალიშვილი, ქეთი მაჩაბელი. ცხადია, ამ ადამიანებმა მოწინააღმდეგე სტუდენტებზე თუ პოპულისტ პარლამენტარებზე მეტი იცოდნენ ქართული კულტურის საგამოფენო სიაში შეტანილი ძეგლების შესახებ და მათზე არანაკლებ ესმოდათ მათი ისტორიული, კულტურული თუ სიმბოლური მნიშვნელობა. გამოფენის მოწინააღმდეგეებს არც ხელოვნებისა და ისტორიის ამ კომპეტენტური მცოდნეებისათვის უთხოვებიათ ყური, არც საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ვალდებულებები ადარდებდათ და არც ამერიკული ფონდის მიერ გაწეული ხარჯები.

ამერიკულ მხარესთან ხელშეკრულების გაფორმებისას, საგამოფენო ექსპონატების სიის დამტკიცება საქართველოს მთავრობამ თავის თავზე აიღო. ამ ეტაპზე საპატრიარქოს ნებართვა არავის მოუთხოვია, მაგრამ გამოფენის გახსნამდე ორიოდე თვით ადრე, ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ძნელი იქნებოდა პატრიარქის სურვილის წინააღმდეგ წასვლა. მთავრობა ცდილობდა, შექმნილი პრობლემები საპატრიარქოსათვის დაებრალებინა, ხოლო საპატრიარქო აცხადებდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობისა იქნებოდა, რადგან ხელშეკრულებას ქართული მხრიდან საპრეზიდენტო კომისიამ მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის ზაფხულში, აშშ-ში ყოფნისას, საქართველოს პატრიარქი შეხვდა გუროვს და საერთაშორისო ხელოვნების ფონდის სხვა წარმომადგენლებს და თავად დალოცა და აკურთხა დაგეგმილი გამოფენა. საქართველოში ყოფნისას, გამოფენის გადარჩენის მიზნით, გრეგორი გუროვმა პატრიარქთან შეხვედრა ითხოვა.

საქართველოს ტერიტორიის დატოვების შედეგად ქრისტიანული ძეგლების მიერ სიწმინდის გარდაუვალი დაკარგვის არგუმენტის საპასუხოდ, გუროვი ყველას შეახსენებდა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ თავის დროზე საქართველოს ფარგლებს გარეთ, საფრანგეთში გაიტანა ქართული საგანძური (და შესაბამისად მოსახდენი აქამდე მოხდებოდა). გამოფენის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები კი ასეთი იყო: მოდიოდა 2000 წელი, აპოკალიფსი და საქართველო ვერ გადარჩებოდა, თუ ეს წმინდა ხატები 2000 წლის დადგომისათვის საქართველოში არ იქნებოდნენ. ამავე შეხვედრაზე გუროვმა მიიღო შეთავაზება, ამერიკაში გამოსაფენად ქართული ხატების ჰოლოგრამული ასლები წაეღო და ამით შეევსო ვალტერის მუზეუმში გამზადებული საგამოფენო დარბაზები.

გუროვი და ვიკანი ამერიკაში ხელნაწერების გარეშე დაბრუნდნენ. იმავე წლის მომდევნო თვეს, ივნისში გამოფენის სასტიკი მოწინააღმდეგე, პარლამენტარი გურამ შარაძე აშშ-ში ჩავიდა. თავისი ვიზიტის დროს იგი შეხვდა გუროვს. შეხვედრა ვაშინგტონში, ფონდის ოფისში გაიმართა. საუბარს, გუროვისა და შარაძის გარდა, ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი თედო ჯაფარიძე მეუღლითურთ და ფონდის თანამშრომლები. ამ შეხვედრაზე გურამ შარაძემ გაიოცა, რომ მცოდნოდა გამოფენის უსაფრთხოების ასეთი ზომები გქონდათ დაგეგმილი და ხელნაწერებსაც აღადგენდით, წინააღმდეგი როგორ ვიქნებოდიო, თბილისში დავბრუნდები და გამოფენას მხარს დავუჭერო. თბილისში დაბრუნებულ შარაძეს გამოფენისათვის მხარი არ დაუჭერია, მისი მხარდაჭერისა და ვაჟკაცობის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ. ამის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა:

ფონდმა გამოფენის გადადებისა თუ გაუქმების შესახებ ჯერ არაოფიციალური, შემდეგ კი ოფიციალური შეტყობინება მიიღო ედუარდ შევარდნაძისაგან, რომელიც თავის წერილში აღნიშნავდა, რომ არსებული წინააღმდეგობების გამო, გამოფენა "გაურკვეველი ვადით გადაიდო".

ძალიან ძნელია გამოფენის ჩაშლის ნამდვილი მიზეზის მიგნება. არ არის არავითარი რეალური, ხელმოსაკიდი მიზეზი. ერთი მხრივ, სახეზეა საინიციატივო წერილები, მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება, საორგანიზაციო კომისიის წევრების აშშ-ში მოგზაურობის ამერიკული ფონდის მიერ გადახდილი ხარჯების ქვითრები, თითოეული საგამოფენო ექსპონატისათვის სპეციალურად შექმნილი სტენდები (ყუთები), ლონდონში ფილიპ ვილსონის გამომცემლობაში დაბეჭდილი უმაღლესი ხარისხის კატალოგი, რომელიც გამოფენის "გადაფიქრების" მომენტისათვის უკვე ბეჭდვაში იყო ჩაშვებული, და ამ კატალოგის სტატიებისათვის ქართველი მეცნიერებისათვის გადახდილი ჰონორარების ქვითრები, მეორე მხრივ... არის "რაღაც" უხილავი, გაურკვეველი, გაუზომავი, ან იქნებ, უბრალოდ, საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეამებინა ქართული ეკლესია (რომის პაპის საქართველოში მოპატიჟება ხომ ისედაც ცოდვად ეწვა კისერზე!), ამით დაემტკიცებინა თავისი ჭეშმარიტი ქრისტიანობა და გარკვეული წრეების მხარდაჭერა მოეპოვებინა.

ამ არშემდგარმა გამოფენამ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა და გამოცანა დაუტოვა ქართველებს. ამერიკულ ფონდს გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოების დროს გაწეული ხარჯების გამო, 750 000 დოლარის ფინანსური ზარალი დარჩა, რომელიც საქართველოს მთავრობამ ვალად აღიარა და ფონდს მის გადახდას შეჰპირდა. საქართველოს მთავრობა ამ ფინანსურ ვალდებულებას ჩვეული უპასუხისმგებლობით მოეკიდა და ამერიკული არაკომერციული, საზოგადოებრივი ფონდი დღესაც "ისჯება" ქართული საგანძურის მსოფლიოსათვის გაცნობის მცდელობის გამო. ვინ გრძნობს ამ ვალზე პასუხისმგებლობას? იქნებ საქართველოს მთავრობასთან ერთად ზოგიერთები პირად პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ იმაზე, რაც მოხდა: რომ საქართველოს კულტურის პოპულარიზაციით დაინტერესებულ ამერიკელებს ფინანსური ზარალი და გაცრუებული ნდობა შერჩათ, რომ საქართველოს კიდევ ერთი ვალი დაედო და მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ ჩვენი ქვეყანა ვერ ასრულებს თუ არ ასრულებს ოფიციალურად ნაკისრ ვალდებულებებს და საყოველთაოდ მიღებული ქცევის ელემენტარული წესების დაცვა არ შეუძლია.

გამოფენის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ლიდერი გურამ შარაძე კი, ალბათ, ძალიან შორს იყო გულწრფელობისაგან, როდესაც ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე გუროვს გამოფენის მხარდაჭერას შეჰპირდა. ფონდი გურამ შარაძის მხარდაჭერას არც ელოდა, თუმცა არც იმას ელოდა, რაც თბილისში დაბრუნებულმა შარაძემ გაზეთ "ახალ თაობაში" დაბეჭდილ ინტერვიუში განაცხადა. შარაძემ გუროვს ცილი დასწამა, თითქოს მისთვის თვეში 8000 დოლარის ოდენობით ქრთამი, მთელი მისი ოჯახის აშშ-ში გამოფენის გახსნისათვის ჩაყვანა და საუკეთესო სასტუმროში დაბინავება შეეთავაზებინოთ მხარდაჭერის სანაცვლოდ. არც იმას მოერიდა, რომ შეხვედრაზე სხვა მოწმეებიც არსებობდნენ. გუროვმა გურამ შარაძეს ცილისწამებისათვის სასამართლოში უჩივლა. გუროვის წარმომადგენელმა, ადვოკატმა ვიქტორ ყიფიანმა სასამართლოს წარუდგინა შეხვედრის ყველა დამსწრის (მათ შორის საქართველოს ელჩის თედო ჯაფარიძის) წერილობითი ჩვენებები, რომლებშიც უკლებლივ ყველა უარყოფდა გუროვის მიერ შარაძისათვის ქრთამის შეთავაზების ფაქტს. აშკარა იყო, სასამართლო თვალს ვერ დახუჭავდა მოწმეთა ჩვენებებზე. ამ დროს ვიქტორ ყიფიანს შარაძის წარმომადგენლებმა მიმართეს, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ყველაფერი, ნუღარ ჩავრევთ მოსამართლესო. გუროვი არც მორალური ზიანის ანაზღაურებას, არც ბოდიშს არ ითხოვდა, მან შარაძეს მხოლოდ სიმართლის აღიარება მოსთხოვა. 2002 წლის 14 ნოემბრით დათარიღებულ წერილში გრეგორი გუროვისადმი, შარაძე აცხადებს, რომ მისთვის გუროვს მართლაც არასოდეს შეუთავაზებია ქრთამი, და რომ რაც "ახალ თაობაში" დაიბეჭდა, ჟურნალისტის მიერ მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყო. საინტერესოა, რატომ "დამახინჯებული" ინტერვიუს დაბეჭდვისთანავე არ უარყო გურამ შარაძემ, რაც იქ დაიბეჭდა, რაში დასჭირდა 2 წელიწადი? ეს ინტერვიუ ხომ 2000 წლის მაისში დაიბეჭდა. იმ ინტერვიუმ თავის დროზე თავისი ფუნქცია შეასრულა, ეს მობოდიშების თუ, უბრალოდ, რეალური ფაქტების აღიარების წერილი კი ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაიწერა.

ის კი, რაც შეიძლებოდა როგორც ქართული, ასევე ამერიკული მხარის წარმატებით დასრულებულიყო, ორივე მხარისათვის დანაკარგით დამთავრდა. არ არსებობს საზღაური გაცრუებული ნდობისა და მორალური ზიანისათვის, მაგრამ დოკუმენტურად დაფიქსირებული 750 000 დოლარის ხარჯი ზარალად აწევს ამერიკულ ფონდს და ვალად - საქართველოს.

დღეს, გრეგორი გუროვის თქმით, გამოფენის კატალოგის გამოსვლის შემდეგ უამრავი მუზეუმია დაინტერესებული ამ გამოფენის "მასპინძლობით" და ახლა შესაძლებელი იქნებოდა გამოფენის 2 წლით მოწყობა, რაც ქართულ მუზეუმებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს მოუტანდა. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს სათავეში მოსული ახალი მთავრობა პასუხისმგებლობით მოეკიდება ფონდისადმი არსებულ ვალს, რომ ნორმალური დიალოგის პირობებში, შესაძლებელი იქნება ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის პოვნა და, რაც მთავარია, გამოფენის მოწყობაზე მუშაობის განახლება (ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები ხომ უკვე ჩატარებულია). საუბრის ბოლოს გუროვმა აღნიშნა, რომ დღეს ასეთი გამოფენა საქართველოსათვის ალბათ უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება, ვიდრე როდესმე.

აღსანიშნავია, რომ "ქართული საგანძურის გამოფენა" უპრეცედენტო არ ყოფილა არშემდგარ ქართულ გამოფენებს შორის. 1999 წელს იტალიაში "კონსტანტინოპოლის შემდგომი პერიოდის აღმოსავლეთ ქრისტიანული ხელოვნების" გამოფენაზე გასაგზავნ ქართულ ექსპონატებს იგივე ბედი ეწიათ, ისინი აეროპორტიდან მოაბრუნეს. 1997 წელს, "ბიზანტიის დიდების" სახელით, ნიუიორკის მეტროპოლიტან მუზეუმში გამართულ გამოფენაზე ამ პერიოდის უმდიდრესი და უნიკალური ხელოვნების ნიმუშების პატრონი საქართველო ერთ პატარა კუთხეში 5 ექსპონატით იყო წარმოდგენილი. უბრალოდ, ინფორმაციისათვის მინდა აღვნიშნო, წელს მეტროპოლიტენ მუზეუმმა უმასპინძლა ძველი შუამდინარეთის ხელოვნების თითქმის სრულად ამსახველ გამოფენას. უძველესი და უძვირფასესი ექსპონატები (მათ შორის ძვ. წ. 3000 წლით დათარიღებული ოქროს ნაკეთობები) მეტროპოლიტენ მუზეუმს მსოფლიოს 51-მა მუზეუმმა და 15-მა სხვადასხვა ქვეყანამ მისცა გამოსაფენად. ამ 15 ქვეყანას შორის იყო სირია, საუდის არაბეთი, უზბეკეთი და სხვები.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
OSCE
Mission to Georgia
ეუთოს მისია საქართველოში
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის
მიერ საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური
მხარდაჭერით მომზადდა გზამკვლევი
უფასო
გზამკვლევი უფასოა და იგი შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:
პ. ორბელიანის 35.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 922839, 923122
www.economists.ge office@economists.ge

www.24hours.ge 24 B

# სანამ აქ ვარ, ბრძოლას ერთჯერადი ხასიათი არ ექნება

A1 გვერდიდან

**- რა მემკვიდრეობა დაგხვდათ, რა არის ყველაზე დიდი პრობლემა?**

- ადგილობრივი მასშტაბის მთავარი პრობლემა - კრიმინალია. ყაჩაღობის, მანქანების გატაცების გარეშე დღე არ გავიდოდა. ანეკდოტად დადიოდა, გორელები რომ იძინებენ, ხელ-ფეხს და პირს "სკოჩით" იკრავენ. ყაჩაღებს ჰგონიათ, აქ უკვე ნამყოფები არიან და თავს ანებებენო... ვერ ვიტყვი, რომ კრიმინალური სურათი სერიოზულად შეიცვალა, მაგრამ ამის წინაპირობები ჩანს - მატების ტენდენცია არ არის, აშკარად კლებისკენ მიდის.

მეორე პრობლემა, რომელიც საქვეყნო პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს - კონტრაბანდაა. ეს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას ძალავს. დანარჩენი პრობლემები იგივეა, რაც მთელს ქვეყანაში - ხელფასები, პენსიები და ა.შ.

**- კონტრაბანდისტებთან სამართალდამცავების კავშირზე ბევრს საუბრობენ. ასეა?**

- ეს პრობლემა დღესაც რჩება. ადგილობრივი სამართალდამცავები პირდაპირ არიან შეკრული ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან, კონტრაბანდისტებთან, მანქანის გამტაცებლებთან... ამას წინათ, ერთი საგზაო ინსპექტორი მეუბნებოდა - ქალაქიდან რომ გამოდიხარ, პირველ ტეკს გაივლი თუ არა, მარშრუტი მთელი რეგიონის პოსტებმა იციანო. რამდენიმე პოლიციელმა და კონტრაბანდისტმა ჩემს მძღოლს სოლიდური თანხა შესთავაზეს - გაგვაგებინე, რეიდებზე სად და როდის მიდისო.

ეს პრობლემა რომ ერთ დღეში არ მოგვარდება, კარგად მესმის, მაგრამ ადამიანებმა, ვინც სათავეში არიან და ასეთ ურთიერთობებს მფარველობენ, საკადრისი პასუხი უნდა მიიღონ.

**- ეს მფარველები დღესაც არიან ხელისუფლებაში?**

- მხედველობაში მყავს ადგილობრივი ხელმძღვანელობა. ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ეს ყველაფერი ისეთი სტილით აღარ განვითარდება, როგორც აქამდე იყო. ნებისმიერი ასეთი ურთიერთობების გამო ისინი დაისჯებიან და არამხოლოდ სამსახურიდან წასვლით - კანონის წინაშე აგებენ პასუხს...

**- ჩვენი სახელმწიფოს წყალობით, რიგითი ადამიანებისთვის ერგნეთში ვაჭრობა თავის რჩენის ერთადერთი საშუალებაა. ამ ერთადერთი საშუალების მოსპობით რეგიონის ადმინისტრაცია სანაცვლოდ რას სთავაზობს?**

- კარგად მესმის, რომ ერგნეთი იქაური მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაზრდოებს. კონტრაბანდის წინააღმდეგ გადადგმული ჩემი ნებისმიერი ნაბიჯი დაკავშირებული არ იყო იმ ადამიანთა მომავალთან, რომლებიც ყოველდღიურად ათი და ოცი ლარის შოვნით არიან დაკავებული. მე არ შევხებივარ იმ მანქანებს, რომლებიც გადმოდიან ერგნეთიდან, შემოაქვთ 10 ტომარა ფქვილი, ან სამლიტრიანი ქილებით ყიდიან საწვავს. სანამ ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია, არ ვაპირებ 5 და 10 ლარის შემოსავალი დავუკარგო ვინმეს. ამ ხალხის წესიერ შემოსავალზე ცენტრალურმა მთავრობამ უნდა იზრუნოს.

აქ არის საუბარი მათზე, ვინც ერგნეთის ბაზრობით საკმაოდ მსუყე ლუკმას შოულობდნენ. ჩვენს მხარეს, მაქსიმუმ, ოთხი ოჯახი იყო, რომელიც მთლიანად მფარველობდა ერგნეთიდან შემოსულ კონტრაბანდულ ტვირთებს. ეს ოჯახები დაკარგავენ თუ არა ბიზნესს, შემოაკლდებათ თუ არა შემოსავალი - საერთოდ არ მაინტერესებს. მათ თავისი ადგილი უნდა იცოდნენ.

**- ამ გავლენიან ოჯახებს თქვენი სახით, საკმაოდ დიდი პრობლემა გაუჩნდათ. ასეთ დროს კი გარკვეული გარიგებების შემოთავაზება იციან ხოლმე...**

- რომ გითხრათ, რომ არ ვიცი, ვინ არიან ესენი, რა შემოსავლებზეა საუბარი და ურთიერთობა არ მქონია მათთან, მართალი არ ვიქნები. იქ ჩასვლის დღესვე ახლობლების საშუალებით შევუთვალე მათ - აქამდე რაც იშოვნეთ, ღმერთმა შეგარგოთ, კარგი იქნება, რომ ის ფული კანონიერ ბიზნესში ჩადოთ... მაგრამ, თქვენ ვეღარ გააგრძელებთ ისე, როგორც აქამდე. მათ გამომიგზავნეს შუამავლები, შემომთავაზეს გარკვეული თანხები, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. ამის შემდეგ რამდენიმე დაჯგუფებამ გაითვალისწინა ჩემი გაფრთხილება და ბიზნესი შეაჩერა, რამდენიმემ ეს არ გააკეთა და ხაფანგში გაება. მერე ქვითინით მოვიდნენ და თქვეს, რომ შეცდნენ და ა.შ. არ ვაპირებ, დავუშვა პრეცედენტი, რომ ვიღაცას რაღაც ეპატია.

**- რა ხაფანგებზე საუბრობთ?**

- ტვირთების დაკავებაზე... მათ, ვინც შეწყვიტა უკანონო ბიზნესი და მათაც, ვინც არ შეწყვიტა, რატომღაც, ჰგონიათ, რომ ახალი ხელმძღვანელი ახალი ცოცხის პრინციპით მუშაობს. შეიძლება, ვიღაც ფიქრობს, რომ მშიერი ვარ და მსუყე ლუკმას ველოდები. პოლიციელებშიც მუსირებს აზრი, რომ თამასა აიწევს და ორ კვირაში ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება... ასე არ იქნება - რამდენი ხანიც უნდა ვიყო, კონტრაბანდული ტვირთების შემოსვლას არც ერთ წუთს არ შევეგუები. ეს ერთი მხრივ, ქართულ სახელმწიფოებრიობას ძალიან მარტივი მიზეზის გამო ურტყამს - ბიუჯეტში გადასახადები არ შედის; გარდა ამისა, ეს ოსურ კლანებს აძლიერებს.

**- დაახლოებით, რამდენი აკლდება ბიუჯეტს?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. გატარებული ღონისძიებების შედეგად მარტივად აღმოვაჩინე, რომ თვის განმავლობაში მხოლოდ ხორბლის განბაჟებიდან შემოსული თანხები, ორ დღეში ამოვიდა. თავად განსაჯეთ, რა მასშტაბებზეა საუბარი. მეორე დღესვე გავიარე ერგნეთისკენ მიმავალ ცენტრალურ მაგისტრალზე. 10-15 ტრაილერი ტერმინალისკენ, ტვირთის განსაბაჟებლად მიდიოდა...

**- გრძელდება თუ არა კონტრაბანდის მფარველობა ცენტრალური ხელისუფლებიდან და კონკრეტულად, რომელი უწყება აკეთებს ამას?**

- სამართალდამცავები. რა თქმა უნდა, კანცელარიისკენაც მიდის კვალი, მაგრამ ძირითადი მფარველობის სფერო შსს იყო. კანცელარიაში ამ ყველაფერს პრეზიდენტის რეგიონული მართვის სამსახური და მისი ხელმძღვანელი, ყოფილი გუბერნატორი - ირაკლი ბოჭორიძე მფარველობდა.

**- ეს სამართალდამცავები დღესაც თავის თანამდებობებზე რჩებიან? მათი პოზიციის შესახებ რა იცით?**

- არ ვიცი, რა პოზიცია აქვთ და ალბათ, არც გამომჟღავნდება, რადგან მათ ესმით, რომ ახლა ქვეყანაში სხვა რეალობაა. ჩემი მხრიდან გარკვეული დათმობა რომც მოხდეს, ეს მათ შედეგს არ მოუტანს, რადგან მათი პირდაპირი ხელმძღვანელობა არ წავა დათმობაზე და პირიქით - დათმობა მათი ხელმძღვანელობის მხრიდან ჩემს დათმობას ნამდვილად არ გულისხმობს.

**- როგორ შეხვდნენ რეგიონში საკადრო ცვლილებებს?**

- ჩასვლისთანავე განვაცხადე, რომ რევანშისტული განწყობით არ მივსულვარ. არჩევნებამდე მეორე მხარეს მდგარი ადამიანებისთვის ანგარიშის გასწორებას არ ვაპირებ. პირიქით, ნორმალური მუშაობის შანსს ყველას ვაძლევ. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში წესიერებას არ დავინახავ, არამხოლოდ თანამდებობებს დატოვებენ, არამედ - ძველზეც მოვთხოვ პასუხს.

საკმაოდ გახმაურებული თემაა ქარელის ტყეების ჩეხვა. ხალხი იმასაც კი ამბობს - ქარელში ერთი მთიდან მეორე მთას რომ გახედო, კურდღელსაც კი დაინახავ, იმიტომ, რომ ტყე აღარ არსებობს. ეს არამხოლოდ ადგილობრივი მეტყევეების ბიზნესი იყო, არამედ საკმაოდ მსხვილი კლანების ბიზნესიც, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ერთ თოვლიან დღეს შევკრიბე პრესა, პროკურორი, პოლიციის, სატყეოს, ეკოპოლიციის უფროსები, დავსვი დიდ სატვირთო მანქანაზე და ტყეში წავიყვანე. შუა გზაზე რომ მივედით, ჩინოვნიკების ნახევარი აწუწუნდა - თუ მოხსნა გინდათ, ტყეში რას გვატარებ, პირდაპირ მოგვხსენიო... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათ პირველად არ ნახეს - ამ საქმეში პოლიციის უფროსიც კარგად იყო გარეული და პროკურორიც. მათ კარგად იციან, ვისი სამხერხაოები დგას.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სატყეოს უფროსის მოხსნას ვაპირებდი, გავრცელებული იყო. წინა დღით ერთი-ორი საათით ჩამოვედი თბილისში და ატყდა ზარები, შემოთვლები - არიქა, არ მოხსნაო... მე ვუთხარი: არ მოვხსნი, თუ ასე ძალიან გინდათ, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ დავიჭერ-მეთქი.

**- თქვენ უკონტროლო ტერიტორიის მოსაზღვრე რეგიონში გიხდებათ მუშაობა. რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს რწმუნებულს სეპარატისტულ მთავრობასთან?**

- როცა ანტიკონტრაბანდისტული ღონისძიებები დავიწყეთ, ადგილობრივ სამართალდამცავებს, რა თქმა უნდა, არ ვენდე და უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი მოვითხოვე. ეს რაზმი კონფლიქტის ზონაში, ერგნეთიდან, დაახლოებით, კილომეტრნახევარში დავაყენეთ. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია წისქვილები, სადაც შემოსული კონტრაბანდული ხორბალი მუშავდება და ეს ბიზნესი, ვითომ, "თეთრდება". ბუნებრივია, სპეცრაზმის დისლოკაციამ ოსურ ხელისუფლებაში შეშფოთება გამოიწვია.

რუს მშვიდობისმყოფელებთან პრობლემა არ ყოფილა, რადგან დადგენილი წესის მიხედვით, წინასწარ შევუთანხმეთ. ოსური მხარის შეშფოთება გამოწვეული იყო არა იმის გამო, რომ სპეცრაზმი მათ სიახლოვეს განვალაგეთ, არამედ იმის გამო, რომ კონტრაბანდის შეჩერებით, მათ შემოსავლები აკლდებათ. ისინი, ადრე თუ გვიან, უნდა შეეგუონ, რომ კონტრაბანდა ქართული სახელმწიფოსთვის დამანგრეველია და ამას ჩვენ არ შევეგუებით. მათ კარგად აქვთ წარმოდგენილი, რომ ქვეყანაში ახალი რეალობაა შექმნილი.

კოკოითი ახლა მოსკოვშია და ალბათ, მისი დაბრუნების შემდეგ ერთმანეთს შევხვდებით. რა თქმა უნდა, მათ ინტერესებსაც გავითვალისწინებთ. დარწმუნებული ვარ, არც ცენტრალურ ხელისუფლებას სურს კონფრონტაციის გზით სიარული, მუშტების ბრახუნი და საომარი მდგომარეობის შექმნა.

**- საინტერესოა, რას ელით ამ შეხვედრიდან. რეგიონში მათ ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ და კონტრაბანდა პოპულარულია.**

- ჩემი პოზიცია ერგნეთის ამოშანთვა არ არის. თუ ადამიანს არ აძლევ პენსიას, ან აძლევ ისეთ პენსიას, რომელიც საარსებო მინიმუმისგან ძალიან შორს არის და რიგით ადამიანს ერთადერთ საარსებო წყაროს უსპობ - ეს მიუღებელია. ოსურ მხარესაც მოსახლეობის დიდი ნაწილია ასეთ დღეში, ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. თუ ჩვენი მოსახლეობის ინტერესებზე იქნება საუბარი, ადგილობრივ ხელმძღვანელობას ყველაფერზე შემიძლია შევუთანხმდე და თუ იქიდან განმიცხადებენ, რომ მათი საოჯახო ბიზნესი ხელვყავი, შეთანხმება არ შედგება.

**- კონტრაბანდასთან ბრძოლა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის მავნეა. მუქარები ხომ არ გაისმა თქვენი მისამართით?**

- ქართულ მუქარებს მე მივხედავ, დანარჩენზე თვითონ იზრუნონ.

**- როგორ შეხვდა შიდა ქართლის მოსახლეობა ახალ ხელისუფლებას და ახალ ინიციატივებს?**

- საკუთარი თავის შემფასებლად არ გამოვდგები, მაგრამ მოსახლეობაში ოპტიმიზმს ვხედავ და ეს ჩემთვისაც იმედის მომცემია. რა თქმა უნდა, ერთ დღეში, ან ერთ თვეში ოაზისს ვერ შევქმნი, მაგრამ მოსახლეობა ჩემი გუნდის მხრიდან ყოველ დღე დაინახავს ნაბიჯებს უკეთესობისკენ. დღეს უკვე მანქანის ტექდათვალიერებისთვის აღარ სძალავენ 20 ლარით მეტს, ვიღაცას აღარ აჩერებენ საგზაო პოლიციის პოსტზე და მანდარინის გადატანისთვის 2 და 3 ლარს აღარ ართმევენ...

რაც შეეხება მთლიანად ქვეყანაში შექმნილ ფონს, მეც არ ვარ ამით კმაყოფილი. თუ ჩემი ყოველდღიური საქმიანობით ქვეყნის ბიუჯეტში შესასვლელი თანხის გაზრდას ვცდილობ და ამის მიუხედავად რეგიონი ხელფასებს და პენსიებს ვერ იღებს - მეც ადამიანური იმედგაცრუება მეუფლება.

ცენტრალურ ხელისუფლებაში მაქსიმალური ერთიანობა უნდა იყოს. მე ვატარებ ტვირთს, ვაბარებ მებაჟეს, რომელმაც ტვირთი ტერმინალში უნდა გადაატანინოს; მებაჟე ამ ტვირთს 15 წუთის მერე უშვებს, მე კი არ გამაჩნია ბერკეტი, რომ ამ მებაჟეს პასუხი მოვთხოვო და მათი ხელმძღვანელიც არ თხოვს პასუხს... ასე ჩემი მუშაობა ფუჭი იქნება.

**- ქვეყანაში მძიმე ვითარების დროს მთავრობის კოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვანია. თქვენი საუბრიდან გამომდინარე, კოორდინაცია ნაკლებად ხერხდება, რატომ?**

- ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი ძალების მუშაობით აღფრთოვანებული არ ვარ...

**- საბაჟოს ხელმძღვანელმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ თქვენი მუშაობით კმაყოფილია...**

- ეს პიარი იყო, თორემ ადგილობრივ მებაჟეებს იქ შემოსავალი მოაკლდათ. შეიძლება ვიღაცამ კმაყოფილება გამოთქვას, მაგრამ ვერც ფინანსთა და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან რეალურ დახმარებას ვერ ვხედავ.

**- ამ თემებზე ბარამიძესთან და ნოღაიდელთან ისაუბრეთ?**

- დიახ და თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ახლაა, პირდაპირ ვიტყვი, ან ნოღაიდელმა მოავლინოს გუბერნატორად ვინმე, ან ბარამიძემ.

**- თუ გაქვთ ინფორმაცია, რატომ აქვთ ხელ-ფეხი შეკრული ამ უწყებებს?**

- არ ვიცი. მათ ადგილობრივი ხელმძღვანელები არ გამოუცვლიათ. ელემენტარულს ვითხოვ - ან შეარჩიონ ისეთი კადრები, რომელსაც ენდობიან, ან ჩავთვლი, რომ ისინი კადრებს ვერ არჩევენ და მაშინ ამ საკითხში თავისუფლება მომცენ.

რეგიონში გამოვაცხადე, რომ არ შევეგუებოდი იმ ფაქტს, რომ ქალაქში ნარკოტიკებით ერთი მოვაჭრე მაინც დასეირნობდეს და პოლიციის უფროსი ისევ თავის კაბინეტში იჯდეს - ჩემთვის რომ ესიამოვნებინათ, მეორე დღესვე ყაყაჩოს თესლის წინააღმდეგ "მასობრივი შეტევა" გორშიც განახორციელეს. ეს ღონისძიება მოჩვენებითია. როცა ჰეროინის შემომტანი ქალაქში გიზის და თუნდაც, 100 კილოგრამ ყაყაჩოს ანადგურებ, ეს თავის მოტყუებაა. მე კი არ ვაპირებ თავის მოტყუებას. დღეს გორში ნარკოტიკებით 10 მოვაჭრე მაინც ცხოვრობს. ასევეა ხაშურში, კასპში... ჩვენ კი ქარის წისქვილებს ვეთამაშებით.

**- როგორ ემზადება რეგიონი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?**

- სიმართლე გითხრათ, არჩევნების თემით არ ვინტერესდები. არ მინდა, შეიქმნას ისეთი გარემო, როგორიც შევარდნაძის პერიოდში იყო, როდესაც მთელი სახელისუფლო სტრუქტურები იყვნენ ჩართულნი არჩევნების პროცესში და რომელიღაც კანდიდატს აშკარად ლობირებდნენ.

ამას წინათ, ჩემი აპარატის თანამშრომლებს სახელმწიფო სამსახურში საკუთარი ადგილის განსაზღვრა და მომავალი საქმიანობის ხედვის ჩამოყალიბება ვთხოვე. განათლების საკითხების ერთმა კურატორმა, დაახლოებით, ასეთი ტექსტი მომწერა: "მიმაჩნია, რომ აქტიური კამპანია უნდა გავწიოთ ქვეყნის პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ... ჩავატაროთ სკოლებში თავისუფალი თემების წერა იმის შესახებ, თუ როგორია მიხეილ სააკაშვილი და ა.შ. მეც მივუწერე წერილზე: მხარს ვუჭერ თემურ შაშიაშვილს... რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო...

**- ამ ინტერვიუს რომელიმე სხვა გაზეთს რომ აძლევდეთ, დილით აუცილებლად წაიკითხავდით სათაურს - "ოქრუაშვილი მხარს უჭერს შაშიაშვილს"... მხარის მასშტაბით, სახელმწიფო სტრუქტურაში არ გიმუშავიათ. გყავთ ვინმე მრჩეველი თუ საკუთარ ჭკუასა და გონებას ეყრდნობით?**

- ჩვენ ყველანი ოპოზიციური სპექტრიდან ვართ მოსულები, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება გაგვაჩნია. სხვა სტრუქტურის ხელმძღვანელობისას ახალ რელსებზე გადასვლა ცოტა გამიჭირდა და სხვათა შორის, ყველა სხვა სტრუქტურას იგივე პრობლემა აქვს.

არ ვაპირებ, რომ ფარული კამერით ვსდიო ინსპექტორებს და მერე ეს ყველაფერი პრესით სააშკარაოზე გამოვიტანო. ეს მეთოდები ისტორიას ჩაბარდა. ხალხი ყოველ დღე რაღაც ცვლილებას ელის. თუ კონკრეტულ სფეროებში თავისუფლება არ მექნა, ბოლოს იქამდე მივალ, რაც შაშიაშვილს დაემართა - ყოველ ღამე ტელევიზორში იჯდა და საქმე არ კეთდებოდა...

**- კონკრეტულად რა სფეროებში ითხოვთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უფლებას?**

- ცხადია, ერთ თვეში სასწაულებს ვერ მოვახდენთ. კორუფციის, კრიმინალის დონე თუ შემცირდა, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ხალხმა ცვლილებები ირწმუნოს. უნდა განვითარდეს ბიზნესი და დამატებითი შემოსავლები გაჩნდეს. მესამე - პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. აი, ის სამი რამ, სადაც ჩვენ ძალიან მოკლე დროში მივიღებთ შესამჩნევ შედეგებს. ხოლო - ინვესტიციების მოზიდვა, ვაშლის ექსპორტისთვის ხელშეწყობა, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება - ეს ერთი და ორი კვირის საქმე არ არის.

**- თქვენ ხართ ამ რეგიონში გამარჯვებული მაჟორიტარი კანდიდატი. რას აპირებთ ახალ საპარლამენტო არჩევნებზე?**

- მიმაჩნია, რომ ამ სახით არსებული რწმუნებულის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა წავიდეთ დეცენტრალიზაციისკენ, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფრო დიდი უფლებები უნდა მივცეთ, ვიდრე გააჩნიათ. რეგიონში შეიძლება იყოს ერთი, ორი, ან სამ შტატიანი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას დააკვირდება და ცენტრალურ ხელისუფლებას ინფორმაციას მიაწვდის.

გუბერნატორის "ყოვლისშემძლეობა" გამომდინარეობს არა საკანონმდებლო ბაზიდან, არამედ პიროვნული თვისებებიდან. ჩვენ კი სისტემას პიროვნებებზე კი არა, სტრუქტურებზე ვაწყობთ. თუ ყველა სტრუქტურა ისევ პიროვნებებიდან გამომდინარე შევქმენით, ეს დამღუპველი იქნება. შევარდნაძის ხელისუფლება ამაზე იყო დამყარებული და სადამდე მივედით, ყველა ვხედავთ.

**- შეიძლება, რეგიონები ახალ წელს უშუქოდ შეხვდნენ. როგორ აპირებთ ამ სირთულის მოგვარებას?**

- მთლიანად რეგიონში, ქარელის რაიონის გარდა, გადასახადების ამოღება საკმაოდ კარგია და შუქიც არის. ქარელში ამოღების მაჩვენებელი დაბალია, კორუფციისა - მაღალი. ამოღებული თანხები იკარგება. იგივე პრობლემებია გორში, ოღონდ გაზთან მიმართებაში.

საუბარი იყო რეგიონებში გრაფიკების შემოღებაზე. მესმის, რომ ჩვენ ახლა მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ქარელში ცუდი მაჩვენებლის გამო, მაღალი მაჩვენებლის მქონე კასპის მოსახლეობა არ უნდა დაიჩაგროს. ან კახეთში ცუდი მაჩვენებლის გამო, გადამხდელი შიდა ქართლის მოსახლეობა უშუქოდ არ უნდა დარჩეს. ცენტრალურმა ხელისფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს. არც მწვადი დაწვა და არც შამფური - არ გამოვა.

**- თქვენი თბილისში ყოფნის დროს, რეგიონის უწესო ხალხში, ალბათ, ზეიმია?**

- არჩევნებამდე ერთი წლით ადრე იქით გადავსახლდი და ისეთი გუნდი შევქმენი, რომ ჩემს არყოფნას ავსებს.

**- ესე იგი, სანდო კადრები მაინც არსებობს?**

- დიახ, და ეს სანდო კადრები ენთუზიაზმზე მუშაობენ. მებაჟეები და პოლიცია კი ფულს აკეთებენ.

**- რამდენად ხშირად აწუხებთ ცენტრალურ ხელისუფლებას რეგიონის პრობლემებით?**

- რაც წარმადგინა, ზურაბ ჟვანიას მას შემდეგ არ შევხვედრივარ - დღეს ვესაუბრე ტელეფონით. სააკაშვილს ადრე დღეში სამჯერ ვხვდებოდი, ახლა საერთოდ ვერ ვხედავ.

**- სულ დაგვავიწყდა ჩვენი მშვიდობისმყოფელები. როგორ ეგუებიან რეგიონის ადმინისტრაციის ახალ მოძრაობებს?**

- ბუნებრივია, კონტრაბანდა ზოგიერთი მათგანისთვისაც გარკვეული შემოსავლების წყაროს წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, ისინიც შეშფოთდნენ. ახლა მშვიდობისმყოფელები დაკვირვების პროცესში არიან. ალბათ, მათაც ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი დროებითია. მე კი ვპირდები, რომ სანამ იქ ვარ, ბრძოლას ერთჯერადი ხასიათი არ ექნება.

რამდენიმე პოლიციელმა და კონტრაბანდისტმა ჩემს მძღოლს სოლიდური თანხა შესთავაზეს - გაგვაგებინე, რეიდებზე სად და როდის მიდისო.

შეიძლება, ვიღაც ფიქრობს, რომ მშიერი ვარ და მსუყე ლუკმას ველოდები. პოლიციელებშიც მუსირებს აზრი, რომ თამასა აიწევს... - რამდენი ხანიც უნდა ვიყო, კონტრაბანდული ტვირთების შემოსვლას არც ერთ წუთს არ შევეგუები.

ძირითადი მფარველობის სფერო შსს იყო. კანცელარიაში ამ ყველაფერს პრეზიდენტის რეგიონული მართვის სამსახური და მისი ხელმძღვანელი, ყოფილი გუბერნატორი - ირაკლი ბოჭორიძე მფარველობდა.

არ შევეგუები, რომ ქალაქში ნარკოტიკებით ერთი მოვაჭრე მაინც დასეირნობდეს და პოლიციის უფროსი ისევ თავის კაბინეტში იჯდეს.

თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ახლაა, ან ნოღაიდელმა მოავლინოს გუბერნატორად ვინმე, ან ბარამიძემ.



ირაკლი ოქრუაშვილი

23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ



■ ■ ■

ᲖᲐᲐᲚ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ოირიათას სამი წლის ოცდასამი ნოემბერი ჩემთვის თენდებოდა, მაშინ,
როცა შინიდან გაქცეულს და საგარეუბნო მატარებლის ტამბურში ნაპოვნს, უმოწყალოდ მირტყამდნენ მილიციელები,
როცა ღირსების დასაცავად დანის მოქნევას მირჩევდნენ ქუჩის ბიჭები,
როცა პირველ მოთხრობას ვწერდი ქართლის ერთ პატარა სოფელში,
როცა უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებდი იმიტომ, რომ საბჭოთა არმიაში არ წავეყვანეთ,
როცა პირველად ვკითხულობდი "სამ მუშკეტერს", "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს" და "მშვიდობით იარაღოს",
როცა თელავში ჩასული გაოგნებული შევცქეროდი თოვლიან კავკასიონს,
როცა ლუკმა-პურის საშოვნელად ცემენტით სავსე ვაგონებს ვცლიდი,
როცა ათას ცხრაას ოთხმოცი წლის ოცდაერთ დეკემბერს ჩემი შვილი იბადებოდა,
როცა უკურნებელი სენით დაავადებულ მეგობარს ვიკრავდი გულში,
როცა მძიმე დეპრესიას არყით ვებრძოდი,
როცა ღამით ნანახ სიზმრებს დილაობით წყალს ვატანდი,
როცა წვრილ ღვედზე ჩამოკიდებულ ვერცხლის ჯვარს მკიდებდნენ მკერდზე,
როცა ხმამაღლა წარმოვთქვამდი ფრაზას: "ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში."

# ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲔ-7 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔ

გუშინ დავით აღმაშენებლის 154-ში განთავსებული ტელერადიო ინსტიტუტის პედაგოგებსა და მოსწავლეებს განსაკუთრებული დღე ჰქონდათ. დღისით მათ ცნობილ ქართველ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას უმასპინძლეს, შემდეგ კი ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მარჯვე სტუდენტის, ნინო კუსრაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა აღნიშნეს.

მეოთხე კურსის სტუდენტმა გუშინდელ გამოფენაზე აქსესუარებისა და ფოტოკოლაჟების კოლექციები წარმოადგინა. ფოტოკოლაჟები მისი უკანასკნელი პერიოდის გატაცებაა, გობელენს კი დაახლოებით თერთმეტი წელიწადია ქსოვს. ამ ხნის განმავლობაში კი საკმაოდ დიდი კოლექცია დაუგროვდა. ამ კოლექციის ნაწილი პერიოდულად იფინებოდა თბილისში გამართულ ერთობლივ გამოფენებზე (ეროვნულ გალერეაში, "მზიურში", ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ა.შ), ნაწილი კი უცხოეთში მიჰქონდათ საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებზე. "აქსესუარების დამზადება – იქნებოდა ქამარი, საყურე თუ ჰალსტუხი, თავიდან ჩემთვის დავიწყე. ახლაც ძირითადად საკუთარი ნამუშევრები მიკეთია", - ამბობს 20 წლის ნინო კუსრაშვილი.

ბოლო დროს ნინო ფოტოკოლაჟებითაც დაინტერესდა. "ამ ნამუშევრებიდან ზოგიერთი ჟურნალისტურია, ზოგიერთი კი, უბრალოდ, მოვლენების მიმართ ხელოვანის დამოკიდებულებას გამოხატავს", - ნინო გამომცემლობა "დიოგენეს" პრესმდივანიცაა. ერთ-ერთ ფოტოზე კი ამ ზაფხულს ფოთში გამართული ლიტერატურული კონკურსის "პენ-მარათონის" ფინალიც აქვს გადაღებული. ახლო მომავალში ნინო კუსრაშვილი ერთობლივ გამოფენებში მონაწილეობასა და თემატურ პერსონალურ გამოფენაზე მუშაობას გეგმავს. **24 საათი**

# ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔ

## ᲙᲔᲘᲢ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲘ 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ



კეიტ რიჩარდსი, "როლინგსტოუნზის" "სული", რომელიც გუშინ 60 წლის გახდა, თავისი ასაკით ფრიად კმაყოფილია. "მართლა? ის კი მახსოვდა, რომ რაღაც მრგვალი თარიღი უნდა ყოფილიყო," უთხრა მან ჟურნალისტს, რომელმაც დაბადების დღესთან დაკავშირებით ინტერვიუ ჩამოართვა.

ბებერ როკერს სრული უფლება აქვს, კმაყოფილი იყოს: ნარკომანიის, თავაშვებული სექსისა და როკ-ენ-როლის ქარცეცხლმა სახეზე კი კვალი დაამჩნია, მაგრამ პიროვნებას ბევრი ვერაფერი დააკლო. "მას არასოდეს არ წარმოედგინა, რომ მესამოცე დაბადების დღეს მოესწრებოდა," ასეთი კომენტარი გააკეთა იუბილესთან დაკავშირებით ინგლისურმა ყოველდღიურმა გაზეთმა "ინდეპენდენტმა".

რიჩარდსს მიკ ჯაგერის "მუსიკალურ ტყუპისცალად" მიიჩნევდნენ. კეიტმა და მიკმა ერთმანეთი ექვსი წლის ასაკში გაიცნეს, ერთ სკოლაში დადიოდნენ. როკ-ენ-როლის სიყვარულით მათ 1962 წელს "როლინგსტოუნზი" შექმნეს და მულტიმილიონერებიც გახდნენ. "რიჩარდსი ჯგუფის სული და გულია, ჯაგერი – სტრატეგი და ფინანსური გონი," წერდა ერთი კრიტიკოსი. ჯაგერისგან განსხვავებით, რომელიც ცეცხლოვანი სიყმაწვილის მიუხედავად, ყოველთვის საზოგადოებრივი აღიარებისკენ ილტვოდა, "ბენტლიზე" გადამჯდარი მიწათმფლობელი რიჩარდსი "ინსტინქტურად მეამბოხედ" დარჩა.

ამანაც განაპირობა მისი ბობოქარი რეაქცია იმაზე, რაც ცოტა ხნის წინათ ბუკინგემის სასახლეში მოხდა. რიჩარდსს სიგიჟედ და სასაცილოდ მიაჩნია, როცა ძველი როკ-მუსიკოსი რაინდი ხდება და ჯილდოს იღებს. სერ მიკმა ძველ მეგობარს შურიანობაში დასდო ბრალი. მართალია, ძველ მეგობრობაზე ამ კინკლაობამ არანაირი გავლენა არ იქონია.

"კეიტის საიდუმლო ისაა, რომ საკუთარ თავს არასოდეს ღალატობს. გიტარაზე ის ყოველთვის დაუკრავს, სადმე მაინც," ასე დაახასიათა კოლეგა ჩარლი ვოტსმა.

# ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲐᲠᲔᲗ

## ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

*გუშინ კულტურის სამინისტროში ხუთშაბათის ტრადიციული ბრიფინგი არატრადიციულად მღელვარე გამოდგა. მიზეზი – კვირას სასტუმრო "კოპალაში" ზურაბ ჟვანიას მიერ კულტურის მოღვაწეებთან გამართული შეხვედრა იყო. კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება გამოხატა შეხვედრაზე მათი იგნორირების გამო და ოფიციალურად მოითხოვა დიალოგში ჩართვა.*

"კოპალაში" გამართულ შეხვედრას, რატომღაც, საკმაოდ ხმაურიანი რეზონანსი მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ სპონტანური შეხვედრა, თითქმის, უშედეგოდ (თუ არ ჩავთვლით ზურაბ ჟვანიას თხოვნას მონაწილეებისადმი, შემდეგი შეხვედრისთვის მოამზადონ კონკრეტული წინადადებები) დასრულდა, კულტურის მოღვაწეთა ნაწილის და სახელმწიფო მინისტრის დიალოგის დასაწყისი არაერთგვაროვნად და სკანდალურადაც კი აღიქვეს.

შეხვედრას მეორე დღესვე გურამ შარაძე გამოეხმაურა პრესკონფერენციით, სადაც პარლამენტარმა ისაუბრა თემაზე - "კულტურის მოღვაწეების სკანდალური შეხვედრა ზურაბ ჟვანიასთან". გუშინ კი "კოპალაში" დაწყებული დიალოგი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა იგნორირების პრეტენზიით (როგორც გუშინ სამინისტროს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა), ბრიფინგის ტრადიციულმა წამყვანმა გია ქავთარაძემ (ზემოთ აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელი) გააპროტესტა. **"როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გამოვხატავ იმ ემოციებს, რაც ამ დღეების განმავლობაში სამინისტროში მხვდება. ეს ძალიან გულსატკენია ჩემთვის"**, - ასე დაიწყო გია ქავთარაძემ გუშინდელი შეხვედრა ჟურნალისტებთან. ვიდრე პროტესტის მიზეზს მასმედიის წარმომადგენლებს გააცნობდნენ, საკუთარი დამოკიდებულება გია ქავთარაძემ და კულტურის მინისტრის მოადგილემ ზურაბ ოიკაშვილმა ზურაბ ჟვანიას კვირასვე შეატყობინეს. სამინისტროს წარმომადგენლებმა სახელმწიფო მინისტრს შეხვედრა სთხოვეს, მაგრამ: "დღემდე ველოდებოდით, გვეგონა სამინისტროს ხელმძღვანელობას შეხვდებოდა, იმიტომ, რომ ასე ვიყავით შეთანხმებულები. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე არ მოხდა. მათგან სრული იგნორირებაა". სამინისტროს თანამშრომლებმა კი საკუთარ შეურაცხყოფად მიიჩნიეს, როდესაც კულტურის მოღვაწეებისგან განსხვავებით, მათ არავინ არაფერს დაეკითხა კულტურის სფეროში დაგროვილი უამრავი პრობლემის გადასაწყვეტად ერთობლივი მუშაობის დაწყებისას.

კვირას შეხვედრაზე კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა არმიწვევის მიზეზი, მართლაც, შეიძლება რამდენიმეგვარად აიხსნას: ან შეხვედრა იმდენად სპონტანური იყო, რომ ორგანიზატორებს გამორჩათ ისინი; ან საწყის ეტაპზე არ ჩათვალეს საჭიროდ მათი მონაწილეობა; ან კიდევ სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელობა, მართლაც, შეგნებულად არ ჩააყენეს საქმის კურსში. თუმცა, "დაუპატიჟებელმა სტუმრებმა" მაინც მოახერხეს შეხვედრის დასასრულისთვის მიესწროთ და გარკვეული შთაბეჭდილება შექმნოდათ "კოპალაში" მიმდინარე, თითქმის, სამსაათიან დიალოგზე. "თავდაპირველად, სიმართლე გითხრათ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ყოველი იყო აბსურდის თეატრი. შემდეგ უკვე გავიგონე განცხადებები, რომელიც შემაშფოთებელია და, ერთი მხრივ, დამანგრეველიც ჩვენი კულტურის მომავლისათვის," – ამ შემთხვევაში გია ქავთარაძე გულისხმობდა "კოპალაში" დათო დოიაშვილის გამოთქმულ რეპლიკას: "ასეთ მწირ დაფინანსებას ხომ არ სჯობს, სახელმწიფომ რამდენიმე წლით უარი თქვას საერთოდ კულტურის დაფინანსებაზე?", - რასაც დარბაზში მყოფთაგან, რასაკვირველია, არავინ დაეთანხმა (თუმცა, ჩემი აზრით, დოიაშვილის პათოსი არასწორად იქნა აღქმული).

გია ქავთარაძის აზრით, ზურაბ ჟვანიასთან გამართულ შეხვედრას ბევრი ისეთი ადამიანი ესწრებოდა, რომელიც საერთოდ არ იცნობს უკანასკნელ წლებში კულტურის სამინისტროს საქმიანობას და არც მის გაკეთებულ საქმეებს. აქვე დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რამდენიმე ასეთი საქმის მაგალითიც მოიყვანა. მას, ასევე, აქვს კულტურის მოღვაწეთა მიერ წამოჭრილ საკითხებზე საკუთარი არგუმენტაცია, მზადაა, დაინტერესებულ ადამიანებთან დიალოგი გამართოს და მათ თავისი მოსაზრებები გააცნოს. "ძალიან ვთხოვთ ყველას, ფაქტებით გვესაუბროს და არგუმენტირებული იყოს ის, რასაც გვეტყვიან. ბოლო სამი წლის განმავლობაში რომ გაკეთდა ჩვენთან, ძალიან ვთხოვ სხვა სამინისტროებსა და ორგანიზაციებს, იმდენივე გაეკეთებინოთ და შემდეგ აემაღლებინოთ ხმა," – თქვა გია ქავთარაძემ. მისი აზრით, სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე მყოფი საზოგადოების დიდი ნაწილი, უბრალოდ, ეგზალტირებული იყო, "რაღაც ტალღას აყოლილი, რადგანაც, თითქმის, ყველა მათგანს კულტურის სამინისტროდან, პროგრამული დაფინანსებისა თუ სხვა გზებით, საკუთარი საქმიანობისთვის გარკვეული თანხა აქვს მიღებული".

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრომ ახლა, მართლაც, სულ სხვაგვარად უნდა იმუშაოს. მით უმეტეს, როდესაც თავად სამინისტროს თანამშრომლები აღიარებენ, რომ უამრავი პრობლემაა. და ალბათ, არც, სახელმწიფო (ამ შემთხვევაში ხელისუფალთა) და ცალკეულ შემოქმედთა, თუ სახელოვნებო წრეების წარმომადგენელთა შეხვედრები უნდა იწვევდეს გაღიზიანებას; მით უმეტეს, რომ დიალოგი სულ ახალი დაწყებულია.

# ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ

## ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ˝ᲐᲠᲔᲢᲔᲡ˝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

"ეს არის ძალიან სასაცილო წიგნი, გარკვეული აზრით - სკანდალურიც კი, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან თინეიჯერები და ბერიასდროინდელი ჩამშვებები, ქუჩის ბიჭები და მღვდლები, უფლისწულები და თანამედროვე წმინდანები", - ეს საინტერესო ანოტაცია ლაშა ბულაძის მოთხრობების კრებულს ერთვის. გამომცემლობა "არეტემ" და ლაშა ბულაძემ თავიანთი მესამე წიგნი გუშინ მაღაზია "პარნასში" წარმოადგინეს.

პირველად იყო "ყუთი", შემდეგ - "საუკუნის მკვლელობა", ორწლიანი პაუზის შემდეგ კი მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, ახალგაზრდა მწერლის "მესამე სართულსაც" გაეცნოს. კრებულში შესული მოთხრობებიდან აქტიურ მკითხველს, შესაძლოა, რამდენიმე უკვე წაკითხულიც ჰქონდეს. ლაშა ბულაძის მოთხრობები ამ დროის განმავლობაში ქართულ ლიტრატურულ პერიოდიკაში: ჟურნალებში "არილი", "დრო მშვიდობისა" და გაზეთ "24 საათის" ლიტარატურულ დამატებაში დაიბეჭდა. კრებულში გახმაურებული "პირველი რუსიც" შევიდა, რომელიც "დრო მშვიდობისამ" დაბეჭდა და, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.



ავტორი და მისი მესამე წიგნი




"ვფიქრობ, რომ ეს ტექსტი მკითხველამდე უნდა მივიდეს, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში მსაყვედურობდნენ, არადა, სხვისი ნაამბობის შინაარსით მსჯელობდნენ. უმჯობესია, რომ ვისაც ეს ტექსტი აინტერესებს, წაიკითხოს და თავად განსაჯოს. კრებულში "პირველი რუსი" მხოლოდ ამ მიზნით მოხვდა მცირედი რედაქციით, რაც მხოლოდ ობიექტური და არა სუბიექტური მიზეზების გამო გავაკეთე. არ მგონია, რომ ამას კვლავ რაიმე რეაქცია მოჰყვეს, რადგანაც ამ ტალღამ უკვე გადაიარა", - ამბობს ლაშა ბულაძე.

კრებულში, ძირითადად, ახალგაზრდა მწერლის ახალი მოთხრობები დაიბეჭდა. წიგნში სულ 10 მოთხრობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ავტორმა განმარტა, ბოლო ნაწარმოები კორექტურის შემდეგ, თითქოს, საერთო კონტექსტიდან ამოვარდა და გადაწყვიტეს, რომ არ დაებეჭდათ. საბოლოოდ 9 რჩეული მოთხრობა დარჩა.

"მესამე სართულისთვის" თავდაპირველად "თინიკოს", "გიორგის", ან "შოთას" დარქმევა მინდოდა, რადგან წიგნი – როგორც ერთმა ცუდმა მწერალმა თქვა, ავტორის შვილია. წიგნისთვის სათაურის მოფიქრება ისეთივე რთული საქმეა, როგორც, ალბათ, შვილისთვის სახელის დარქმევა. თუმცა, შვილის შემთხვევაში საქმე უფრო მარტივადაა - ბოლოს და ბოლოს, თუ ძალიან გაგიჭირდება, მამა-პაპათა სახელებს მოიშველიებ, მაგრამ წიგნს რაღას მოუხერხებ – წინა წიგნის სახელს ხომ არ დაარქმევ?! ამიტომაც, იმ ცუდი მწერლისა არ იყოს, მეც ვიფიქრე, წიგნს – ვითარცა შვილს – დედაჩემის ან მამაჩემის სახელს დავარქმევ-მეთქი. მაგრამ, აქ გაჩნდა სავსებით ლოგიკური შეკითხვა: რა სქესისაა წიგნი? მისი სათაური მდედრობითი სქესისა უნდა იყოს, თუ მამრობითის? ლოგიკურ შეკითხვას არანაკლებ ლოგიკური პასუხი მოჰყვა: წიგნს სქესი არა აქვს - წიგნი წიგნია. ჰოდა, გადავწყვიტე, მისთვის "მესამე სართული" მეწოდებინა, თუმცა, სინამდვილეში, მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ. "მესამე სართული" ჩემი მესამე წიგნია", - თქვა ავტორმა.

ვისაც გუშინ "პარნასში" ლაშას მესამე წიგნის პრეზენტაცია გამორჩა, შეუძლია დღეს "ლიტერატურულ კაფეში" შეხვდეს მას. ამ ავტორის მოყვარულები კი, ალბათ, ყველაზე დიდი სიამოვნებით კრებულში შესულ ახალ მოთხრობებს გაეცნობიან – მათ ბულაძისეული მოულოდნელობები, ირონია და ორიგინალური იუმორი ელით.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲣᲡᲛᲔᲜᲡ

## ᲖᲐᲖᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ ˝ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ˝

ᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ-ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ძალიან ბანალური დასაწყისი გამოდის, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა: გუშინ "წიგნის სახლში" ტევა არ იყო, სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმის შემდეგ, რაც ოპერატორს ფეხებში გავებლანდე, პატივსაცემმა ლიტერატორმა მუჯლუგუნი წამკრა და ავტორის დანახვის ყოველგვარი იმედი გადამეწურა, როგორც იქნა, სტრატეგიულად გამართლებულ ადგილს მივაგენი, საიდანაც ყველაფერი მესმოდა. რაღაც-რაღაცებს თვალიც მოვკარი, მაგალითად, იმას, რომ მაგიდასთან გურამ დოჩანაშვილი, ზაზა ბურჭულაძე და მარსიანი ისხდნენ; ბატონი გურამი ზაზას მხარზე ეხვეოდა, და ვგონებ, ეს ბევრად უფრო დიდი ქათინაური იყო მისთვის, ვიდრე ყველა გამომსვლელის, მართლაც, აღტაცებული და კეთილმოსურნე სიტყვა.

გამომცემლობა "ლოგოს პრესის" სადიდებლად უნდა ითქვას, რომ ზაზა ბურჭულაძის რომანის "მინერალური ჯაზის" ხელახალი გამოცემა შესანიშნავადაა შესრულებული. პრეზენტაციას ნოდარ ლადარია უძღვებოდა.

ტექსტს თავად ავტორი კითხულობდა – ანტირომანი თავიდან დაიწყო, გრაფ ორლოვის ნაღვლიანი ამბით. ცოტა ხნის შემდეგ ზაზამ გადაწყვიტა, რომ საზოგადოება დაიღალა და კითხვა შეწყვიტა. სხვათა შორის, არავინ დაღლილა, სიამოვნებით უსმენდნენ. მაშინ ზაზამ ბრძანა, - მე დავიღალეო. შესაძლებელია, ასეც იყო. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე წაკითხული გრეგორ ზამზას (იგივე ზაზა ბურჭულაძის) ლიტერატურის თავდადებული მკითხველი არასოდეს ვყოფილვარ, ამბავმა აშკარად გამიტაცა. საერთოდ, ძალიან მომწონს, როცა ავტორი თავად კითხულობს – იმან ხომ უკეთ იცის, რისი თქმა უნდა და როგორ.




ზაზა ბურჭულაძე ˝მინერალური ჯაზის˝ პრეზენტაციაზე

"მინერალური ჯაზის" შესახებ ისაუბრეს გურამ დოჩანაშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ზაზა შათირიშვილმა, მერაბ ღაღანიძემ – ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზაზამ მრავალი სასიამოვნო სიტყვაც მოისმინა და იმაშიც დარწმუნდა, რომ ამ ქალაქში უამრავი მკითხველი და თაყვანისმცემელი ჰყავს.

ერთი ისაა, რომ მე ვერ გავიგე, რატომაა "მინერალური ჯაზი" ანტირომანი, და რას ნიშნავს ის, რომ მკითხველი პერსონაჟს მოიხმარს ან - პირიქით. მაგრამ, ავტორი დამპირდა, რომ ავტოგრაფიან წიგნს მაჩუქებს და, როცა მომცემს, აუცილებლად დავეკითხები.

# კემპ-დევიდი ნევადას უდაბნოში

**იმის შესახებ, თუ როგორ "გაფრინდნენ" ბუში და პუტინი სამხედრო ბაზაზე "ადგილი 51" და რა "ნახეს" იქ**

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ჩემი ამერიკელი კოლეგის ერნესტო კარლეტის ძალიან მშურს, არა თეთრი, არა შავი, არამედ მწვანე შურით. აბა, რა იქნება! იმ დროს, როცა მე და ამერიკულ-რუსული პრეს-პულის სხვა მონაწილეები ბუში-პუტინის სამიტის დროს ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ კი კემპ-დევიდში უსაქმოდ ვყიალობდით, გაქნილმა ერნესტომ ორი პრეზიდენტის შეხვედრის ჭეშმარიტ მიზანს მიაგნო. კემპ-დევიდი მხოლოდ ფასადი იყო, თვალის ასახვევად გამიზნული. მათ ბუშის რეზიდენციაში ერთი-ორი საათი გაატარეს – ალიბისთვის; მთელი დანარჩენი დრო კი ნევადას უდაბნოში, პენტაგონის ზესაიდუმლო ბაზაზე, "ადგილი 51"-ში იმყოფებოდნენ და, ერაყსა თუ ჩეჩნეთში არსებულ მდგომარეობას კი არა... ჩვენს დედამიწაზე უცხოპლანეტელების შემოჭრას იხილავდნენ. აი, ასე!



უცხოპლანეტელი, ბუში და პუტინი ნევადაში

"ადგილი 51" გალაქტიკური სამიტისთვის შემთხვევით როდი იყო არჩეული. ის "გაყრის დედაქალაქ" რენოდან 90 მილის მოშორებით მდებარეობს. ოფიციალურად "ადგილი 51" ეგზოტიკური იარაღის - ფუტურისტული უჩინმაჩინი ტანკების, მინიატურული თვითმფრინავების გამოსაცდელ პოლიგონად ითვლება. მაგრამ, სინამდვილეში (და ეს, უკვე დიდი ხანია, ყველამ იცის) ამ ადგილას, რომელსაც სანომრო ნიშანი 51 ერგო, 1947 წელს კოსმოსურმა ხომალდმა კატასტროფა განიცადა, რომელიც ჩვენ, დედამიწელებს, გალაქტიკის შორეთიდან გვესტუმრა – ზუსტი მისამართი დღემდე დაუდგენელია. სამაგიეროდ, კატასტროფის ადგილი აბსოლუტური სიზუსტითაა დადგენილი - როზველი, შტატი ნიუ მექსიკო. კოსმოსური ხომალდის დაცემის ადგილი ამერიკის საჰაერო სამხედრო ძალებმა უმალვე კარანტინში მოაქციეს. თავიდან, როგორც ჩანს, დაბნეულობის გამო, შეერთებული შტატების საჰაერო შეიარაღებული ძალების სარდლობამ განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ "მფრინავი თეფში" უდაბნოში, როზველის სიახლოვეს ჩამოვარდა, რომ ნაპოვნია უცხოპლანეტელი ასტრონავტების სხეულები, და რომ ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა სიკვდილის პირასაა. ეს განცხადება აშშ-ს იმდროინდელი პრეზიდენტის გარი ტრუმენის პრეს-მდივნმა უმალვე უარყო.

მაგრამ, ნათქვამი სიტყვა არცთუ იოლი დასავიწყებელია. აშშ-ში განმტკიცდა აზრი იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონი თავისი ქვეყნის საზოგადოებრიობას და მთელს მსოფლიოს კოსმოსური კატასტროფის შედეგად დაღუპულ უცხოპლანეტელთა ნაშთებს უმალავს, ხოლო მას, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა, სიცოცხლეს უნარჩუნებს, - ურთულესი ცხოველქმედების დანადგარი აქვს მიერთებულიო.

ასეთია ბუში-პუტინის ნევადური სამიტის უაღრესად მოკლე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი წინაისტორია. არავინ - ჩემმა იღბლიანმა კოლეგამ, სენსაციის ავტორმა ერნესტო კარლეტიმაც კი, არ იცის, რატომ გაუნდო ბუშმა პუტინს ეს საიდუმლო. როგორც ჩანს, კვლავ თვალებში ჩახედა და კვლავ მის მიმართ უსაზღვრო ნდობით აღივსო. ამან უბრალო ამერიკელების ენით უთქმელი ეჭვიანობა გამოიწვია - მათ ბუშს პრეზიდენტის თანამდებობა ისე მიანდეს, რომ არც თვალებში ჩაუხედავთ და არც სულში. აი, რა განაცხადა ჯეკ დაიონმა, უცხოპლანეტელების შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორმა: "საუბედუროდ, ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ბუშმა მაღალჩინოსან უცხოელს უცხოპლანეტელი აჩვენა, იმ დროს, როცა ამერიკის მოქალაქეებმა ამის შესახებ არაფერი იციან, იმაზე მეტყველებს, რომ ორივე პრეზიდენტი და მათი სამხედრო ისტებლიშმენტი საერთაშორისო შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობენ".

მაგრამ, როგორ შეძლო ჩემმა იღბლიანმა მეტოქემ ამ სუპერსენსაციური ინფორმაციის მოპოვება? როგორც გაირკვა, ის ერთი შავ-თეთრი ფოტოსურათის მფლობელი გამხდარა, რომელზეც ბუში და პუტინი არიან გამოსახულები. ისინი დიდთავა ჰუმანოიდს შესცქერიან, რომელიც ათასგვარი რეზინისა და მინის მილებითაა გადახვეული და სიცოცხლის უზრუნველმყოფელ აპარატურას მიერთებული. ბუში უბედურს გაკვირვებით შესცქერის; პუტინს უცნაური ღიმილი დასთამაშებს - გაუგებარია, თანაუგრძნობს თუ ამხნევებს. ამ უნიკალური ფოტოსურათის კომენტირებისას იმავე ჯეკ დაიონმა რეპორტიორს უთხრა: "როგორც ჩანს, ჩვენი ადმინისტრაცია მზადაა, უზარმაზარი თანხები გადაიხადოს, რომ ამ გალაქტიკურ არსებას სიცოცხლე შეუნარჩუნოს, იმ დროს, როცა 42 მილიონ ამერიკელს სამედიცინო დაზღვევა არ გააჩნია. უცხოპლანეტელის სიცოცხლის ხელოვნური უზრუნველყოფა უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდება. ასეთი რამ ძალიან ძვირი ღირს. გარდა ამისა, მას აშკარად ჩვენი საუკეთესო ექიმები ემსახურებიან". არ შემიძლია, მისტერ დაიონს არ დავეთანხმო. პრიორიტეტების ამბავია.

მაგრამ, როგორ აღმოჩნდა ბუშის, პუტინის და უცხოპლანეტელის უნიკალური ფოტოსურათი რეპორტიორის ხელში? მისი აღიარებით, ეს ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს ორგანიზებული იყო. ვინაიდან აქ კოსმოსური მასშტაბის მოვლენაზეა ლაპარაკი (სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ რუსეთის საელჩო საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. ეს აშკარად კრემლის უმაღლესი ვარსკვლავების ნამოქმედარია - გალაქტიკურის კი არა, პოლიტიკურისა.

სანდო წყაროების თანახმად, ამის გამგონე პრეზიდენტი ბუში "გამხეცდა". კემპ-დევიდის სამიტის დასრულებიდან რამდენიმე კვირის თავზე გამოქვეყნებული ფოტოსურათის კომენტირება არავინ ისურვა. მართალია, უნიკალური ფოტოგრაფიების აუთენტურობის აღიარება მაინც უწევთ. რეპორტიორი თეთრი სახლის "მაღალჩინოსანი წყაროს" ციტირებას ახდენს: "იმ დროს, როცა მსოფლიოს მიაჩნდა, რომ პუტინი და ბუში ახლო აღმოსავლეთის უთანხმოებებს აგვარებდნენ, ბუშმა უჩუმრად შეაგდო მოლაპარაკებების მაგიდაზე ახალი პრობლემა - ჩვენს პლანეტაზე კოსმოსიდან მობრძანებული სტუმრების შესახებ". საქმე მხოლოდ მოლაპარაკებებით არ შემოიფარგლა. პრეზიდენტებმა საიდუმლოდ დატოვეს კემპ-დევიდი და გასაიდუმლოებულ "ადგილი 51"-ს ეწვივნენ. რადგან ნათქვამია, - ჯობს ერთხელ ნახო, ვიდრე ასჯერ გაიგონოო. თან რუსეთის პრეზიდენტისთვის ეს პროფესიული ჩვევაცაა.

რატომ გამოუცხადა ბუშმა პუტინს ესოდენ დიდი ნდობა? რეპორტიორის ვერსია ასეთია: "აშკარაა, რომ პრეზიდენტი ბუში პუტინისთვის თავის მოქონვას ცდილობდა. ბუშს იმედი ჰქონდა, რომ მის წინაშე ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოს გახსნის შემდეგ მადლიერი პუტინი რუსი ჯარისკაცების ერაყში გაგზავნას და ამგვარად გასაჭირში ჩავარდნილი პენტაგონის დახმარებაზე დასთანხმდებოდა. სწორედ ამიტომ დართეს პუტინის ხალხს ფოტოაპარატების ჩხაკუნის ნება, თითქოს, "ადგილი 51" დისნეილენდი იყოს. ამ ამბის გაჟონვის გამო, ბუშს მოიისფრო-მეწამული ფერი დაედო. მაგრამ, რას იზამ. ერთადერთი, რაც პრეზიდენტს დარჩენია, უდავო ფაქტების უარყოფაა, იმის იმედად, რომ ადამიანები ამ ინციდენტს დაივიწყებენ, ვიდრე ის პოლიტიკურად დაზარალდება".

მაგრამ, ჯერ სად ვართ. არსებობს ვერსია, რომ უცხოპლანეტელი, რომელსაც ბუში ნევადის უდაბნოში ეწვია, ის არაა, რომელიც 1947 წლის კოსმოსური კატასტროფის შედეგად გადარჩა, არამედ უფრო "ნორჩი" სტუმარია, რომელსაც, თეთრ სახლში ვიზიტის გამო, გულის შეტევა დაემართა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკის საზოგადოებრიობა ადმინისტრაციისგან სრულ გულწრფელობას მოითხოვს და თან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონს მოიხმობს (Freedom of Information Act). ორგანიზაციის "მოქალაქენო, შეერთდით!" პრეზიდენტი მარგარეტ ჰარლიქსონი აცხადებს: "სავსებით ნათელია, რომ ამერიკის მოქალაქეებს, რომლებიც "ადგილი 51"-ში გაჩაღებულ საქმიანობის ფულს თავიანთი პატიოსანი შრომის გადასახადებით იხდიან, ისევე, როგორც პუტინს, უფლება აქვთ, იცოდნენ, რა ხდება იქ".

რეპორტიორი არ წერს, რის გამო გაჟონა ვაშინგტონში რუსეთის საელჩოდან ფოტოსურათმა და რატომ მაინცდამაინც მას, ამერიკელ ჟურნალისტს ჩაუვარდა ხელთ? რუსულ მხარეს რატომ არაფერი ერგო? მეორე კითხვაზე პასუხი ადვილი გასაცემია - ძველი ჩვევაა - შენიანები ინფორმაციულ ვაკუუმში უნდა ამყოფო. პირველი კითხვის პასუხი ბევრად უფრო რთულია. აქ ერთმანეთს ორი საპირისპირო ვერსია ეჯახება – ნეგატიური და პოზიტიური. ნეგატიური, ცხადია, ამერიკელებისთვის, ასეთი გახლავთ: მოსკოვმა ბუშის მიერ პუტინისთვის გაკეთებული ექსკლუზიური საჩუქარი გააუფასურა. ამიტომ ეს უკანასკნელი სულაც არაა მოვალე, რუსი ბიჭები ერაყში გაუშვას.

მეორე, დადებითი ვერსია ასეთია: საერთო მტრის სახის აუცილებლობა. ამჟამად აღიარებული საერთო მტერი საერთაშორისო ტერორიზმია. მაგრამ, ის კი არ გვაერთიანებს, პირიქით, ერთმანეთს გვაშორებს. ერთისთვის ტერორისტია, სხვისთვის - თავისუფლებისთვის მებრძოლი. ამიტომ გადაწყვიტა ბუშმა პუტინის ნევადას უდაბნოში წაყვანა და მისთვის ჭეშმარიტი საერთო მტრის სახის ჩვენება, რომელიც, ზაკაევივით, თავისუფლებისთვის მებრძოლში ვერაფრით აგერევა.

შეძლო თუ არა ბუშმა პუტინის დარწმუნება? ნევადის სამიტის ერთმა მონაწილემ საიდუმლოდ გამანდო: "ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს მახვილი თვალი აქვს. მან უცხოპლანეტელს თვალებში ჩახედა, სულში ჩახედა და მიხვდა: ეს მომაკვდავი ბიჭი ნდობას იმსახურებს!"

P.S. ერნესტო კარლეტის მიერ ჟურნალ "უიკლი უორლდ ნიუსში" გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტების ოფიციალური დადასტურება ვერაფრით შევძელი - უარყვეს თეთრმა სახლმაც და კრემლმაც. ვაშინგტონის რუსულმა საელჩომ კი, საერთოდ, არად ჩამაგდო და იმ 90 მილიონ ამერიკელს მიმაკუთვნა, რომელთაც "მფრინავი თეფშების" და ჩვენს პლანეტაზე დაშვებული უცხოპლანეტელთა დესანტებისა ბრმად სწამთ. არ მწყენია. რა გაეწყობა, სოციალიზმის გადმონაშთია.

# პირს ლეინი საქართველოში – "როგორც ზღაპარში"

**კონსერვატორიის საახალწლო კონცერტების სერია დაიწყო**

მადი სერებრიაკოვა

საახალწლოდ ყველას თავისებური ტრადიცია აქვს. კონსერვატორიის დიდი დარბაზი საყოველთაო დღესასწაულს, უკვე მეშვიდე წელია, საახალწლო კონცერტების სერიით ხვდება. ეს ღონისძიება, ფაქტობრივად, საერთაშორისო ფესტივალს წარმოადგენს და მასში მრავალი ქართველი თუ მოწვეული ვარსკვლავი იღებს მონაწილეობას. გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში საახალწლო ფესტივალის გახსნის პატივი ძალზედ მრავალმხრივ ინგლისელ პიანისტს პირს ლეინს ხვდა წილად.

**"თბილისში ორი წლის წინათ ვიყავი,** – იხსენებს ლეინი – **მართალი გითხრათ, ძალიან მომენატრა აქაურობა. თავი ზღაპარში მგონია ხოლმე, იმდენი სითბო და ყურადღება მახვევია გარს. მაინტერესებდა, რა შეიცვალა ჩემი ბოლო ვიზიტის შემდეგ. გმადლობთ ასეთი თბილი მიღებისათვის."** ლეინი თბილისში ორი წლის წინათ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი იყო. ლონდონის მუსიკის სამეფო აკადემიის საპატიო წევრი და პროფესორი, კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკის ღრმა მცოდნე ლეინი არაჩვეულებრივი საკონცერტო შემსრულებელიც აღმოჩნდა.

**"ბატონი ლეინი შარშანწინ გავიცანი,** – აღნიშნავს პირს ლეინის ქართველი კოლეგა ედიშერ რუსიშვილი, – **როდესაც კონკურსის ჟიურის წევრები ვიყავით. უდიდეს პატივს ვცემდი, როგორც შესანიშნავ პიროვნებას. თუმცა, მისი შესრულება დღეს პირველად მოვისმინე. ძალზედ**


პირს ლეინმა საშობაო კონცერტების სერია გახსნა

**ინტელექტუალური პიანისტია, აღფრთოვანებული ვარ მისი დამოკიდებულებით ნაწარმოების, ავტორის, თავად ინსტრუმენტის მიმართ."**

პირს ლეინი მსოფლიოში ცნობილია, როგორც თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორი. მის რეპერტუარში ყველა ეპოქის კომპოზიტორთა 60-მდე კონცერტი შედის. მას პარტნიორობას უწევენ ისეთი ცნობილი ორკესტრები, როგორიცაა - ლონდონის ფილარმონიული, სამეფო ფილარმონიული, ბირმინგემის, იაპონიის სახელმწიფო ორკესტრები. პირს ლეინი საკომპოზიტორო მოღვაწეობასაც ეწევა. მას ეკუთვნის 23-ნაწილიანი საფორტეპიანო ციკლი The Piano. ნაწარმოების გამოსვლის შემდეგ კომპანია ბი-ბი-სი-მ პიანისტს მეორე ციკლიც შეუკვეთა.

ცნობილია, ასევე, პირს ლეინის ინტერესი შედარებით უცნობი კომპოზიტორებისა და ისეთი ნაწარმოების მიმართ, რომლებიც იშვიათად სრულდება კონცერტებზე. მისი მრავალი "აღმოჩენა" ჩაწერილიც არის და გამოშვებული EMI-ისა და BMG-ის სერიებით. მათ შორის, პოპულარობით სარგებლობს დელიუსის, ვოან უილიამსის, პულენკის ნაწარმოებების კრებულები. გუშინდელ კონცერტზე პროგრამა საკმაოდ ტრადიციული იყო, სამაგიეროდ, აუდიტორია გააკვირვა მისმა უზადო, დახვეწილმა საშემსრულებლო მანერამ და ნაწარმოებებისადმი ჭეშმარიტად ბრიტანულმა ინტელექტუალურმა დამოკიდებულებამ.

პიანისტის მიერ შემოთავაზებული პროგრამა, ძირითადად, მინიატურებისგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში მან რახმანინოვისა და სკრიაბინის პრელუდიები შეასრულა (სხვათა შორის, სკრიაბინის პრელუდიების სრული ციკლის ჩანაწერი პირს ლეინმა ცოტა ხნის წინ გამოუშვა), მეორე ნაწილი კი ბრამსის, შოპენისა და ლისტის ვალსებს დაუთმო. საბოლოოდ მას იმპროვიზებული მესამე განყოფილების შესრულებაც მოუწია – პიანისტს დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან და "ბისზე" რამოდენიმე ნაწარმოებიც დააკვრევინეს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლონდონელი პიანისტის მიერ შესრულებულმა სკრიაბინის პრელუდიებმა. ლეინის კოლეგებმა სკრიაბინის ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორი, რუსი პიანისტი საფონიცკიც გაიხსენეს. **"ის ძალზედ ემოციური, ფეთქებადი შემსრულებელი იყო,** – აღნიშნავს ედიშერ რუსიშვილი, **- ლეინმა სულ სხვანაირი სკრიაბინი შემოგვთავაზა - გაწონასწორებული, ინტელექტუალური."**

20 დეკემბერს საახალწლო კონცერტების ციკლი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართული ფოლკლორული მუსიკით გაგრძელდება. კონცერტს ანსამბლები - "მზეთამზე", "ბასიანი", "ბიჭები", "ანჩისხატის ტაძრის გუნდი" და "მე რუსთველი" გამართავენ.

*მოკლედ*

## "ბითლზი" 1976-ში



ამერიკული აუქციონის ვებსაიტი momentsintime.com იტყობინება, რომ შეუძლია დაასაბუთოს 1976 წელს "ბითლზის" აღდგენა. აუქციონის სახლის მესვეურებმა გასაყიდად გამოიტანეს სტუდიური ფირი და ეტიკეტი, რომლის თანახმადაც ლეგენდარული ოთხეულის წევრებმა 1976 წლის 2 ნოემბერს, პროდიუსერ ჯორჯ მარტინთან ერთად ლოს ანჯელესის სტუდიაში Davlen Studios საიდუმლოდ ჩაწერეს ხუთი კომპოზიცია. ინფორმაციის თანახმად, "ბითლზის" ახალი ალბომისთვის გათვალისწინებული იყო სიმღერები: Happy Feeling, Back Home, Rockin' Once Again, People Of The Third World და Little Girl.

ფირის გამყიდველია სტუდიის ხმის რეჟისორი, რომელიც ამბობს, რომ ჩაწერა მუსიკოსებს შორის დაწყებული დავის გამო ჩაიშალა. ხოლო, ფირის ერთადერთი სრული ასლი ლონდონის სტუდია "ები როუდის" სარდაფში ინახება. პოლ მაკარტნისა და ჯორჯ მარტინის წარმომადგენელთა თქმით, რომელთა ინტერვიუებიც "ბიბისი"-ზე გადაიცა, მათ არაფერი იციან ამ ჩანაწერის შესახებ. ამერიკელი აუქციონისტები კი ცდილობენ საკუთარი მოსაზრებები ამერიკული სტუდიის ყოფილი მეპატრონისა და მაშინდელი ხმის რეჟისორების ჩვენებების დახმარებით ამტკიცონ.

## კარგი მამების კარგი შვილები

32 წლის სტელა მაკარტნის, ბრიტანელ მოდის დიზაინერსა და სერ პოლ მაკარტნის ასულს, აშკარად ცუდი პერიოდი აქვს. ჯერ გაირკვა, რომ მისმა მოდის სახლმა ორი წლის განმავლობაში საკმაოდ შთამბეჭდავი ზარალი ნახა - ორი მილიონი ევრო.

ამას მეორე უსიამოვნება მოჰყვა. ელიზაბეტ ჯაგერი, 19 წლის მოდელი, სერ მიკ ჯაგერის ასული, ქვეყნის გაზეთებში თავხედურად აცხადებს: "სტელას ესკიზები არაფრად ვარგა". მისი თქმით, "შარვლის დათბილვა სტილს არ განაპირობებს". გარდა ამისა, მშვენიერ მოდელს თურმე ნერვები ეშლება, რომ სტელა ისე მიმართავს, თითქოს მისი და იყოს. "არადა, თითქმის არ ვიცნობ," ბრაზობს ლიზი.

## ეჭვიანი ქალები



ბრიტანეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ქალები საშინლად ეჭვიანები არიან. გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" ხუთი ათასი ბრიტანელის გამოკითხვის შემდეგ დარწმუნებით აცხადებს, რომ ქალები ყოველთვის ცდილობენ, თავად დარწმუნდნენ ქმრის ერთგულებაში.

გამოკითხულთა ნახევარმა აღიარა, რომ თანამეცხედრის ჯიბეებშიც იქექება და მის ტელეფონზე ტექსტურ შეტყობინებებსაც კითხულობს. 20 პროცენტი მეუღლის ელექტრონული ფოსტის გახსნასაც არ უკადრისობს, ხოლო ათი პროცენტის საქმე იმდენად ცუდად წასულა, რომ საყვარელ კაცს კვალში ჩასდგომიან, სხვა ქალს ხომ არ ხვდებაო...

## სიბერის შიში?

გერმანელების უმრავლესობას სიბერის არ ეშინია. ჟურნალ "შტერნის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების 70 პროცენტს ის სულ არ ადარდებს. მეტსაც მოგახსენებთ: 90 პროცენტი კმაყოფილი იქნება, თუ სიბერემდე მიაღწევს, და ნაოჭები და ქმედუნარიანობის დაქვეითება მათში არანაირ განცდებს არ იწვევს.

ყოველი მეორე ქალი და ყოველი მესამე მამაკაცი "ანტი-ასაკობრივ" ცხოვრებას ეწევა: გარკვეული სისტემით იკვებება, ვარჯიშობს და არც კოსმეტიკურ საშუალებებს ივიწყებს.

გამოკითხვაში 14 წელს გადაბიჯებულმა 2000-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

## პრობლემა



მას შემდეგ, რაც ერთ რეპ-ჟურნალში ცნობა გამოქვეყნდა, რომ ემინემის ძველი ჩანაწერების კომპაქტდისკის გამოშვებას გეგმავს, სასამართლომ მას ეს სასტიკად აუკრძალა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ ჩანაწერში რეპერის სიმღერა შავკანიანი ქალების წინააღმდეგაა მიმართული.

ფეხბურთი

# "ჩელსის" პირველი დანაკარგი

კახა ფაჩუაშვილი

რომან აბრამოვიჩის "ჩელსიმ" წლეულს პირველი დანაკარგი განიცადა. კლუბი გამოეთიშა არა უძველეს, მაგრამ ინგლისში მაინც დიდად პატივცემულ ლიგის თასის გათამაშებას. "ჩელსი" ნახევარფინალში ვერ გავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რომან აბრამოვიჩის გუნდი წლის ბოლოს ოთხ ტიტულს ველარ შესწვდება.

ლონდონის "არსენალი" ერთადერთი გუნდია, რომელიც ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში პრემიერლიგის ზედა ეშელონებს წარმოადგენს. "არსენალს" კონკურენტების თვალში შეუძლია იამაყოს და, ალბათ, იამაყებდა კიდეც, მაგრამ "მეთოფეები" გავიდნენ იმ თასის გათამაშების ნახევარფინალში, სადაც დანარჩენი სამი გუნდი რანგით აშკარად ჩამოუვარდება არსენ ვენგერის შეგირდებს. ასე რომ, ლონდონელებს ბევრი არაფერი დარჩათ საამაყო.

"მეთოფეებმა" დაამარცხეს "ვესტ ბრომვიჩი" და ლიგის თასის საუკეთესო კვარტეტში აღმოჩნდნენ - "ბოლტონთან", "მიდლსბროსთან" და "ასტონ ვილასთან" ერთად. "ბოლტონი" ის გუნდია, რომელიც ახლა ნომინალურად ინგლისური პრემიერლიგის მეათე ადგილზეა. "მიდლსბრო" კი, რომელმაც პენალტების სერიაში გათამაშებას "ტოტენჰემ ჰოთსპური" გამოთიშა, წლეულს საუკეთესო ფორმაში არ არის და, შესაბამისად, ვერც საუკეთესო სეზონს ატარებს. გუნდი სატურნირო ცხრილის კუდს ვერ გასცდა. ამ გაურკვეველი შესაძლებლობების მქონე სამეულიდან "ასტონ ვილა", ალბათ, ყველაზე უფრო გაურკვეველი შესაძლებლობების გუნდია.

ორი ნორმალური მეკარე, დაბერებული დაცვა, აშკარად სუსტი ნახევარდაცვა და, ასე თუ ისე, შემტევი წინა ხაზი - ქმნის გუნდს, რომელიც პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. საინტერესოა, რომ სწორედ ამ გუნდს ჰქონდა პატივი, ლიგის თასის გათამაშებიდან თვით ლონდონის "ჩელსი" დაეთხოვა.

ეჭვი მეპარება, რომ ლონდონელებმა ეს მატჩი პირწმინდად წააგეს. თუ მატჩის სტატისტიკას მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ "ჩელსი" ბურთს უფრო დიდხანს ფლობდა და, ლოგიკურად, ალბათ, მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტიც შექმნა. სიმართლე რომ ითქვას, ძნელი დასაჯერებელია, აბრამოვიჩის დღევანდელი ფორმაციის გუნდმა ინგლისში რომელიმე მეტოქესთან თამაში ისე წააგოს, როგორც, ვთქვათ, ამას წინათ, საბერძნეთის "ოლიმპიაკოსმა" – ტურინში.

და, მაინც, მოდი, გადავხედოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა მატჩი "ასტონ ვილასთან": ბირმინგემელებმა პირველი ტაიმის მე-16 წუთზე ანგარიში გახსნეს. მეორე ნახევრის მე-20 წუთზე "ჩელსიმ" წონასწორობა აღადგინა. თუმცა, მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე "ასტონ ვილამ" გამარჯვების გოლი გაიტანა. ამგვარი სინოპსისი ოდნავ განსხვავდება სუსტის ხელით ძლიერი გუნდის კლასიკური დამარცხებისგან, რომელსაც შაბათს "სტემფორდ ბრიჯზე" ჰქონდა ადგილი.


აბრამოვიჩმა პირველი მარცხი იწვნია

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელი აცხადებდა, რომ მატჩის ბოლოს მას გაუმართლა. ამგვარი მოსაზრება, სემ ოლარდაისის კვალად, "ასტონ ვილას" მწვრთნელმა დევიდ ო`ლირიმაც გამოთქვა. "ჩვენი ბიჭები დღეს საკუთარ თავში დარწმუნებულნი იყვნენ, - განაცხადა ირლანდიელმა მწვრთნელმა, - თამაშის ბოლოს ძალიან გაგვიმართლა, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ პირველ ტაიმში ერთ გოლზე მეტი უნდა გაგვეტანა. ნახევარფინალურ მატჩზე დიდ იმედს ვამყარებთ. პირადად მე კარდიფში თამაშის პატივი არასდროს მქონია. თუმცა, ჩვენი ბედი პრემიერლიგაში გუნდის უპირველეს პრობლემად რჩება".

ისიც საინტერესოა, რომ, მაშინ, როდესაც "ჩელსი" პირველ ტურნირს ეთიშება, რომან აბრამოვიჩს ინგლისში წლის პერსონად აღიარებენ. "Evening Standard"-ის გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ჩუკოტკის გუბერნატორის მიერ ლონდონში დატრიალებული საქმეები ინგლისელებმა მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებად მიიჩნიეს.

ამის შემხედვარე აბრამოვიჩიც ყოველმხრივ ცდილობს, თავის იმიჯს შეესაბამებოდეს. ბოლო დროს ისევ გაჩნდა ინფორმაცია, რომ აბრამოვიჩმა ოფიციალური მოთხოვნა გაგზავნა ლონდონის "არსენალის" ბანაკში ფრანგი ტიერი ანრის შეძენის თაობაზე. კულუარებში ამბობენ, რომ აბრამოვიჩმა "მეთოფეებს" 50 მილიონი გირვანქა შესთავაზა. "მანჩესტერიდან" ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროის წამოსაყვანად კი რუსი მილიარდერი მზად არის, 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღოს.

არ არის გამორიცხული, ეს ცნობები ჭორი იყოს. მით უფრო, რომ "არსენალის" ბანაკმა უარყო ინფორმაცია, თითქოს აბრამოვიჩმა მას ოფიციალური წინადადებით მიმართა. ასეა თუ ისე, რუსმა ბიზნესმენმა პირადად იხილა "ჰაიბერიზე" გამართული მატჩი "არსენალსა" და მოსკოვის "ლოკომოტივს" შორის, სადაც ტიერი ანრიმ შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ მას უნდა ესმოდეს, რომ ისე, როგორც ტიერი ანრი და რუუდ ვან ნისტელროოი თამაშობენ, შეუძლიათ ითამაშონ მხოლოდ კონკრეტულმა ფეხბურთელებმა კონკრეტულ კლუბებში.

ჩოგბურთი

# არაოლიმპიელი ჰიუიტი და ოლიმპიელი კუერტენი

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მუდმივ ჩემპიონად იწოდება. ანუ, ოლიმპიური ოქროს მფლობელს ექს-ჩემპიონად არასდროს მოიხსენიებენ. ასეთი პატივის მიუხედავად, არიან სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობისგან თავს იკავებენ და კომერციულ ტურნირებზე გამოსვლას ამჯობინებენ. თუმცა, ამას ყველაზე ვერ იტყვი. უარზე არიან, ძირითადად, ჩოგბურთელები, რომლებიც საკუთარ გადაწყვეტილებას გადატვირთული კალენდრით ხსნიან.

ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას აშშ-ის ღია პირველობა და დევისის თასის გათამაშება ამჯობინა. თავისი არჩევანი კი იმით ახსნა, რომ ოლიმპიური თამაშების დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ ნიუ იორკში "დიდი სლემის" ასპარეზობათა სერია - აშშ-ის ღია ჩემპიონატი იწყება.

როდესაც ოლიმპიურ თამაშებს სიდნეი მასპინძლობდა, "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი დასრულებული იყო. ათენის თამაშები კი აშშ-ის ღია პირველობამდე რამდენიმე დღით ადრე მთავრდება. ამიტომ, როგორც ჰიუიტი აცხადებს, ბევრი ჩოგბურთელი, ისევე როგორც ატლანტას ოლიმპიურ თამაშებზე, საკუთარ არჩევანს ოლიმპიადის სასარგებლოდ არ გააკეთებს.

ამასთან დაკავშირებით ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ გამოხატა საკუთარი პოზიცია - ის ჰიუიტის გადაწყვეტილებას ითვალისწინებს. მეტიც, კომიტეტი მიიჩნევს, რომ არავის არა აქვს უფლება, ესა თუ ის სპორტსმენი აიძულოს, ოლიმპიურ კორტზე გამოვიდეს - საკუთარ არჩევანში ყველა მათგანი თავისუფალი უნდა იყოს.


ჰიუიტმა ოლიმპიადას ზურგი აქცია

"აღფრთოვანებული ვართ ჰიუიტის თავგამოდებით, როდესაც ის, მწვანე-ოქროსფერ უნიფორმაში გამოწყობილი, ქვეყნის ღირსებას იცავს, განსაკუთრებით დევისის თასზე. პატივს ვცემთ მის გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ გადაწყვეტილებას შეიცვლის. თუმცა, აოკ-ს არ შეუძლია, სპორტსმენი აიძულოს, ოლიმპიურ თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. საბოლოო გადაწყვეტილებას მათი არჩევანი განაპირობებს", – აცხადებენ ავსტრალიელი ოლიმპიური მოხელეები.

ფაქტია, ჰიუიტს აშშ-ის ღია პირველობასა და დევისის თასზე გამოსვლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რადგან, როგორც თავად ამბობს, ერთი თვის წინათ ესპანელებთან მოგებული დევისის თასის ხელმეორედ დაუფლება თუ შენარჩუნება სურს.

"საგაისოდ სწორედ ასეთი გეგმები მაქვს, - მელბურნში გამომავალ გაზეთ "ჰერალდ სან"-თან საუბარში აცხადებს 22 წლის ჰიუიტი. – ძალიან მინდა, სულ ცოტა, კიდევ ერთხელ დავეუფლო სლემტიტულს და ავსტრალიას დევისის თასის დაცვაში დავეხმარო".

ავსტრალიელისგან განსხვავებით, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი პატივს სცემს ოლიმპიურ იდეალებს, რადგან ახალ სეზონში უმთავრეს ამოცანად სწორედ ოლიპიური მედლის დაუფლებას მიიჩნევს. მსოფლიოს ასევე ყოფილი პირველი ჩოგნის აზრით, ოლიმპიურ სარბიელზე მიღწეული წარმატება მის სახელს სამუდამოდ უკვდავჰყოფს:

"ათენის "ოქრო", ყველაფერთან ერთად, ხანგრძლივი სპორტული კარიერის ლამაზი დასასრულიცაა".




ინფოთეკა

**ფეხბურთი.** თურქული "გალათასარაი" გუნდის ჰოლანდიელი მცველის, ფრანკ დე ბურის დათხოვნას აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დე ბურმა იმედები ვერ გაამართლა. "გალათასარაის" პოზიცია გასაგებია: ჰოლანდიელმა მცველმა, მის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების გამო, ლომის წილი დაიდო "გალათასარაის" უკანასკნელ წარუმატებლობებში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩსა და თურქეთის პირველობის შეხვედრებში. დე ბურის გარდა, "გალათასარაი" არიფ ერდემთან, ჰაკან უნსალთან, ელვირ ბალიჩთან და ალი ლუკუნკუსთან განშორებას გეგმავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უახლოეს მომავალში ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩინელი ფორვარდით გაძლიერდება. ჩინური კლუბის, "დალიანის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ გუნდის 18 წლის თავდამსხმელი დონ ფანჩჟაო მალე "მანჩესტერში" გადავა. ინგლისური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას გადაიხდის. სერ ალექს ფერგიუსონმა ფანჩჟაო მიმდინარე წლის აგვისტოში შეამჩნია, როდესაც ახალგაზრდა ჩინელ ფეხბურთელთა ჯგუფი ინგლისურ კლუბებში სტაჟირებაზე იყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩის სასურველ ფეხბურთელთა სია ახალ-ახალი გვარებით ივსება. სულ ცოტა ხნის წინათ ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლონდონის "ჩელსის" მეპატრონეს ტიერი ანრის, ფრანჩესკო ტოტისა და რუუდ ვან ნისტელროის შეძენა სურდა. ამ ფეხბურთელებს ახლა კიდევ ერთი ცნობილი გვარი შეემატა – დავიდ ტრეზეგე. ინგლისური პრესის ინფორმაციით, ტრეზეგეს სანაცვლოდ აბრამოვიჩი 25 მილიონ გირვანქას სთავაზობს "იუვენტუსს".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" თავდამსხმელი ადრიან მუტუ რუმინეთში წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მომავალ კვირას რუმინეთის დედაქალაქში ამ ჯილდოს გადაცემის ცერემონიალი შედგება. რუმინული პრესის ცნობით, მუტუსთან ერთად ბუქარესტში ჩავლენ "ჩელსის" ფეხბურთელები ჰასელბაინკი, მელხიოტი, ჯერემი, მაკელელე, დაფი და კრესპო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუმინეთის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის გადაცემის ცერემონიალი თავად მუტუს კლუბ "ლაიფში" გაიმართება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბუნდესლიგის მიმართ გულშემატკივართა ინტერესი გაიზარდა. აღმოჩნდა, რომ გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის მატჩებს 10 პროცენტით უფრო მეტი მაყურებელი დაესწრო, ვიდრე გასულ წელს. პირველი წრის 17 მატჩი ცოცხლად იხილა 5,6 მილიონმა გულშემატკივარმა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მატჩს, საშუალოდ, 36,607 მაყურებელი ესწრებოდა. ყველაზე მეტი გულშემატკივარი, ისევე როგორც წინა წლებში, დორტმუნდის "ბორუსიას" მატჩებს ადევნებდა თვალს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხორვატიის ნაკრებისა და "მონაკოს" თავდამსხმელმა დადო პრსომ ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის სურვილი გამოთქვა. ჩემპიონთა ლიგაში და "ევრო 2004"-ის საკვალიფიკაციო მატჩებში პრსოს წარმატებულმა თამაშმა ამ ფეხბურთელის მიმართ ინგლისური კლუბების ინტერესი, მართლაც, გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახლანდელი კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა, 29 წლის ფორვარდს მაინც ინგლისში სურს გადასვლა. პრსოს გადაბირება ადრე "ფულჰემს" უნდოდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "ნიუკასლის" პერუელი ნახევარმცველი ნორბერტო სოლანო თავის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტით, რომ უკანასკნელ ხანს ის იშვიათად ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში. სოლანო ამბობს, რომ "ნიუკასლში" სურს კარიერის გაგრძელება, თუმცა, არც კლუბის მიტოვების შესაძლებლობას გამორიცხავს. "უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მუდმივად ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში და ძალიან მიკვირს, რომ ახლა სათადარიგოთა სკამზე მიწევს ჯდომა. მინდა, "ნიუკასლში" გავაგრძელო თამაში, თუმცა, ამისთვის თავის გამოჩენის მეტი შანსი მჭირდება", - განაცხადა სოლანომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კოლუმბიელი მეკარე რენე იგიტა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონშია და ადგილობრივი "ნასიონალის" შემადგენლობაში თამაში სურს. "ნასიონალი" სულ ახლახან გადმოვიდა პირველ დივიზიონში და ბევრი ახალი ფეხბურთელის დამატებას აპირებს. კლუბის პრეზიდენტი გუიდო კიოტი არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ იგიტა, შესაძლოა, მართლაც, ჩაირიცხოს "ნასიონალის" შემადგენლობაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მილანის "ინტერის" არგენტინელმა ნახევარმცველმა, მატიას ალმეიდამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ის კარიერის დასრულებას აპირებს. "ინტერთან" კონტრაქტი ალმეიდას მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, ამ ხელშეკრულების გაგრძელებას კი "ინტერი" არ ჩქარობს. ამის მიუხედავად, ალმეიდას "ინტერში" დარჩენა უნდა.

## ინფოთეკა

**ფორმულა 1.** "ფერარის" ბრაზილიელმა მრბოლმა რუბენს ბარიკელომ იტალიელებთან კარიერის გაგრძელების დიდი სურვილი გამოხატა. ბრაზილიელსა და "ფერარის" შორის არსებულ კონტრაქტს კი 2004 წლის ბოლოს ეწურება ვადა. აღსანიშნავია, რომ წლეულს "სკუდერიამ" კონტრაქტები გაუხანგრძლივა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფიგურას (მათ შორის, მიხაელ შუმახერსაც), რომლის მიხედვითაც გერმანელი პილოტი 2006 წლის ბოლომდე დაიცავს იტალიური გუნდის ღირსებას. ერთადერთი, ვისთანაც კონტრაქტი არ გაუხანგრძლივებიათ, სწორედ რუბენს ბარიკელოა.

ამასობაში "ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო და გუნდის სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი იტალიურ პრესასთან საუბარში აცხადებენ, რომ პილოტების შეცვლას არ აპირებენ.

■ ■ ■

**ჭიდაობა.** მსოფლიოსა და ევროპის ყოფილი ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, გერმანელი ალექსანდრ ლაიპოლდი უახლოეს უქმეებზე ხალიჩაზე დაბრუნდება. ხუთშაბათს გერმანიის ჭიდაობის ფედერაციის მოხელეებმა განაცხადეს, რომ 34 წლის სპორტსმენს ექიმებმა ქვეყნის გუნდური ჩემპიონატის მეოთხედფინალში ასპარეზობის ნება დართეს. საქმე ისაა, რომ ოთხი თვის წინათ ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე, უზბეკეთში, ლაიპოლდს გულის შეტევა დაემართა და ამ ხნის განმავლობაში ექიმთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** გერმანიის სასამართლომ უიმბლდონის სამგზის გამარჯვებულ ბორის ბეკერს სპორტული ინტერნეტ-საიტის Sportgate-ის გაკოტრების გამო 5 700 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. მაგრამ ირკვევა, რომ დაკისრებული თანხა ბევრად ნაკლებია იმაზე, რის მიღებასაც ითხოვდა Sportgate. თუმცა, გერმანელი ჩოგბურთელი საკუთარ ბრალეულობას უარყოფს და ხუთშაბათს სასამართლოსაც არ ესწრებოდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** გამოკითხვის თანახმად, რომელიც ბელგიელ ჟურნალისტებს შორის ჩაატარეს, ქვეყნის წლის სპორტსმენ ქალად დასახელდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჟიუსტინ ენინ-არდენი.

წლეულს ბელგიელმა საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატები მოიგო. რაც შეეხება კონკურენტს, იმავე გამოკითხვაში მას მეტოქეობას უწევდა შარშანდელი სეზონის ლაურეატი კიმ კლიისტერსი, რომელიც ერთი საფეხურით ჩამორჩა ენინ-არდენს – 1102 ხმა 937-ის წინააღმდეგ. იმავე სიაში 498 ხმით მესამე ადგილზეა კალათბურთელი ან ვაუტერსი.

დასახელდა წლის ახალგაზრდა სპორტსმენიც. ეს გახლავთ იუნიორთა შორის უიმბლდონისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატების გამარჯვებული კირსტენ ფლიპკენსი. იმავე გამოკითხვაში ვაჟთა შორის პირველ სამეულში არიან მოტომრბოლი შტეფან ევერტსი, ველომრბოლები პეტერ ვან პეტეგემი და ფილიპ მეიერხეგე.

■ ■ ■

**ტხეკვონდო.** სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ავსტრალიელი ლორენ ბერნსი ძარცვის მსხვერპლი შეიქნა. მაშინ, როდესაც ჩემპიონი ქალაქგარეთ იყო, მძარცველები მის ბინაში შეიჭრნენ და 2000 წელს სიდნეიში მოპოვებული ოქროს მედალი მოიპარეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯერ პოლიციას მიმართა, შემდეგ კი დამნაშავეებს სახალხოდ მოუწოდა, მედალი დაებრუნებინათ. ჩემპიონს იმედი აქვს, რომ როდესაც ბოროტმოქმედები გააცნობიერებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის ამ მედალს, აუცილებლად კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნებენ.

ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელის ბობ ელფინსტონის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მედალს ვერ მოძებნიან, მაშინ ბერნსისთვის ზუსტ ასლს დაამზადებინებენ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (WNBA) ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თამაშში ახალი წესი დანერგოს. კერძოდ, სამქულიან ხაზს 23,5 სანტიმეტრით უკან გადაწევენ, ანუ ზღვარს გაზრდიან. აქამდე სამქულიანის რკალი 602 სანტიმეტრი იყო, რაც ვაჟთა და ქალთა სტუდენტურ ჩემპიონატებში 1986 წლიდან დაინერგა. ამიერიდან ახალი სამქულიანი ზღვარი საერთაშორისო ტურნირების სტანდარტული იქნება.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** გერმანიის მძლეოსანთა ფედერაციამ დოპინგის მოხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ებერჰარდ კლიშს – უროს ტყორცნაში 2002 წლის ევროპის ჩემპიონს. დისკვალიფიცირებული სპორტსმენი 63 წლისაა! ჩემპიონობა კი კლიშმა 60 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა. სოლიდურ ასაკს (არა მარტო სპორტული საზომებით) კლიშისთვის ხელი არ შეუშლია, აკრძალული პრეპარატი - მეტადიენონი გამოეყენებინა.

"შესაძლოა, კრიტიკულადაც განაგაწყოთ ასაკოვანი სპორტსმენის დასჯამ, მაგრამ კანონი კანონია", - აღნიშნავს გერმანიის მძლეოსანთა ფედერაციის წარმომადგენელი ტანია ჰაუგი.

## მინიფეხბურთი

# სოხუმის "იუვენტუსი" ჩემპიონია!

### თბილისში მიხეილ ანთელავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა

ქართული ფეხბურთის უკანასკნელი წლების წარუმატებლობები, სხვა პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვამაც განაპირობა. შორს წაგვიყვანს იმ ფეხბურთელთა გვარების ჩამოთვლა, რომლებიც წარმოშობით აფხაზეთიდან იყვნენ და რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს თბილისის "დინამოს" წარმატებებში. ეროვნული ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი სწორედ აფხაზეთიდან იყო - მურთაზ შელია, თემურ ქეცბაია...

აფხაზეთის კონფლიქტის გამო ქართულმა ფეხბურთმა ტალანტების ნამდვილი სამჭედლო დაკარგა. იმედია, დროებით. მანამ, სანამ აფხაზეთის პრობლემა მოუგვარებელია და ქართველები იქ ვერ ჩავდივართ, ეს ნიჭიერი ახალგაზრდები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში არიან მიმოფანტულნი და ვის ახსოვს ამ დროს ფეხბურთი...

მაგრამ გაირკვა, რომ, საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები მაინც არსებობენ. დიღომში მდებარე თბილისის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის მოედანზე სამ დღეს მიმდინარეობდა ტურნირი მინიფეხბურთში. მთავარი ის არის, რომ ტურნირში ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.

ფილიალის საფაკულტეტო ტურნირზე, რომელიც მიხეილ ანთელავას ხსოვნას ეძღვნებოდა, 16 გუნდი ასპარეზობდა. 16-25 წლის ასაკის სტუდენტები ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის ხსოვნას მიაგებდნენ პატივს.

ტურნირის ჩატარების იდეა უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორიისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტური კავშირის თავმჯდომარეს ლევან უბილავას, თბილისის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის გენერალურ დირექტორს, გიორგი უდესიანს და ავიაკომპანია "აირ ბისეკის" დამფუძნებელს, ბიზნესმენ დავით კოდუას ეკუთვნით.

შეჯიბრება 16 დეკემბერს დაიწყო, გუშინ კი ნახევარფინალები და ფინალი გაიმართა. გაიმარჯვა იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტთა გუნდმა "იუვენტუსმა". მან ფინალურ მატჩში – 2:1 სძლია ისტორიკოსების გუნდს.

გამარჯვების სიხარული, მართლაც, დიდი იყო. "იუვენტუსის" ფეხბურთელები ისე ზეიმობდნენ გუშინდელ ტურნირში გამარჯვებას, როგორც ამას ტურინის "იუვენტუსი" გააკეთებდა ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში. სტუდენტებს სურთ, რომ მსგავსი ტურნირი კიდევ მოეწყოს და ამისთვის მადლობის სიტყვებს არ იშურებდნენ დავით კოდუას მიმართ. სწორედ კოდუამ გადასცა საპატიო თასი "იუვენტუსის" კაპიტანს, ბაჩანა მალაშხიას, შემდეგ კი ჩვენთვისაც მოიცალა: "აფხაზეთის კონფლიქტმა უდიდესი დაღი დაასვა ქართულ ფეხბურთს, ფეხბურთის დროებით გაქრობამ კი – ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს. დღევანდელი დღე მათთვის ზეიმი იყო. ბედნიერი ვარ, რომ მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე ამ ზეიმში. გვინდა, ეს ტურნირი კვლავაც ჩატარდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გეგმების განხორციელებას შევძლებთ და ამ ახალგაზრდებს კიდევ უფრო დიდ სიხარულს მივანიჭებთ", - განაცხადა "24 საათთან" საუბარში დავით კოდუამ.



დავით კოდუა "იუვენტუსის" კაპიტანს ბაჩანა მალაშხიას თასს გადასცემს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მიხეილ ანთელავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის გამარჯვებული "იუვენტუსი"

## სპორტი და ფული

# ყველაზე მდიდრები და წარმატებულნი

ნინო პირველი

იწურება 2003 წელი. სპორტის ზოგიერთ სახეობაში უკვე დასრულდა სეზონი, ზოგან ზამთრის არდადეგები იწყება. მალე ყველა საშობაო მცირევადიან შესვენებას მიიღებს და არანაირი ასპარეზობა აღარ გაიმართება. სპორტის მოყვარულმა მკითხველმა რომ არ მოიწყინოს, გერმანული ჟურნალგაზეთები უკვე მოძველებულ, მაგრამ მაინც საოცრად ეფექტურ ხერხს მიმართავენ: ვარსკვლავების პირადი ცხოვრების პიკანტური დეტალების გამოაშკარავებას ცდილობენ. უკვე ყველამ გაიგო, რომ პარასკევს ჯვარს იწერს "შტუტგარტის" თავკაცი ფელიქს მაგატი, რომ ჰაიდი კლუმი ორსულადაა და ისიც კი მოახერხა, რომ, ყველასთვის შეუმჩნევლად, ყოფილ ქმართან, ამერიკელ რიკ პიპინოსთან განქორწინება გააფორმა. ისიც ვიცით, რომ ლოთარ მათეუსმა პირადი მიზეზების გამო დატოვა ბელგრადის "პარტიზანი" და უნგრეთში წავიდა ეროვნული ნაკრების გასაწვრთნელად. არც ის ფაქტია ვინმესთვის საიდუმლო, რომ "მიუნხენ 186"-ის პრეზიდენტს თავისი უკანონო შვილი უჩივის და სოლიდურ თანხას სთხოვს. მოკლედ, ძველი წლის მიწურულს იმდენი რამ ხდება, რომ გერმანელი ჟურნალისტები ბედს ნამდვილად არ უჩივიან.

ახლახან კი "შპორტ ინფორმაციონმა" კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა: მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია. ფული ბედნიერებას ვერ მოგიტანს, მაგრამ სიმშვიდეს კი ნამდვილად მოგგვრისო, - ამბობს გერმანული ანდაზა. ბედნიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კმაყოფილება კი ნამვილად მოაქვს ბევრ ფულს. კაცმა რომ თქვას, ყოველი მეორე ბიჭუნა და ყველა გოგონა, ალბათ, სწორედ ამიტომ ოცნებობს ფეხბურთელისა და მოდელის კარიერაზე. პირველ რიგში, პოპულარობა, სახელი და დიდება და მერე უკვე ფული, რომელიც თანამედროვე შოუბიზნესსა და სპორტში უდიდეს როლს ასრულებს. ფულისთვის ყველაფერს აკეთებენ: "პლეიბოისთვის" პოზირებიდან დაწყებული და რინგზე ცხვირ-პირის მტვრევით დამთავრებული. როგორ გგონიათ, რა უპასუხა ლენოქს ლუისმა ჟურნალისტებს, როცა მათ ჰკითხეს, ვიტალი კლიჩკოსთან დაპირებული ჩხუბი როდის გაიმართებაო? ბრიტანელმა მოკრივემ მაშინვე ულტიმატუმი წამოაყენა: 20 მილიონზე ნაკლებად თითსაც არ გავანძრევო...

ასეთი ანგარიშიანობის მიუხედავად, ლენოქს ლუისი მაინც ვერ მოხვდა მსოფლიოს უმდიდრეს სპორტსმენთა ათეულში. რაც უნდა გასაკვირი იყოს, პირველ ადგილზე გავიდა არა ფეხბურთელი, ან ფორმულა 1-ის პილოტი, ან, თუნდაც, კალათბურთელი, არამედ სპორტის ყველაზე მშვიდობიანი და უემოციო სახეობის წარმომადგენელი - გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსი. როგორც გაირკვა, მან 2003 წელს 110 მილიონი ევრო დააგროვა. მეორე ადგილზე გასული სპორტსმენი ვუდსს მნიშვნელოვნად ჩამორჩება თავისი შემოსავლით, მიუხედავად იმისა, რომ მისი პროფესია გოლფის თამაშზე ბევრად უფრო სახიფათოა. ფორმულა 1-ის ცოცხალმა ლეგენდამ, მიხაელ შუმახერმა, რომელმაც ტრასაზე გასვლის წინ არასოდეს იცის, უხიფათოდ მივა თუ არა ფინიშამდე, ამ სეზონში მხოლოდ 68,2 მილიონი ევრო გამოიმუშავა. მესამე ადგილზე სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის - ფეხბურთის ვარსკვლავი გავიდა. ალბათ, უკვე ხვდებით. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, დევიდ ბექჰემი – "მსოფლიოში ყველაზე კოხტაპრუწა ფეხბურთელი, "სპაის ბოი", რომელმაც, ყველაფერთან ერთად, ფეხბურთის თამაშიც იცის" (ასე წერდა მასზე ინგლისური "მირორი"). "მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის "რეალში" გადასვლა ბექჰემისთვის, პირველ ყოვლისა, ფინანსური თვალსაზრისით იყო სასარგებლო: ინგლისის ნაკრების კაპიტანს ამ კონტრაქტმა 38,7 მილიონი ევრო მოუტანა. მეოთხე და მეხუთე ადგილზე მოკრივეები აღმოჩნდნენ, მაგრამ არა ლენოქს ლუისი ან მაიკ ტაისონი, ან, თუნდაც, ვიტალი კლიჩკო. მეოთხე პოზიცია დაიკავა ამერიკელმა ოსკარ დელა ჰოიამ (35,2 მილიონი ევრო), მეხუთე კი - როი ჯონსმა (28,6 მილიონი ევრო). შემდეგ მოდის ამერიკელი კალათბურთელი კევინ გარნეტი - 27,7 მილიონი. მეშვიდეა ასევე NBA-ს კალათბურთელი შაკილ ო ნილი. მერვე ადგილზე კი მეტად საინტერესო ვინმე გავიდა - ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი ერთადერთი ქალია ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა სიაში. სერენამ 2003 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი და ინგლისური უიმბლდონი მოიგო. ლონდონში ტრავმა მიიღო და ამის შემდეგ კორტზე აღარ გასულა, მაგრამ 24,8 მილიონი ევრო მაინც მოაგროვა და მდიდართა სიაში მერვე ადგილი დაიკავა. მეცხრე იყო ბეისბოლისტი ალექს როდირგესი (24,2 მილიონი ევრო), მეათე კი - კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი. მან წლეულს 23,6 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ჯორდანს ცოტათი ჩამორჩა ფორმულა 1-ის მეორე შუმახერი, მიხაელის უმცროსი ძმა რალფი, რომელმაც მიმდინარე წელს 23 მილიონ ევროს მოუყარა თავი. გერმანიაში ძმები შუმახერები ყველაზე ძვირად ღირებულ სპორტსმენებად ითვლებიან. შემდეგ მოდის კალათბურთელი დირკ ნოვიცკი - 13,2 მილიონი ევრო. ფეხბურთელებიდან კი "ბაიერნის" ვარსკვლავები ოლივერ კანი და მიხაელ ბალაკი იღებენ ყველაზე მეტს – წლეულს მათ 10,3-10,3 მილიონი ევრო გამოიმუშავეს.



ტაიგერ ვუდსი პლანეტის უმდიდრესი სპორტსმენია

## მოკლედ

# არმსტრონგმა "აიყვანა"



შერილ კროუ არმსტრონგის ახალი გატაცებაა

ცნობილი ამერიკელი ველომრბოლი, "ტურ დე ფრანსის" მრავალგზის გამარჯვებული ლენს არმსტრონგი ქალებთან ურთიერთობაშიც დიდი წარმატებებით გამოირჩევა. სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკისა და ევროპის პრესა აჭრელებული იყო ცნობებით არმსტრონგისა და ჰოლივუდის ვარსკვლავის, სანდრა ბალოკის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. "ასეთ მამაკაცთან ერთად არასოდეს შემეშინდება გვიან ღამით მარტო დარჩენა. მას შეუძლია, ნებისმიერი საშიშროებისგან დაგიცვას. მის გვერდით ყველა ქალი ნამდვილ ქალღმერთად იგრძნობდა თავს", - ამბობდა არმსტრონგის სიყვარულით ფრთაშესხმული ბალოკი. თუმცა, როგორც ჩანს, სერიოზულ ურთიერთობამდე საქმე არ მისულა.

არმსტრონგს სულ ცოტა ხნის წინათ მოკვეთეს ავთვისებიანი სიმსივნე... სასქესო ორგანოდან. მას შემდეგ ის "შეუჩერებელია". არმსტრონგმა მეორე დღესვე იპოვა ბალოკის შემცვლელი. და ეს ქალბატონიც შოუბიზნესის წარმომადგენელია. მოკლედ რომ ვთქვათ, არმსტრონგმა ახლა ცნობილ მომღერალ შერილ ქროუსთან გააჩაღა რომანი. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკში სხვაობა ცხრა წელია, "გრემის" პრემიის ხუთგზის ლაურეატისა და მსოფლიოს საუკეთესო ველომრბოლის ურთიერთობა სულ უფრო მყარდება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შერილ ქროუსა და ლენს არმსტრონგის სიყვარული ბევრად უფრო დიდხანს გასტანს, ვიდრე ეს სანდრა ბალოკის შემთხვევაში იყო. "მოკვდავთა შორის მე უბედნიერესი ადამიანი ვარ. მზად ვარ, ამ ქალის გვერდით მთელი ჩემი ცხოვრება გავატარო", - განუცხადა არმსტრონგმა გერმანულ გაზეთ Bild-ს. თუ არმსტრონგი, მართლაც, ცხოვრების ბოლომდე აპირებს ქროუსთან ერთად ცხოვრებას, მას ამ ქალბატონის ორი შვილის აღზრდაც მოუწევს.

არმსტრონგმა ვარჯიშების გაცდენაც კი დაიწყო. ამბობენ, რომ მას საერთოდ აღარ აინტერესებს ველოსპორტი და მხოლოდ შერილ ქროუზე ზრუნვით არის დაკავებული. არმსტრონგი მის ყოველ კონცერტს ესწრება.

# დაივინგში ახალი რეკორდი დამყარდა

ინგლისელმა ტანია სტრიტერმა წყალში უაკვალანგოდ ყვინთვაში, ეგრეთ წოდებულ დაივინგში, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. სტრიტერმა 35 მეტრის სიღრმეზე შეძლო წყალში ჩაყვინთვა, თანაც, ლასტების გარეშე. მყვინთავს მხოლოდ სპეციალური კოსტიუმი ეცვა, რაიმე სხვა ეკიპირება არ გამოუყენებია. ეკიპირების გარეშე ყვინთვა დაივინგის ახალი სახეობაა, რომელიც 2003 წლის იანვარში ცნეს ოფიციალურ კატეგორიად.

სტრიტერის ჩაყვინთვის ამსახველი ვიდეოფირის განხილვის შემდეგ მსაჯებმა დაადგინეს, რომ ინგლისელი სპორტსმენი 35 მეტრის სიღრმეზე 1 წუთსა და 44 წამს გაჩერდა.

სტრიტერისთვის ეს უკვე მეცხრე მსოფლიო რეკორდია. ის დაივინგის ხუთი სხვადასხვა კატეგორიის რეკორდსმენია. სულ ცოტა ხნის წინათ მან ლასტებით 122 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა, რაც ასევე მსოფლიო რეკორდია მამაკაცებს შორისაც კი.

უკანასკნელი რეკორდი კი, რომელზეც თავიდან გიამბეთ, უაღრესად რთულ პირობებში დამყარდა. ზღვაზე ძლიერი შტორმი იყო. ჩაყვინთვის წინ სტრიტერმა განაცხადა, რომ ძალიან ნერვიულობდა, თუმცა, ამოცანა წარმატებით შეასრულა.

## TV–სპორტი

### პარასკევი. 19 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1980. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SEATTLE SUPERSONICS" - "MELWAUKEE BUCKS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
15:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:05 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე". გადაცემა ფეხბურთის ისტორიაზე
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:40 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:40 "ქსპერტიზა"
23:10 "გაიტანე!" ანდრეი შევჩენკოსთან ერთად
23:30 თავისუფალი დარტყმა
23:45 სახვალიო ტელეპროგრამა
23:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი – "პარმა"
01:45 01:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV – NBA შიგნიდან
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1994. პირველი რაუნდი. "NEW JERSEY NETS" - "NEW YORK KNICKS". მე-3 თამაში

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:00, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "EDMONTON OILERS" - "MINNESOTA WILD"
14:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
14:40 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
15:10 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 "მოტოვებული კვირა"
17:15 "წყლის აკვატორია"
17:45 "NHL – პლუს"
18:00 "ჩქაროსნული სამყარო"
18:30 ტაილანდური კრივი
19:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:15 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
20:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
21:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი
23:25 "NHL – პლუს"
23:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "EDMONTON OILERS" - "MINNESOTA WILD". შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:10 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი

**EUROSPORT**
11:30 ცხენოსნობა
12:30 ფარიკაობა. მსოფლიო თასი საფრანგეთში
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
15:15 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი იტალიაში
16:45 მულტისპორტი
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
18:45 მულტისპორტი
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
22:30 მულტისპორტი
22:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი
23:15 მულტისპორტი
23:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
00:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
01:00 ცხენოსნობა. კონკური დიდი ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
04:15 ახალი ამბები

# ერაყის სპეცსამსახურების არქივების ძებნა გრძელდება

ომის პერიოდში მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურები განსაკუთრებული მონდომებით ეძებდნენ ერაყის მუჰაბარათის (უშიშროების) არქივებს.

ამ არქივებთან დაკავშირებით მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებს შორის ფარული და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა.

რუსეთის სამხედრო და საგარეო დაზვერვის სამსახურები, აშშ-ს ცსს, დიდი ბრიტანეთის მი-6, ისრაელის მოსადი, ირანისა და თურქეთის დაზვერვის დანაყოფები უდიდეს რისკზე მიდიოდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ ერაყის სპეცსამსახურების აგენტურის ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, მოქმედი სპეცკონტიგენტის სია (ფსევდონიმების მითითებით), ქვეყნის გარეთ მოქმედი აგენტურის სია და მათთან კავშირის ხერხები, არქივული ოპერატიული აღრიცხვის საქმეების ოპერატიულ-საცნობარო კართოტეკა, კოდირებული ფარული ლეგენდების გასაღებები, საფარი დოკუმენტების სია, შიფრები, შიფრტექნიკა და ა.შ.

აშშ ომის დაწყებამდე ცდილობდა, ბაღდადიდან "ტექნიკურად" გამოეძევებინა რუსეთის სპეცსამსახურების დასაყრდენი - რუსეთის საელჩო. ჯერ დიპლომატიური არხებით, შემდეგ კი, ბაღდადის დაბომბვისას (2 აპრილს) საავიაციო ბომბებით, რომლებიც საელჩოდან ძალზე ახლოს ფეთქდებოდა.



ამ დროს ბაღდადში არც ერთი ქვეყნის საელჩო აღარ იყო დარჩენილი. რუსეთის საელჩოში განლაგებული სამხედრო და საგარეო დაზვერვის რეზიდენტურები, მოსკოვიდან მიღებული ბრძანების თანახმად, ჯერ კიდევ 20 მარტიდან იყვნენ გადასული გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაზე. ეს კი ნიშნავს, რომ ბაღდადში ამერიკელთა შესვლამდე რუსეთის სპეცსამსახურებს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ, რათა გაენადგურებინათ ძირითადი სადაზვერვო-აგენტურული დოკუმენტაცია, შიფრები და შიფრ-ტექნიკა.

მიუხედავად ამისა, რუსეთის დიპლომატებმა და სპეცსამსახურების ლეგალურმა თანამშრომლებმა ბაღდადი მხოლოდ 6 აპრილს, დილას დატოვეს, როდესაც ბრძოლები უკვე ქალაქის მისადგომებთან მიმდინარეობდა და საფრთხეც უფრო დიდი იყო.

რატომ? რას ან ვის ელოდებოდნენ ისინი?

ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო სადამის საიდუმლო (სპეცსამსახურების) არქივების ფარულად გატანის ან ერაყის უმაღლესი ხელისუფლების რომელიმე წევრის ქვეყნიდან გაპარების მცდელობა.

იმ ვითარებაში მხოლოდ რუსეთის საელჩოს დიპლომატიური ხელშეუხებლობა იყო ამ მიზნების განხორციელების გარანტია.

გამორიცხული არაა, რომ ამ ოპერაციის დაგეგმვას ემსახურებოდა რუსეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი დირექტორის, საქართველოს დიდი "მეგობრის", ევგენი პრიმაკოვის საიდუმლო შეხვედრა სადამთან, რომელიც 18 მარტს შედგა. სავარაუდოა, რომ სადამს და მის უახლოეს გარემოცვას ბოლომდე არ სჯეროდათ ამგვარი სწრაფი კატასტროფისა და საიდუმლო არქივებს, როგორც უკანასკნელ კოზირს, ბოლო მომენტამდე ინახავდნენ. როცა მიხვდნენ, რომ წააგეს და ერაყში არქივების დატოვება სახიფათო იყო, მხოლოდ მაშინ გადასცეს ისინი რუსეთის სპეცსამსახურებს.

ამ ლოგიკურ ჯაჭვში ჯდება რუსეთის საელჩოს ავტოკოლონის დაცხრილვა 6 აპრილს. ეს მოკავშირეების გაკეთებული უნდა იყოს, რადგანაც სროლის მიზანი მხოლოდ კოლონის შეჩერება და არა მგზავრების მწყობრიდან გამოყვანა იყო. ერაყში რუსეთის ელჩის ვლადიმირ ტიტორენკოს განცხადებით, ამ ინციდენტის დროს ისინი იძულებულნი იყვნენ, ნივთების ნაწილი ადგილზე დაეტოვებინათ.

მოახერხეს ამერიკელებმა ერაყის საიდუმლო არქივების ხელში ჩაგდება, თუ რუსეთის სპეცსამსახურებმა იმარჯვეს?

ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა ჯერ ნაადრევია.

ერთი კი ნათელია - დოკუმენტების ხელში ჩამგდები სპეცსამსახური შეძლებს, რეალურად აკონტროლოს სადამის აგენტურა ერაყში და მნიშვნელოვნად განსაზღვროს ამ ქვეყნის ომისშემდგომი მომავალი.

გარდა ამისა, ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული სპეცსამსახური იოლად გადმოიბირებს და თავის სასარგებლოდ ამუშავებს სხვადასხვა ქვეყნებში ღრმა კონსპირაციაში მყოფ სადამის აგენტურას.

# ერაყელი პარტიზანები "კგბ"-ს ინსტრუქციებით მოქმედებენ

## საიდუმლო გეგმა - "დუბლიორი"

სადამ ჰუსეინის დაკავება აშშ-ის მნიშვნელოვანი წარმატებაა, მაგრამ სადამის მომხრეები წინააღმდეგობას კი არ შეწყვეტენ, არამედ პირიქით, უფრო გააქტიურდებიან. ამიტომაც, მისი დაკავებიდან პირველ რამდენიმე კვირას ერაყსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დიდ ქალაქებში ტერაქტების მატებას უნდა ველოდოთ.

ბოლო დროს ერაყში მიმდინარე დივერსიები და ტერორისტული აქტები ადასტურებს სამხედრო ექსპერტების ვარაუდს იმის შესახებ, რომ სადამის მომხრეები თავს აარიდებდნენ ფართომასშტაბიან სამხედრო ბრძოლებს და პარტიზანულ მოქმედებებზე გადავიდოდნენ.

მართლაც, 2003 წლის 10 აპრილს, საღამოს 11 საათზე ერაყელი მებრძოლების მრავალსაათიანი წინააღმდეგობა მოულოდნელად, თითქოს ერთი ბრძანებით შეწყდა.

გაოცებულმა ამერიკელებმა, რომლებიც სისხლისმღვრელ ქუჩის ბრძოლებს მოელოდნენ, წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ბაღდადი. მალე ერაყის სხვა ქალაქებშიც შეწყდა სამხედრო წინააღმდეგობა.

სად გაუჩინარდნენ ერაყის არმიის რჩეული ნაწილები, რომელთა რაოდენობა ბაღდადის ბრძოლის დასაწყისისათვის 50-60 ათას ჯარისკაცს შეადგენდა?

ალბათ, ნაწილმა მოასწრო სამოქალაქო ტანსაცმლის გადაცმა და მშვიდობიან მოქალაქეებში ოსტატურად შერევა.

მაგრამ, სად გაქრა მუჰაბარათის (საიდუმლო სამსახურების) მრავალათასიანი კონტინგენტი, ათწლეულების მანძილზე შიშის ზარს რომ სცემდა ერაყელებს?

ერაყის ნავთობსადენებზე მომხდარი დივერსიები, ერაყის შიიტთა სულიერი ლიდერის მოჰამედ ალ-ჰაქიმის აფეთქება და სტამბოლში მომხდარი ტერაქტები ადსტურებს სპეცსამსახურების ხელწერას.

უკვე ნათელია, რომ ერაყში მიმდინარე პარტიზანულ ბრძოლას არა "ბინ ლადენის ტერორისტები", არამედ სადამის სპეცსამსახურები წარმართავენ.

ერაყის, როგორც კლასიკური აღმოსავლური დიქტატორული ქვეყნის მნიშვნელოვანი სპეციფიკა ისაა, რომ აგენტურული შეღწევა ასეთ ქვეყნებში თითქმის შეუძლებელი იყო. იქ არ არსებობდა რეალური და ძლიერი შიდა ოპოზიცია, რომელთანაც შეიძლება ოპერატიული მუშაობა და კარგი სადაზვერვო პოზიციების მოპოვება-გამაგრება, გართულებული იყო ინფორმაციის სანდო წყაროს გადმობირება.

ერაყში, ფაქტობრივად, სახეზე იყო საბჭოთა კავშირის 1950-1990 წლების ადმინისტრაციული მოდელი ("რკინის ფარდა"), აღმოსავლური სპეციფიკით.

ამიტომ, გასაგებია მსოფლიოს უძლიერესი სპეცსამსახურების (ცსს, მი-6 და მოსადი) გასაჭირი, რომლებმაც მხოლოდ რვა თვის ძებნის შემდეგ შეძლეს სადამის დაკავება.

მიუხედავად სადამის მიერ ერაყელი კომუნისტების მრავალგზის დარბევისა, საბჭოთა კავშირი 70-იანი წლების დასაწყისიდან ერაყის ძირითადი სამხედრო პარტნიორი გახდა. მოსკოვი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ერაყის ეკონომიკურ და სოციალურ პროექტებშიც. ბუნებრივია, მრავალრიცხოვან საბჭოთა სპეციალისტებს შორის "კგბ"-სა და "გრუ"-ს ლეგალური და ფარული თანამშრომლებიც საკმაოდ იყვნენ.

ისინი 1973-1991 წლებში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ერაყის ძველი



სპეცსამსახურების რეორგანიზაციასა და ახლების შექმნაში. ეს მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი წარმატებით გააგრძელეს რუსეთის სპეცსამსახურებმა, რომლებსაც, როგორც ამჟამად ირკვევა, ძალზე მჭიდრო ოპერატიული კავშირები ჰქონდათ ერაყელ "შეგირდებთან".

ერაყის სპეცსამსახურების სტრუქტურის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ - ისინი საბჭოთა თარგზეა მოჭრილი.

პირადი შემადგენლობის დიდმა ნაწილმა ოპერატიულ-აგენტურული მომზადება საბჭოთა ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაიარა, ხოლო ელიტარული ნაწილი სასწავლებლად საბჭოთა კავშირში იგზავნებოდა. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ ომამდე, სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ ერაყის სპეცსამსახურებს.

ომის დამთავრების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ გაურკვეველი იყო ერაყის სპეცსამსახურების ბედი, რომელთა პირადი შემადგენლობა, სულ მცირე, 25 ათას კაცს აღწევდა და ისინი ომის პერიოდში ბაღდადში იყვნენ კონცენტრირებული. რამოდენიმე თვის მანძილზე არსებული მშვიდი ვითარება, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საიდუმლო გეგმის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი იყო. ბოლო დროს ერაყში მომხდარი დივერსიებისა და ტერაქტების უკან პროფესიონალების ხელი იგრძნობა.

თუ გავითვალისწინებთ ერაყის სპეცსამსახურების მიერ გავლილ საბჭოთა "სკოლას", უკვე ნათელია, რომ მათ აამოქმედეს საომარ ვითარებაში სპეცსამსახურის ცენტრალიზებული მართვისთვის გათვალისწინებული საიდუმლო გეგმა კოდური სახელწოდებით "დუბლიორი".

"დუბლიორი" წარმოადგენს აპარატს, ერთგვარ სპეცსამსახურს იატაკქვეშეთში, რომელიც უნდა ამოქმედდეს ლეგალური სპეცსამსახურის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ.

"დუბლიორი" იქმნება მშვიდობიან დროს სპეცსამსახურის საქალაქო ან რაიონული განყოფილების ბაზაზე, სადაც არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და კომუნიკაციები.

"დუბლიორი" უზრუნველყოფილია აგენტურასთან საიმედო ოპერატიული კავშირით, რისთვისაც ამ ფარულ სტრუქტურას გააჩნია აგენტურის ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, მოქმედი სპეცკონტიგენტის სია (ფსევდონიმების მითითებით), ქვეყნის გარეთ მოქმედი აგენტურის სია და მათთან კავშირის ხერხები, არქივული ოპერატიული აღრიცხვის საქმეების ოპერატიულ-საცნობარო კართოტეკა, კოდირებული ფარული ლეგენდების გასაღებები, საფარი დოკუმენტების სია, შიფრები, შიფრტექნიკა, ფულადი სახსრები და ა.შ.

ერაყში რომ მოვლენები ამ სცენარით ვითარდება, ამას ადასტურებს კარგად ორგანიზებული სახალხო გამოსვლები ამერიკელთა წინააღმდეგ, შიიტებსა და სუნიტებს შორის რელიგიური შუღლის კიდევ უფრო გაღვივება, ტერაქტები და დივერსიები.

ერაყში საერთო არასტაბილურობის ორგანიზებასთან ერთად, არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ერაყის სპეცსამსახურების ფარული აგენტურული ქსელი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია განლაგებული და რომელთა ოპერატიულ მართვას სადამის "დუბლიორები" ახორციელებენ.

# იყო თუ არა „კგბ„-ს შეთქმულება ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ?

აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ორშაბათს გრანდიოზულად დაკრძალეს ბაქოში. მისი ხანგრძლივი ცხოვრებიდან, ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, ყველაზე საინტერესო სპეცსამსახურებთან ურთიერთობის ეპიზოდებია. ალიევმა, როგორც იტყვიან, თავისი კარიერა "კგბ"-ში თვითონ შექმნა. ნახიჩევანში უშიშროების ადგილობრივ ორგანოებში ყველა საფეხური გაიარა და ძლიერ ოპერატიულ თანამშრომლად ითვლებოდა.

1964 წელს აზერბაიჯანის "კგბ"-ს თავჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1967 წელს - თავმჯდომარედ დანიშნეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული ალიევის მფარველად საკავშირო "კგბ"-ს თავმჯდომარე იური ანდროპოვი იქცა. ორ წელში ალიევი უკვე აზერბაიჯანის ცკ-ს პირველი მდივანია. სტალინის ეპოქის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სპეცსამსახურების შეფი პარტიის პირველ პირად "აირჩიეს". 1972 წელს თითქმის ანალოგიური დანიშვნა განხორციელდა საქართველოშიც - შს მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი გახდა, რაშიც მას მილიციის საკავშირო მინისტრი, ბრეჟნევის პროტეჟე შჩოლოკოვი დაეხმარა. არავისთვის იყო საიდუმლო ანდროპოვსა და შჩოლოკოვს შორის არსებული დიდი დაპირისპირება. საბჭოთა მილიცია ანდროპოვს კორუფციის სათავედ მიაჩნდა (უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანადაც. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მხოლოდ "კგბ" იყო კორუფციით ყველაზე ნაკლებად დაავადებული სტრუქტურა), მისი ბრძანებით მიმდინარეობდა კომპრომატების შეგროვება მილიციის მაღალჩინოსნებზე და მათი ოჯახის წევრებზე.

ჰეიდარ ალიევი კი განაგრძობდა წინსვლას საბჭოთა ნომენკლატურულ კიბეზე. ის ყოველთვის ერთი საფეხურით უსწრებდა ქართველ კოლეგას (უფრო ადრე გახდა პოლიტბიუროს წევრი, სოციალისტური შრომის გმირობის ერთით მეტი ვარსკვლავი ჰქონდა და ა.შ.). ალიევის ბედის ვარსკვლავი კი მაშინ უფრო აკაშკაშდა, როცა 1982 წლის ბოლოს ანდროპოვი საბჭოთა კავშირის ლიდერი გახდა. სულ მალე ალიევი მოსკოვში საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს. ნათელი იყო - ანდროპოვი ალიევს საბჭოთა იმპერიის მეორე კაცად - სსრკ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ ამზადებდა.

ამის პარალელურად დაიწყო რეპრესიები შჩოლოკოვის და მისი პროტეჟეების მიმართ. 1982 წლის 18 დეკემბერს შჩოლოკოვი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. "კგბ"-დან ოფიცრები გადაიყვანეს მილიციის ორგანოების "გასაძლიერებლად". შინაგან საქმეთა საკავშირო და



რესპუბლიკურ სამინისტროებში მინისტრის მოადგილის რანგში მოქმედ რეზერვის ოფიცრებად (ე.წ. "ოდრ"-ად) "კგბ"-ს კადრი დაინიშნა, ხოლო "კგბ"-ს მე-3 სამმართველოს სამხედრო დანაყოფებთან ერთად მილიციის კონტრდაზვერვითი "მომსახურებაც" დაევალა.

ანდროპოვი საბჭოთა პარტიული ელიტის შეცვლას აპირებდა. როგორც ამბობენ, შავი ღრუბლები ჩამოწვა ედუარდ შევარდნაძის თავზეც, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო ანდროპოვი გენმდივნად არჩევიდან ექვსი თვის შემდეგ კრემლის საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც არ გამოსულა და 1984 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა. მაშინ ბევრი პარტიული ლიდერი გადარჩა და არა მხოლოდ მოხსნას.

საბჭოთა კავშირის ლიდერად გორბაჩოვის არჩევის შემდეგ დაიწყო ღია და ფარული ზეწოლა ჰეიდარ ალიევზე. მოთხოვნა ერთი იყო: ის უნდა გადამდგარიყო პოსტიდან და პენსიაზე გასულიყო. ალიევი ჯიუტობდა. 1987 წელს სრულიად ჯანმრთელ ალიევს, რომელიც სიგარეტს თითქმის არ ეწეოდა და შოტლანდიური ვისკის მხოლოდ რამდენიმე ყლუპს თუ მიირთმევდა, მოულოდნელად უმძიმესი ინფარქტი დაემართა. "კგბ"-ს მე-9 სამმართველოს ექიმები დაჟინებით ურჩევდნენ ალიევს, განცხადება გადადგომის შესახებ სასწრაფოდ, პალატაშივე დაეწერა. გორბაჩოვმა ამდენი აღარ იცადა და მესამე დღესვე, მძიმე ავადმყოფობის მიზეზით გაათავისუფლა 64 წლის ალიევი თანამდებობიდან და პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა.

ამის შემდეგ ორი წლის მანძილზე ალიევი მოსკოვში "კგბ"-ს მეთვალყურეობის ქვეშ, ფაქტობრივად, შინა პატიმრობაში ცხოვრობდა და სამშობლოში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა.

90-იანი წლების შუა ხანებში უკვე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, როცა ამ პერიოდს იხსენებდა, ცნობილი რუსი ჟურნალისტის ანდრეი კარაულოვის სიტყვებით, ინფარქტის მაპროვოცირებელ მიზეზად "კგბ"-ს მიერ მის წინააღმდეგ სპეციალური მოწყობილობების (აეროზოლების) და მედიკამენტების გამოყენებას ასახელებდა. ალიევს ასევე მიაჩნდა, რომ "კგბ"-ს მე-9 სამმართველოს ექიმებთან "მკურნალობის" შემდეგ მისი ჯანმრთელობა უფრო გაუარესდა. უნდა ითქვას, რომ ალიევი სიცოცხლის ბოლომდე საბოლოოდ მაინც ვერ განიკურნა პირველი ინფარქტის შედეგად დატოვებული გართულებებისაგან.

ასე რომ, ვის-ვის და სპეცსამსახურების "სამზარეულოში" ღრმად ჩახედულ უშიშროების გენერალ ალიევს არ შეეშლებოდა "კგბ"-ს ხელწერა.

*სპეცმოზაიკა*

## როგორ ზრუნავდა სტალინი მიხოელსზე

იოსებ სტალინი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება რომ იყო, საყოველთაოდ ცნობილია. პროლეტარიატის რევოლუციისათვის კამოსთან ერთად ახალგაზრდობაში მრავალი "ექსი" (ანუ მარტივად - ყაჩაღობა) ჰქონდა დიდი წარმატებით ჩატარებული. მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ სტალინი არანაკლები წარმატებით ხელმძღვანელობდა ტერორისტული, დივერსიული და უბრალოდ "ხელისშემშლელი" პიროვნებების ლიკვიდაციის ოპერაციების დაგეგმვას და შესრულებას.

ბელადი განსაკუთრებით "ზრუნავდა" ცნობილ საბჭოთა ხელოვანებზე. ამგვარი საბედისწერო "ყურადღების" ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა ცნობილი მსახიობი, თეატრის დირექტორი და ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე სოლომონ მიხოელსი (ნამდვილი გვარი - ვოვსი). ის იყო ყირიმში ებრაელთა რესპუბლიკის (ე. წ. "ყირიმის კალიფორნიის") შექმნის იდეის ავტორი.

ომის შემდეგ, მიხოელსის პიროვნება იმდენად ცნობილი იყო მსოფლიოს მაღალ წრეებში, რომ საბჭოთა ბელადი იძულებული იყო, მისი თავიდან მოცილების რთული გზა აერჩია.

1948 წლის იანვარში მინსკში მყოფ მიხოელსს ბელორუსიის უშიშროების მინისტრის ლავრენტი ცანავას აგარაკზე სასიკვდილო ნემსი გაუკეთეს და შემდეგ მინსკის გარეუბანში უშიშროების სამინისტროს კუთვნილი სატვირთო ავტომობილის "სტუდებეკერის" საბურავების ქვეშ ჩააგდეს.

ეს სცენარი ამ ტრაგედიამდე რამდენიმე ხნით ადრე შემუშავდა, მაგრამ მიხოელსის სიკვდილის "ოფიციალური ვერსიის" დამტკიცება მხოლოდ ბელადის პრეროგატივა იყო.

სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას მოგონებებში ვკითხულობთ: "1948 წლის დასაწყისში მე შემთხვევით გავხდი წინასწარ განზრახული მკვლელობის უნებლიე მოწმე...... მამას ოთახში მაშინ შევედი, როცა ის ტელეფონით ვიღაცასთან საუბრობდა. მას რაღაცას მოახსენებდნენ, ის კი უსმენდა. ბოლოს კი, როგორც რეზიუმე, თქვა: **"Ну, автомобильная катастрофа"**.. მე ძალზე კარგად მახსოვს ეს ინტონაცია. ეს იყო არა შეკითხვა, არამედ პასუხი. ის კი არ ეკითხებოდა, არამედ თვითონ სთავაზობდა საავტომობილო კატასტროფას. საუბარს რომ მორჩა, მომესალმა და მითხრა: **"საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა მიხოელსი".**

ბუნებრივია, მიხოელსის მკვლელობის შესახებ რაიმე დოკუმენტი ან არ არსებობს, ან ჯერ კიდევ რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო არქივებშია. ამიტომ ის ოფიციალური ვერსია, რომ ნასვამი მიხოელსი სატვირთო ავტომობილის უგონოდ მთვრალი მძღოლის მსხვერპლი გახდა, უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია, ძალაშია.

## სტალინის მწარე შოკოლადი

დიდ ბელადს თავსატეხს რა გამოულევდა. ბუნებით ეჭვიანი არავის ენდობოდა, ყველაფერს თვითონ უნდა გასცნობოდა და გაეკონტროლებინა. სპეცსამსახურების სერიოზული ოპერაციების ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ. სტალინს მნიშვნელოვანი შესწორებები და შენიშვნები შეჰქონდა წარმოდგენილ გეგმებში. ხშირად კი თვითონ სთავაზობდა ორიგინალურ იდეებს. ასე იყო უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის ევგენი კონოვალეცის ლიკვიდაციის დროს.

მოახსენეს რა, რომ კონოვალეცს ძალზე უყვარს შოკოლადი, სტალინმა სუდოპლატოვს, საბჭოთა სპეცოპერაციების დიდოსტატს, მაშინვე ურჩია ამ სისუსტის გამოყენება. დანარჩენი უკვე შინსახკომის ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების "ჯადოქრებზე" იყო დამოკიდებული.

მართლაც, სულ მალე შოკოლადის ყუთის ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილება მზად იყო. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ის ავტომატურად მოდიოდა მოქმედებაში.

სუდოპლატოვმა 1938 წლის 23 მაისს როტერდამში რესტორან "ატლანტაში" კონოვალეცს დამშვიდობებისას მაგიდაზე დაუტოვა "სტალინის საჩუქარი" და რამდენიმე წუთში ოპერაცია უკვე დამთავრებული იყო.

კონოვალეცის ლიკვიდაციის შემდეგ სუდოპლატოვი საბჭოთა დაზვერვის ტერაქტების და ლიკვიდაციის განყოფილების უფროსად დანიშნეს.

## ორშაბათი 22.12

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** ბუნდეს ლიგა **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "ჯაშუში" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი "ცეცხლის ძალა". მთ. რ-ში: მეთიუ მაკონახი, კრისტიან ბეილი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.10** მხ. ფლმი "ჰოროსკოპი" **10.25** სერიალი "ფორსაიტების საგა" **11.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** "ოქროს მართვე" **14.40** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **15.15** მხ. ფილმი "ამელი" **17.15** რამპა **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **22.00** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"(კევინ სპეისი) **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "პირომანიაკი-სიყვარულის ისტორია" მთ.რ-ში: უილიამ ბოლდუინი, ჯონ ლეგუნზიამო. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "იპოვეთ ფორესტერი" მთ.რ-ში შონ კონერი, ფ. მიურეი აბრახამი. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი "კრაზანას ბუდე". მთ.რ-ში სემი ნასერი, ბენუა მაჟიმელი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "პროფესიონალი" (ჟან პოლ ბელმონდო) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ცუდი კომპანია" (ენტონი ჰოპკინსი, კრის როკი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "გონებრივი შემოტევა" **21.00** პალიტრა - რენუარი **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი "ბედის შემოქმედი"

### კავკასია

**12.00** ინდური მხ. ფილმი "საფარი" **15.00** მხ. ფილმი "ერინ ბროკოვიჩი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "უცხოელი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი" **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### იბერია

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "ყასაბი" **10.20** მხ. ფილმი "კანონი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "წილი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 13.15, 14.15, 17.50, 20.15** მუსიკა **10.30** რუს. სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" **11.20** მულტფილმი "თეთრი ეშვი" **12.15** დოკ. სერიალი "ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები" **13.40** "ბელისიმო" - თეთრი ღამეები **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მხ. ფილმი "აჩრდილთა დრო" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა, მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-6ნ. **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** "ღამის მატარებელი". **00.30** მხ.ფილმი "შენი ოცნების ქალიშვილი"

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00** ქრონიკა **07.15, 11.25, 13.15, 17.20, 01.15** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის"დილა **10.05** დროება **12.10** სერიალი "კლონი" **13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "კლონი" **15.10** მხ. ფილმი "სიყვარული იარაღია" **17.25** ჩ -კლუზივი **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.00, 21.00, 22.00, 00.05** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" 36-ე ს. **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **22.50** მხ. ფილმი "ტუალეტი შიგნიდან იყო ჩაკეტილი" **00.20** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "ურჩხული" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** ქართული ფილმი "შეხვედრა მთაში" **13.35** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა "ხავერდოვანი საგა" **15.50, 05.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ოლივერი და კომპანია" **17.30** კომედია "ჟანდარმი და უცხოპლანეტელი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.25** მხატვრული ფილმი "ცოფიანი ქოფაკები" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მისტიკური თრილერი "ანაზაპტა" **03.40** დრამა "აქ მდინარე მოედინება"

### VII არხი

**09.15** "აჩიკუდა" **09.35** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.20** მელოდია **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** "ტალავერი" - განმეორებით **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.10** მობილურები **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.00** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი " - "ბიჭები არ ტირიან ". დრამა . როლებში: ჯილარი სვონკი, პიტერ სარგრადი. **00.05** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Боевик "Детектив Шафт" 12.10** Док. детектив "Наручники для хирурга" **12.40** "Следствие ведет Колобков" **13.20 Комедия "Доброе утро!" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Шутка за шуткой" **20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 21.00** "Жди меня". **22.00** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.40** "Криминальная Россия". "Зомби", 1 с. **00.10** "Театр кукол" **00.40** "Искатели". "По следам чудотворной иконы" **01.10** "Кинодвижение" **01.40** "Русский экстрим" **02.10 Триллер "Китайская луна" 03.40 Комедия "Почти идеальное дельце" 05.20 Сериал "Полтергейст 4" 06.05** "Рецепты Буддийских монахов"

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм "Брат" 11.40** "В Городке" **11.50, 14.45, 17.30, 23.45** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Вести недели" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Сериал "Право на защиту" 18.10** Ток-шоу "Частная жизнь" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII..."** Фильм 1. **00.00** "Вести+" **00.20** Док.фильм "Неизвестный Берия. Полвека после расстрела", 1с. **01.15 Комедия "За прекрасных дам!" 02.40 Худ.фильм "Затерянные в Бермудском треугольнике" 04.05** "Дорожный патруль"

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.50** "Растительная жизнь". "Грасский жасмин" **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Золотой век" 15.35** "По праву" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.25 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Внимание! Розыск!" "Возвращение к жизни" **20.40 Сериал "Москва. Центральный округ", 9 с. 21.50 Сериал "Чужое лицо", 5 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.50 Боевик "Отряд спасения"**

## სამშაბათი 23.12

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეკროსტოკი **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ.ფილმი "ნიშნები". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, ხოაკინ ფენიქსი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ჯონი მნემონიკი" **16.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" (ტოკიო) **17.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყარო" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "სათავეებთან" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "გატეხილი ნალი"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მაგარი ბიჭი" მთ.რ-ში სტივ მარტინი, ედი მერფი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ჰარი-მეგობარი, რომელსაც სიეთე სურს" მთ.რ-ში ლორენ ლუკა, სერხი ლოპესი. **01.40** "ღამურა" "დამკვირვებელი" მთ.რ-ში ჯეიმს სპეიდერი, მარისა ტომეი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "თოვლის კაცი" (ლენს ჰენრიკსენი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "დამიჭირე თუ შეგიძლია" (ლეონარდო დი კაპრიო)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ფრენის სიჩქარე" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "ქალიშვილები დედები"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "შოუ იწყება" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი-2" **22.30** მხ. ფილმი "აზარტული თამაშები"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "ლიცეუმი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "წილი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა" **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "შენი ოცნების ქალიშვილი" **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-6ნ. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ბინძური ცეკვები"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.40, 17.20, 00.30** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ტუალეტი შიგნიდან იყო ჩაკეტილი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "განსაკუთრებული საფრთხე"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** დრამა "აქ მდინარე მოედინება" **11.45** მუსიკა **12.20** მხატვრული ფილმი "ცოფიანი ქოფაკები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "დაუნდობელი ადამიანები" **15.40, 18.50, 01.00, 02.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ახალი ბრემენელი" **17.05** ბოევიკი "პიკის საათი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** დოკუმენტური ფილმი **20.30** კომედია "ვინ არის კლეტის ტოტი" **21.55** "გალერეა" **23.00** "Пресс-папье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.10** მისტიკური დრამა "მეექვსე გრძნობა" **03.40** სათავგადასავლო ფილმი "რაინდის ისტორია"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.15** მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "ორი გულის შეხვედრა ". მელოდრამა . რეჟ. სიდნი პოლაკი. როლებში: ბარბარა სტრეიზანდი, რობერტ რედფორდი. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30. 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Комедия "Зигзаг удачи" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Кумиры". Т. Конюхова **21.00** "Слабое звено" **22.00, 00.30** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.30** "Кремль-9". "Юрий Андропов. В лабиринте власти". Фильм 3 **00.50** "На футболе" **01.20** "Подводный мир А. Макаревича" **01.50** "Цирковые династии". Запашные **02.20 Боевик "Дикий Билл" 04.05 Комедия "Критическое состояние" 05.40 Сериал "Полтергейст 4"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII..."** Фильм 1 **11.30** Маленькие комедии "Ха" **11.50, 14.45, 17.30, 23.45** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Не скуЧАЙ!" с М. Евдокимовым **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Сериал "Право на защиту" 18.10** Ток-шоу "Частная жизнь" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII"** Фильм 2 **00.00** "Вести+" **00.20** Док.фильм "Неизвестный Берия. Полвека после расстрела", 2с. **01.15 Детектив "Сумерки" 03.10** "Дорожный патруль" **03.25** "Агентство одиноких сердец" **03.50 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Чужое лицо" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Их нравы" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.35** "Профессия - репортер". "Моя любимая... машина" **14.00 Детектив "Возвращение резидента", 1 с. 15.30** "По праву" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Территория выживания" **20.40 Сериал "Москва. Центральный округ", 10 с. 21.50 Сериал "Чужое лицо", 6 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.50 Боевик "Отмщение" 02.35** "Гордон"

## ოთხშაბათი 24.12

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ.ფილმი "საათები". მთ. რ-ში: ჯულიანა მური, ნიკოლ კიდმანი

### პირველი არხი

